№219
(12 289)
17 სექტემბერი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი
50 თეთრი



# დღე, რომელმაც ამოატრიალა რაგბი

## საქართველო-ირლანდია 10:14

### ერთი ნაბიჯი მოგებამდე და გაოცებული მსოფლიო




გიორგი შკინინის ლელო



ძიუდო. მსოფლიო ჩემპიონატი. ბრაზილიური რეპორტაჟების სპონსორია საქართველოს ოლიმპიური ფონდი

# ირაკლი ცირეკიძე მსოფლიო ჩემპიონია




რიო დე ჟანეირო. ეს-ესაა ირაკლი ცირეკიძემ ილიას ილიადისი დაამარცხა და მსოფლიო ჩემპიონი გახდა

## ნესტორმა უნდა გაასამოს!

**ირაკლი თავაძე,**
რიო დე ჟანეიროდან

რიო დე ჟანეიროს "ცენტრო ოლიმპიკოში" ქართული ჰიმნის ჯერიც დადგა. საქართველოს ისტორიაში მეოთხე, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი პირველი მსოფლიო ჩემპიონი ჰყავს ძიუდოში. **თემურ ხუბულურის** (ორჯერ), **კობა კურტანიძისა** და **ამირან ტოტიკაშვილის** შემდეგ ეს ტიტული ქუთაისელმა **ირაკლი ცირეკიძემაც** (90) მოიგო. მან ფინალში საბერძნეთის სახელით მოასპარეზე **ილიას ილიადისი**, იგივე ჯარჯი ზვიადაური დაამარცხა.

ჩვენთვის ამაღელვებელი, მაგრამ ამავდროულად, ნაღვლიანი სანახაობაც იყო შორეული ბრაზილიის ცის ქვეშ ერთმანეთის პირისპირ მდგარი ქართველები, რომლებსაც ქართული სისხლი მოჰყიოდათ, მაგრამ არა ორივეს საქართველოსთვის. ილიადისიც ქართველია, ოღონდ საბერძნეთში ნატურალიზებულიო, თქვა მოგვიანებით ბრაზილიელმა კომენტატორმა და მერე იმის ახსნა დაიწყო, სადაა საქართველო...

ჩვენ კი, დროა შევაჯამოთ. ცირეკიძის ოქრო, **ლაშა გუჯეჯიანის** ბრინჯაო, **ლომერ ჟორჟოლიანისა** და **დავით ქევხიშვილის** მეხუთე ადგილი. ულიცენზიოდ მხოლოდ **გიორგი ბაინდურაშვილი** და **ზაზა კედელაშვილი** დარჩნენ.

დიდი შანსია, მსოფლიო ჩემპიონატის ბოლოს გავასამოთ და ძიუდოისტთა ნაკრები სამი მედლით დაბრუნდეს შინ - **ნესტორ ხერგიანი** (90) ნახევარფინალში გავიდა და საღამოს 9 საათზე ანუ თბილისის დროით დილის 4 საათზე მონღოლ ოლიმპიურ პრიზიორ **ხაშბაატარ ჩაგანბაატარს** უნდა დაძჭიდებოდა.

ნესტორმა დილის შეხვედრები დამაჯერებლად და ძალზე ძლიერად ჩაატარა. მან პირველ წრეში ბელარუსი **სერგეი ნოვიკოვი** დაჯაბნა, მეორეში ეკვადორელი ოსე რომერო დააიპონა, მერე კი ამერიკელ **ტაჯატ ვილიამსს** გადაურბინა - ვაზარის შემდეგ სუფთად დაagდო. იმის მიუხედავად, რომ მთავარი ეტაპი წინაა, ხერგიანმა მთავარი ბრძოლა სწორედ ამერიკელთან მოგების შემდეგ გადაიტანა - მეოთხედფინალში, სადაც მისი მეტოქე იაპონელი **ტაცუაკი ეგუსა**, თბილისის ტურნირის ხშირი სტუმარი გახლდათ. ხერგიანმა მთელი შეხვედრა დამაჯერებლად, დიდოსტატურად ჩაატარა, მეტოქეს იუკო აართვა და ნახევარფინალშიც გავიდა.

რაც შეეხება მონღოლს, ისიც ძლიერი ჯგუფიდან გაძვრა - მოუგო არგენტინელ **მიგელ ალბარასინს**, რომელიც მუდამ მედლის სიახლოვეს ტრიალებს; აჯობა კუბელ **იასმანი პიკეს**, უკრაინელ **გიორგი ზანთარაიას** და კორეელ მსოფლიო ჩემპიონ მინ **ჰო ჩოის**. ასეთი სტატისტიკის მიუხედავად, ვიმედოვნებთ, ნესტორი მასთანაც წარმატებით იჭიდავებს, რამეთუ აქამდე მონღოლი რამდენჯერმე დაუმარცხებია.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ მეორე ნახევარფინალში ჰოლანდიელი ევროპის პრიზიორი **რუბენ ჰოუკესი** და სლოვენიელი **როკ დრაკშიჩი** გავიდნენ. ხერგიანისთვის გადაულახავ მეტოქეებს არც ესენი წარმოადგენენ, თუმცა ჰოლანდიელმა ჩვენებური შარშან ევროპის პირველობაზე კი დაამარცხა ბრინჯაოსთვის ბრძოლაში, მაგრამ მსაჯთა დიდი დახმარებით.

სამწუხაროდ, აბსოლუტურში მოასპარეზე ჩვენებურებმა ვერაფრით გაგვახარეს. **ზვიად ხანჯალიაშვილმა** პირველივე წრეში წააგო მონღოლ **ნოვჯურ ტუშინბაიარასთან**. მონღოლმა მერე ირანელ მსოფლიოს პრიზიორ საიედ **მაჰმუდ მირანს** კი მოუგო, მაგრამ ბელარუს მსოფლიოს პრიზიორ **იური რიბაკთან** დამარცხდა და ჩვენებურიც გავარდა.

ჩემპიონატს ასევე პირველ წრეში დაემშვიდობა **ირინა ლეონიძეც**, რომელმაც მძიმე წონის შემდეგ აბსოლუტურშიც იჭიდავა. იგი ყაზახ **გულშა ისანოვასთან** დამარცხდა.

გუშინ საღამოსთვის იაპონიის ვაჟთა ნაკრები ოქროს გარეშე რჩებოდა - მათი ერთადერთი იმედი აბსოლუტურში მოასპარეზე მსოფლიო ჩემპიონი **იასუიუკი მუნეტაა**, რომელიც ნახევარფინალში და უზბეკ **აბდულო ტანგრიევს** ხვდება. ნუთუ "ამომავალი მზის ქვეყნის" მზე დედამიწის საპირისპირო მხარეს - ბრაზილიაში ჩაესვენება?

იაპონელები ოქროს თუ ჯერ კიდევ ელოდნენ, გარკვეულია, რომ რუსები ოქრო გარეშე დარჩნენ. მათი იმედებიც ბოლო დღეს უკავშირდებოდა, მაგრამ ევროპის მოქმედი ჩემპიონი **რუსლან კიშმახოვიც** (60) და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი **ალექსანდრ მიხაილინიც** (აბსოლუტური) უკვე დამარცხდნენ. მიხაილინმა ნახევარფინალი დათმო ტანგრიევთან, კიშმახოვი კი მთლად პირველ წრეში დამარცხდა... მაროკოელ **ალლაა ელ იდრისისთან**.

ამ ფონზე საოცარი წარმატებით იჭიდავეს მასპინძლებმა, რომლებმაც იმაზე მეტი ოქრო მოიპოვეს, ვიდრე ძიუდოს მთელ ისტორიაში ჰქონიათ. მათ ანგარიშზე უკვე სამი ოქროა და დღეს მეოთხესაც ელოდებიან - აბსოლუტურში **დანიელ ფერნანდესი** ნახევარფინალშია. დღეს ერთმა ბრაზილიელმა ისიც კი მითხრა, არა მხოლოდ ფეხბურთში, ძიუდოშიც ძლიერები ვართო. ისიც სათქმელია, რომ ამ სამიდან მხოლოდ **ლუსიანო კორეაზე** (100) თუ ითქმის, რომ რიგ მომენტებში მსაჯები მიეხმარნენ, თორემ **ჟოაო ჟუნიორიც** (66) და **ტიაგო კამილოც** (81) უძლიერესი ფალავნები ყოფილან. მარტო ის რად ღირს, რომ ჟუნიორმა ზედიზედ მეორედ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი.

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



**სპარტაკი-დინამო**

**0:3**

15.09. გორი. თ. ბურჯანაძე
200 მაყურებელი

0:1 სპასოევიჩი (62), 0:2 ხაჭიპერაძე (73. საკ. კარში), 0:3 აკირემი (86. მერებაშვილის პასით)

სპარტაკი: კოდალაევი - კუპრეიშვილი, ხაჭიპერაძე, ქემოკლიძე, მამუკაშვილი - ხიდაშელი (46. ავალიანი), თარხნიშვილი, ბახტურიძე, ძარია (75. მედოევი) - გოგოხია, ჯანელიძე (70. ტატაევი)

სათადარიგოები: *ქვილითაია, დარბაიძე, თაქთურმანიძე, პარამონოვი*

დინამო: ოვონო - შ.კაშია, ზელიჩი (79. გ.კაშია), კრშკო, დობეში - დილმელაშვილი, ხმალაძე, ფეიქრიშვილი (57. სპასოევიჩი), ხუციშვილი, მერებაშვილი (87. ფირცხალავა) - აკირემი

სათადარიგოები: *გრიშიკაშვილი, თომაშვილი, ოდიკაძე, გონჩაროვი*

გაფრთხილება: *თარხნიშვილი (44), მერებაშვილი (66)*

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

**25**. გიორგი მერებაშვილი მარცხენა ფრთაზე განხორციელებული სწრაფი გარღვევის შემდეგ კარის გასწვრივ აკეთებს გადაცემას, რომელსაც ვერ მისწვდა კოდალაევი, მაგრამ ვერც ფეიქრიშვილმა შეძლო ფეხი მიერტყა.

**33.** სოლო-რეიდის ისევ მერებაშვილმა მოძებნა აკირემი, რომლის დარტყმას მცველები გადაეფარნენ, ხოლო ხუციშვილის მიერ დამატებული მეკარემ კუთხურზე მოიგერია.

**45.** აკირემი საჯარიმოს მისადგომებთან დაუსხლტა ორ მცველს და წაიქცა, „დინამო" პენალტს ითხოვდა, თუმცა კრიჭაშვილმა პირდაპირ საჯარიმოს ხაზზე მიუთითა, საიდან დარტყმულიც ხმალაძემ კარს ააცილა.

**48.** ზურაბ ბახტურიძის 20 მეტრიდან დარტყმული მცირედით ცდება კარს.

**62.** 0:1 მერებაშვილის გასროლილი კოდალაევმა ახლოს მოიგერია და დამატებაზე სპასოევიჩს ორიოდ მეტრიდან ბურთის კარში გადაგზავნა არ გაჭირვებია.

**66.** ფლანგიდან აკაკი კუპრეიშვილმა ჩაუწოდა ძარიას, რომელიც კარიდან სამიოდ მეტრში იმყოფებოდა, მაგრამ ბურთს ვერ მიწვდა.

**73.** 0:2 არეულობა „სპარტაკის" საჯარიმოში. მიხელ ხუციშვილმა კარისკენ გაგზავნა ბურთი, რომელიც ხაჭიპერაძეს მუხლზე მოხვდა და ბადეში აღმოჩნდა.

**80.** ხუციშვილის ლამაზად დარტყმულს ლამაზ ნახტომშივე იგერიებს კოდალაევი.

**86.** 0:3 სპარტაკის კართან ახლოს მყოფი აკირემი გამოზომილ პასს იღებს მერებაშვილისაგან და იოლად ახერხებს ანგარიშის გაზრდას.

# სპარტაკის რაპიდი დინამოა



ჯორჯ აკირემი

გორელები ჯერაც არ გამოსულიყვნენ წინა დღის დაძაბული მატჩის (დილა-ზესტაფონი) ემოციიდან და ამჯერად კიდევ ერთი საინტერესო თამაშის სანახავად მივიდნენ „თენგიზ ბურჯანაძის" ტრიბუნებზე, თუმცა ვერც სანახაობით და ვერც დაძაბულობით ამ შეხვედრამ ვერ ივარგა. ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა ადვილად მოიპოვა სამი ქულა. **კობა ჟორჟიკაშვილის** შეგირდებმა მხოლოდ პირველ ტაიმში შეძლეს მეტოქისთვის წინააღმდეგობის გაწევა, მერე კი ძალები აღარ ეყოთ.

აღსანიშნავია, რომ ტერიტორიულ უპირატესობას „დინამო" პირველ 45 წუთში უფრო გამოკვეთილად ფლობდა, ვიდრე შეხვედრის მეორე ნახევარში, მაგრამ სამივე გოლი მატჩის ბოლო 28 წუთში გავიდა.

შეხვედრის დასაწყისში თბილისელთა შეტევებს ცხინვალელების დაცვის ცენტრში **ქემოკლიძე-ხაჭიპერაძის** დუეტი უმკლავდებოდა საკმაოდ კარგად. აღნიშნული დუეტის საიმედოობა ნათლად გამოჩნდა **აკირემთან** მიმართებაში. სტუმართა შემტევმა ლეგიონერმა, მიუხედავად უამრავი მცდელობისა, შესვენებამდე ერთადერთხელ, 45-ე წუთზე მოახერხა მცველებს დასხლტომოდა და მეტად სახიფათო ჯარიმაც მონადირა, რომელიც **ხმალაძემ** ვერ გამოიყენა სათანადოდ.

განსაკუთრებით გამორჩეული „დინამოს" მარცხენა ფრთა გახლდათ, სადაც **გიორგი მერებაშვილი** მთელი მატჩის განმავლობაში შესანიშნავად მოქმედებდა. მან უბრალოდ მოსვენება არ მისცა ცხინვალელ ფეხბურთელებს. ხშირ შემთხვევაში ძალიან იოლად გადასაჭრელ პრობლემას წარმოადგენდა მისთვის ინდივიდუალური მოძრაობით ორი-სამი მეურვის ჩამოცილება, რის შემდეგ არც პასს ამადლიდა თანაგუნდელებს. თუმცა შესვენებამდე მის ზუსტ გადაცემებს ასევე ზუსტი და შედეგიანი დარტყმები არ მოჰყოლია. დინამოელებმა შორიდანაც მოსინჯეს **კოდალაევის** მზადყოფნა, მაგრამ არც ეს გამხდარა გადაუჭრელი პრობლემა მასპინძელი გოლკიპერისთვის.

საბოლოოდ ბესიკ კოდალაევი შესვენებაზე გოლგაუშვებლად გავიდა. აი **ოვონოს** კი საქმე საერთოდ არ ჰქონია. მხოლოდ **ზელიჩი** და **კრშკო** თუ „ახალისებდნენ" პასებით.

მეორე ტაიმში დაცვით თამაშზე ზედმეტად აქცენტირებული „სპარტაკი" მოწინააღმდეგის კარისკენ დაიძრა, რამაც სწორედ მოწინააღმდეგის წისქვილზე დაასხა წყალი. „სპარტაკი" **ილია სპასოევიჩის** გამოსვლამდე მაინც არ გამტყდარა, სტუმართა ლეგიონერმა მოედანზე შემოსვლიდან ხუთ წუთში მოახერხა მასპინძლების კარის აღება. ჩერნოგორიელმა ცოტა ხანში შორიდანაც დაურტყა კარგად კოდალაევს. ამას უკვე ცხინვალელების, **კუპრეიშვილ-ძარიას** სახიფათო, ოღონდ უშედეგო კონტრშეტევა მოჰყვა. მოკლედ, თამაში გაიხსნა და **უჰრინის** დამოძღვრილებსაც გაეხსნათ ხელ-ფეხი. მეორე გოლი დაცვაში ყურადღების მოდუნების შემდეგ მიიღეს სპარტაკელებმა, თუმცა დასანანი ის გახლდათ, რომ **ხუციშვილის** დარტყმული მაინც და მაინც სპარტაკის" რიგებში ამ დღეს ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ბესო ხაჭიპერაძეს მოხვდა მუხლზე და ბადეში ისე შევარდა. ჟორჟიკაშვილმა ცვლილებებითაც უშედეგოდ ცადა მდგომარეობის გამოსწორება. საფინალო სასტვენამდე ოთხი წუთით ადრე კი აკირემმა როგორც იქნა, შეირგო მერებაშვილს პასი და გოლიც გაიტანა.

„სპარტაკის" ხელმძღვანელობა სეზონის დასაწყისში მოკლე ვადებში შეკრებილი გუნდის შეუთამაშებლობაზე ჩიოდა. საწყის ტურებთან შედარებით, ამ თვალსაზრისით, პროგრესი ნამდვილად ეტყობა გუნდს, მაგრამ ჩანს, დღესდღეობით "სპარტაკს" ისეთივე შრომა მოუწევს "დინამოსთან" დასაწევად, რამდენიც ამ უკანსკნელს სჭირდება "რაპიდს" რომ გაუტოლდეს.

**რჩეული**

**გიორგი მერებაშვილი**

მან უდავოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მისი სოლო-რეიდები ხიბლს მატებდა თამაშს და ცუდი იქნებოდა, რომ მის ნალვაწს ამაოდ ჩაევლო. მერებაშვილი ორ გატანილ გოლში უშუალოდ მონაწილეობდა. იშვიათი გამონაკლისის გარდა კი თავად არც უცდია მეტოქის კარის დალაშქვრა, თორემ ვინძლო ესეც გამოსვლოდა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 5 | 4 | 1 | 0 | 12-2 | 13 |
| 2. დინამო | 4 | 4 | 0 | 0 | 10-1 | 12 |
| 3. მესხეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 6-4 | 10 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 1 | 1 | 6-5 | 10 |
| 5. მგლები | 5 | 3 | 0 | 2 | 4-3 | 9 |
| 6. ბორჯომი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-3 | 8 |
| 7. სიონი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| 8. ოლიმპი | 5 | 2 | 1 | 2 | 3-4 | 7 |
| 9. ამერი | 5 | 2 | 0 | 3 | 6-8 | 6 |
| 10. სპარტაკი | 5 | 1 | 2 | 2 | 2-6 | 5 |
| 11. დილა | 5 | 1 | 0 | 4 | 4-8 | 3 |
| 12. მერანი | 5 | 1 | 0 | 4 | 2-7 | 3 |
| 13. ლოკომოტივი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-11 | 3 |
| 14. ბათუმი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-6 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვიეირა (ზესტაფონი) | 3 |
| კაიდარაშვილი (მესხეთი) | 3 |
| იონანიძე (ზესტაფონი) | 3 |
| გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 3 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 3 |
| შ. ჯიქია (ბორჯომი) | 3 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 2 |
| ბ. ჩიტაია (დილა) | 2 |
| სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| რ. ჯიქია (ოლიმპი) | 2 |
| ჩასემი (სიონი) | 2 |
| გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| აკირემი (დინამო) | 2 |

**გამოტოვებული მატჩი**

**18 სექტემბერი. სამშაბათი**

**16:00** დინამო-სიონი

**მომდევნო ტური**

**22 სექტემბერი. შაბათი**

**16:00** ლოკომოტივი-დილა
**16:00** ბათუმი-ცხინვალი
**16:00** ზესტაფონი-ოლიმპი

**23 სექტემბერი. კვირა**

**16:00** მესხეთი-სიონი
**16:00** ვიტ ჯორჯია-ბორჯომი
**16:00** ამერი-მერანი
**16:00** მგლები-დინამო

# თარგამაძემ ვიზა მიიღო, ყენია ისევ ელის



დავით თარგამაძე

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ნახევარმცველი **დავით თარგამაძე** ორი თვე ელოდა გერმანიის ვიზას და როგორც იქნა, მიიღო. ეს კი "ფრაიბურგთან" კონტრაქტის გაფორმების საშუალებას მისცემს.

*"პარასკევს გერმანიიდან ჩამომივიდა სამუშაო ვიზა და "ფრაიბურგთან" ხელშეკრულებაც გაფორმდება"*, - გვითხრა თარგამაძემ.

დათო ახლა ისევ თბილისშია და გერმანიაში წასვლამდე 19-წლამდელებში ივარჯიშებს. **ჰაინც ტოპმიოლერის** გუნდი რუმინეთში ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს.

სამაგიეროდ, დღემდე გერმანიის ვიზას ელის **ლევან ყენია,** თბილისის "ლოკომოტივის" ნახევარმცველი ვერა და ვერ ელირსა გელზენკირხენის "შალკეში" გადასვლას. მასზე მზრუნველობა **ლევან კობიაშვილმა** აიღო, მწვრთნელსაც სურს ჩარიცხოს, მაგრამ კანონი კანონია - გერმანიის საკონსულო განცხადების შეტანის შემდეგ თვენახევარში ეტყვის პასუხს, ჯერ კი ერთი თვეც არ გასულა.

**მერაბ მამულაშვილი**

# ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება ფეხბურთელებისთვის არგენტინაში

ვიწვევთ 17-18 წლის პერსპექტიულ ფეხბურთელებს მოსამზადებლად არგენტინაში. მომზადების ვადაა 6 თვიდან ერთ წლამდე. მომზადების პერიოდში ფეხბურთელები ითამაშებენ ამხანაგურ მატჩებს არგენტინის საფეხბურთო კლუბებთან. მომზადების შემდეგ ფეხბურთელები გააფორმებენ ხელშეკრულებას ერთიდან ორ წლამდე და ჩაატარებენ ოფიციალურ შეხვედრებს არგენტინის საფეხბურთო კლუბებში. ფეხბურთელებს მოამზადებს ედუარდო დელგადო. ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების, გზის (ავიაბილეთები), ადგილზე ცხოვრების (კვების, ბინის) და სავიზო ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა მიერ.

*მსურველთა მიღება და მათთან გასაუბრება იწარმოებს მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. N4 (თავისუფლების მოედანთან). მხოლოდ წინასწარ ჩაწერით, საქართველოში არგენტინის წარმომადგენელთან, ტელეფონზე: 899-23-55-20. მსურველები არგენტინაში გაემგზავრებიან ოქტომბრის დასაწყისში.*



სურათზე: დიეგო მარადონა და ედუარდო დელგადო

www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

# სანაკრებო პაუზისას დახვეწილი თამაში
## კერკეტი კაკალი ამერისთვის

**ბორჯომი-ამერი**
**3:0**
15.09. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი
1000 მაყურებელი

1:0 ჯიქია (16), 2:0 კ. ხანიშვილი (28. მემარნიშვილის პასით), 3:0 გრიგალაშვილი (80. მემარნიშვილის პასით).

ბორჯომი: შეყრილაძე - ლონლაძე, ჭელიძე, ყველაშვილი, მერებაშვილი, აკობია (44. თედიაშვილი) - ბაბუნაშვილი, ნერგაძე, მემარნიშვილი, კ. ხანიშვილი (56. გრიგალაშვილი) - ჯიქია (87. გოგიჩაიშვილი).

*სათადარიგოები:* ლომიძე, გლუნჩაძე, ნასყიდაშვილი, ქარქუზაშვილი.

ამერი: ქვაჩახია - ელბაქიძე (69. ალავიძე), დავითნიძე, დიდავა, კობაური - დოლიძე (74. ჯელაძე), დობროვოლსკი, ბოლქვაძე (62. დავითაშვილი), დეკანოსიძე - ტატანაშვილი, გოცირიძე.

სათადარიგოები: ნადირაშვილი, მესხი, კაკაშვილი, ჩიკვილაძე.

გაფრთხილება: დობროვოლსკი (41), აკობია (42), დავითნიძე (50), ყველაშვილი (54), ტატანაშვილი (56), ჯიქია (59).

არბიტრი: გ. ვადაჭკორია (თბილისი)

**16.** 1:0 - შოთა ჯიქია მარჯვენა ფლანგიდან შევიდა საჯარიმოში, გვერდი აუარა მცველს და ქვაჩახიას შანსი არ დაუტოვა.

**20.** დეკანოსიძის პასით დოლიძე გადის პირისპირ შეყრილაძესთან, მაგრამ მისი დარტყმული აცდა მიზანს.

**28.** 2:0 - მემარნიშვილმა თავით გაუკეთა გადაცემა მეკარის ბაქნის წინ დასარტყმელ პოზიციაში მდგომ კობა ხანიშვილს, რომელმაც დაბალ მარჯვენა კუთხეში გაუტანა ქვაჩახიას.

**34.** ბოლქვაძემ გაიყვანა დოლიძე დასარტყმელ პოზიციაზე, რომლის დარტყმაც ისევ არაზუსტი აღმოჩნდა.

**44.** დოლიძე შეიჭრა საჯარიმოში მარჯვნიდან და გამჭოლი პასი გააკეთა. ყველაშვილი ვარდნაში ჩაუნვა ბურთს და კუთხურზე მოიგერია.

**45.** დოლიძის თავური ისევ სცდება კარს.

**60.** ჯიქია გავიდა პირისპირ მეკარესთან, ქვაჩახიამ მისი დარტყმული ფეხით მოიგერია.

**73.** ტატანაშვილმა ძალიან კარგად ითამაშა საჯარიმოში, დაასწრო მცველს და ბურთი კარში გაგზავნა, რომელიც სულ ოდნავ გადაცდა ზემოდან.

**80.** 3:0 მემარნიშვილმა ჯარიმა მსწრაფლ გაუთამაშა გრიგალაშვილს. "ამერი" გაჩერებული იყო ამ მომენტში, გვერდითმა მსაჯმა "მწვანე შუქი" აუნთო პირისპირ გასულ გრიგალაშვილს, რომელმაც მოატყუა მეკარე.

მესამე წელია "ამერს" ბორჯომში თამაში უჭირს და მარცხდება. სტუმრებმა ვერც ამჯერად დაარღვიეს ტრადიცია და ისევ დამარცხებულებმა დატოვეს ბორჯომი. არადა თამაშს ისეთი პირი უჩანდა, ვერავინ იფიქრებდა, რომ ამ ანგარიშით დამთავრდებოდა. საწყისი წუთებიდანვე ორივე გუნდმა პრესინგს მიმართა, შედეგად კი დებიუტი სისწრაფითა და სიფიცხით აღინიშნა. ამას ორივე მხრიდან მცველთა კარგი თამაშიც დაერთო. ამან დაახლოებით ათ წუთს გასტანა, მერე კი სტუმართა დაცვას რაღაც დაემართა, მოდუნდა, მოირღვა და მათ კარში გოლებმაც არ დააყოვნა.

მე-16 წუთზე **შოთა ჯიქია** გაანავარდეს საჯარიმოში, რომელმაც ახლოდან გაუტანა **ქვაჩახიას.** მერე კი **ლონლაძე-მემარნიშვილი-ხანიშვილის** კომბინაციას უყურეს სტატისტის როლში და კარის დაბალ კუთხეში მიიღეს გოლი. "ამერი" მხოლოდ ამის შემდეგ გააქტიურდა, რაც ძირითადად **დეკანოსიძის, დოლიძისა და ბოლქვაძის** დამსახურება იყო. შესვენებამდე დოლიძე ორჯერ გავიდა მეკარესთან პირისპირ, თუმცა საბოლოოდ მისი დარტყმები არაზუსტი გამოდგა, ბოლო წუთზე კი მას ისევ ჰქონდა ორი კარგი მომენტი, თუმცა ჯერ ბორჯომელმა მცველმა იყოჩაღა, მერე კი თავად ააცილა კარს.

მეორე ტაიმის საწყისი წუთები ისევ "ამერისა" იყო, ჯერ **დობროვოლსკის** მიეცა შანსი, მერე კი ბოლქვაძეს, თუმცა ორივე შემთხვევაში ბორჯომელთა მეკარე იდგა მოწოდების სიმაღლეზე. მერე კი მასპინძლები გააქტიურდნენ, რაც **გრიგალაშვილის** მოედანზე შესვლას დაუკავშირდა. ორმხრივ იერიშებში 73-ე წუთზე ტატანაშვილს მართებდა გატანა, მაგრამ კარგად გარჯილს მიზანმა უმტყუნა. მალე კი დადგა მე-80 წუთი, რომელმაც საკმაო ვნებათაღელვა გამოიწვია. მოედნის ცენტრში დაინიშნა ჯარიმა, რომელიც **მემარნიშვილმა** დანიშვნისთანავე გაითამაშა გრიგალაშვილთან. ამას ამერელი მცველები არ ელოდნენ, ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ გრიგალაშვილზე თამაშგარესაც ფიქრობდნენ, თუმცა გვერდითმა მსაჯმა წესების დარღვევა არ დააფიქსირა, გრიგალაშვილმა კი მეკარის მოტყუებით მესამედ დაამწუხრა სტუმრები. ამერელები კაი გვარიანად გამოენთნენ და შემოწყრნენ გვერდით არბიტრს, თუმცა ეს ყველაფერი მათთვის უშედეგოდ დამთავრდა, ისევე, როგორც ეს შეხვედრა.

**მატჩის შემდეგ**

**გიორგი ჩიხრაძე (ამერი):** *"ძნელია, ცხელ გულზე ანალიზის გაკეთება. ვთვლი, რომ დაცვაში ცუდად ვითამაშეთ, რის გამოც დავმარცხდით კიდეც. რაც შეეხება მესამე გოლს, იყო თუ არა თამაშგარე, ამას ვიდეოფირი გვეტყვის და მერე ვიმსჯელებთ მასზე."*

**ვლადიმერ ხაჩიძე (ბორჯომი):** *"სანაკრებო პაუზამ სულზე მოგვისწრო. დავხვეწეთ ფიზიკური და ტაქტიკური კონდიციები. კარგად გავაანალიზეთ "ამერის" თამაში და მათი დაცვის შეცდომები გამოვიყენეთ. ჯერჯერობით თავდასხმაში გვიჭირს, რადგან მხოლოდ ჯიქიას იმედზე ვართ და ნამდვილად არ გვაწყენდა ამ რგოლის გაძლიერება."*

**რჩეული**

**რამდენიმე ფეხბურთელმა ბორჯომის გუნდში მართლაც კარგად ითამაშა (ნერგაძე, მემარნიშვილი, ჯიქია), მაგრამ მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი თემურ ლონლაძე გახლდათ. თავის ფლანგს ჩინებულად აკონტროლებდა და შეტევებშიც სახიფათოდ ერთვებოდა.**

**მერაბ ბრძელიძე**
ბორჯომიდან



ინტერვიუ ვლადიმერ ხაჩიძესთან

# ნეტავ, ვინმე მართლა წაგვახალისებდეს...

ეროვნული ჩემპიონატის მე-5 ტური ნაცრისფერი როდი გამოდგა, თუნდაც იმიტომ, რომ ორი მოულოდნელი ანგარიში დაფიქსირდა - ბოლნისის "სიონმა" 3:1 დაამარცხა "ვიტ ჯორჯია", ხოლო "ბორჯომმა" სულაც 3:0 მოუგო საქართველოს თასის ორგზის მფლობელ თბილისის "ამერს", რომელიც საქართველოში ერთ-ერთი წელგამართული და ორგანიზებული კლუბია და რომლის ფეხბურთელები ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებში თამაშობენ.

"ლელოს" კითხვებს "ბორჯომის" მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ხაჩიძე პასუხობს.

**- როგორ ფიქრობთ, ყველაზე მეტად რამ განაპირობა თქვენი გუნდის სენსაციური გამარჯვება "ამერზე"?**

- არა მგონია, რომ ეს სენსაციური გამარჯვება იყო, რადგან მეტოქე ყველა კომპონენტში დავჯაბნეთ - ტაქტიკურადაც და ფიზიკურადაც.

**- სენსაციურად იმიტომ შევრაცხეთ ეს შედეგი, რომ "ამერი" და "ბორჯომი" განსხვავებულ საფეხურზე დგანან...**

- "ამერი" კარგი გუნდია, მაგრამ დღეს მხოლოდ ფინანსები არ წყვეტენ ყველაფერს. ფსიქოლოგიური განწყობა, მოტივაცია... კიდევ ბევრი ნიუანსი არსებობს. "ამერის" ბევრი ფეხბურთელი ეროვნულ ნაკრებში იყო გამოძახებული და იქიდან დაბრუნებულები ალბათ აგდებულად მოეკიდნენ "ბორჯომთან" მატჩს. ფაქტია, "ამერს" არ წაუვიდა თამაში.

**- თქვით, "ამერს" ფიზიკურად ვაჯობეთ, არადა ამ გუნდს ყოველწლიურად რამდენიმე შეკრება აქვს, "ბორჯომს" კი...**

- "ბორჯომს" არ აქვს ასეთი პირობები, მაგრამ ჩვენ მეტი მოტივაცია გვქონდა. საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდთან თამაში კარგი გამაღიზიანებელი ფაქტორი გამოდგა ჩვენი ფეხბურთელებისთვის. ისიცაა, რომ "ბორჯომის" რამდენიმე ფეხბურთელი "ამერის" მოთამაშეებზე ნაკლები სულაც არ არის.

**- მიგაჩნიათ, რომ ბოლო წლებში ეს "ბორჯომის" საუკეთესო მატჩი იყო?**

- ეს არ იყო "ბორჯომის" საუკეთესო მატჩი. ბოლო ორი კვირა მაქსიმალურად ვცდილობდით გუნდის შეთამაშებას და ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებას. სანაკრებო მატჩებით გამოწვეულმა პაუზამ ამაში მართლაც შეგვიწყო ხელი. ახლადშექმნილი გუნდი ვართ. სეზონი რომ დაიწყო, "ბორჯომის" ფეხბურთელები ერთმანეთს კარგად არ იცნობდნენ. "ამერთან" გამარჯვება ალბათ სტიმული იქნება ჩვენი გულშემატკივრებისთვისაც. მაყურებელი "ბორჯომის" თამაშებზე ადრეც დადიოდა და იმედია, ახლა უფრო მეტი ხალხი მოვა ჩვენს საშინაო მატჩებზე.

**- "ამერთან" თქვენი ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი შოთა გრიგალაშვილი შეცვლაზე რატომ ათამაშეთ?**

- გრიგალაშვილი ახალგაზრდულ ნაკრებში იყო გამოძახებული და ჩვენთან ორი კვირა არ ყოფილა. მანამდე მცირე ტრავმა აწუხებდა, მერე კოჭიც გადაუბრუნდა. მის შეყვანას საერთოდ არ ვაპირებდით "ამერთან", მაგრამ როცა ხანიშვილი დაშავდა, მისი შემცვლელი სხვა არ გვყავდა. შევუშვი და გოლიც გაიტანა.

**- "ამერს" შინ წინა სეზონშიც მოუგეთ 1:0. სწორედ მაშინ დაირხა ხმები, "ბორჯომი" "ამერის" ერთ-ერთმა კონკურენტმა გუნდმა წაახალისაო...**

- ხმები ჩემამდეც მოვიდა, თითქოს "ამერს" 1:0 რომ მოვუგეთ, "ბორჯომმა" ეს "დინამოსთვის" გააკეთაო. თუ მასეა, ჩემპიონობისთვის 5-6 გუნდი იბრძვის და რამე რომ არ თქვან, სულ ყველასთან უნდა წავაგოთ და გავვარდეთ უმაღლესი ლიგიდან? ნეტავ, ვინმე მართლა წაგვახალისებდეს...

**- ფინანსურად რა ვითარებაა "ბორჯომში"?**

- თავზე არ გადაგვდის, თუმც უყურადღებოდაც არ ვართ მიტოვებულნი. ამ მხრივ, რა თქმა უნდა "ამერს" ვერ შევედრებით. ფაქტობრივად ერთი თვის გუნდი ვართ, რომელსაც სეზონის წინ შეკრება არ გაუვლია.

**დავით თავართქილაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩართე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge; www.cdn.ge



გასხსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი გოლი, პირველი მოგება

**მერანი-ბათუმი**

**2:1**

15.09. თბილისი. მერანი
300 მაყურებელი

1:0 გოჩაშვილი (22), 1:1 გალოგრე (75), 2:1 ხუჭუა (76)

მერანი: სეფიაშვილი - ლოლაძე, კობიაშვილი, გიგაური, სალარიძე - ბესარაშვილი (58. ლომაშვილი), ჯანგიძე (73. ფურთუხია), ტყეშელაშვილი, სევასტოპულო (68. ხუჭუა) - ულენტი. გოჩაშვილი.

*სათადარიგოები: თევდორაძე, დეისაძე, კობერიძე, ნოზაძე*

ბათუმი: თოთლაძე - კუნჭულია, თედორაძე, გალოგრე, მაკარიანი - ბეჟანიძე (60. ოქრუაშვილი), კ. მახარაძე, დარჩიძე (60. დემურაძე), კაკალაძე, ჭელიძე - მოდებაძე (83. ტულუში)

*სათადარიგოები: მამინაშვილი, ნ. მახარაძე, ცანავა, ბაჯელიძე*

გაფრთხილება: ულენტი (49)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

**3.** მეკარესთან ბრძოლაში გოჩაშვილმა მოახერხა კარში დარტყმა, მაგრამ სუსტად გამოუვიდა და თოთლაძემ მაინც მოასწრო მოგერიება.

**10.** ბათუმელებს გამოუვიდათ კარგი შეტევა - კაკალაძის წამოწყებული შეტევა დარჩიძემ გააგრძელა და კახა მახარაძემ დაასრულა ძლიერი, მაგრამ არაზუსტი დარტყმით.

**19.** სევასტოპულოს თავური მცირედით ასცდა სტუმართა კარს.

**22.** 1:0 მასპინძელთა შორის ყველაზე აქტიურმა გოჩაშვილმა თავისი მაინც გაიტანა - თოთლაძეს მისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში აულებელი დაურტყა.

**36.** ისევ გოჩაშვილი აქტიურობს, მაკრატელათი მოინდომა კარის დალაშქვრა, მაგრამ კუთხე მახვილი იყო და სანადელს ვერ მიაღწია.

**38.** სტუმართაგან კარში ისევ მახარაძემ დაარტყა - არაზუსტად.

**50.** სეფიაშვილი შეცდა უწყინარ სიტუაციაში, რითაც ვერ ისარგებლა ბეჟანიძემ.

**66.** "მერანის" სახიფათო შეტევა საბოლოოდ კახა მახარაძემ ჩაშალა საკუთარ საჯარიმოში.

**70.** კუნჭულია შეცდა საკუთარ საჯარიმოსთან, მაგრამ გოჩაშვილმა საჩუქარი ვერ შეირგო.

**75.** 1:1 ოქრუაშვილი აწვდის საჯარიმოში ჯარიმიდან, მასპინძელი მცველების შეუთანხმებელი ქმედების წყალობით ბურთი გალოგრეს მიუგორდა, რომელსაც არ გასჭირვებია გატანა.

**76.** 2:1 ანალოგიური ახლა უკვე ბათუმელ მცველებს დაემართათ და ისინი ხუჭუამ დასაჯა.

**82.** მოდებაძის დარტყმული სეფიაშვილმა მოიგერია.

**90.** გოჩაშვილს ერთხელაც შეექმნა კარგი ვითარება დასარტყმელად, მაგრამ ააცილა.

ბევრი რამ მოხდა პირველად "მერანისთვის" შაბათს - გუნდმა წლეულს პირველი გოლი გაიტანა, პირველი გამარჯვებაც მოიპოვა და "ბათუმი" დატოვა ერთადერთ გუნდად ჩემპიონატში, დღემდე გამარჯვება რომ არ მოუპოვებია.

თამაშის სანახაობრივ მხარეზე რა გითხრათ, მაგრამ საერთო ჯამში მასპინძლებს გამარჯვება ეკუთვნოდათ - უსახურ მატჩში მეტოქე მაინც დაჯაბნეს. ძალიან ბევრი წუნი იყო მატჩში. ეს ეხება არაზუსტ პასებს, დარტყმებს და რაც მთავარია, უამრავ ეპიზოდში არასწორი გადაწყვეტილების მიღებას. ამ ორმა ფაქტორმა მნიშვნელოვნად განაპირობა მატჩის უსახურობა, თორემ იყო ეპიზოდები, როცა ამა თუ იმ გუნდს შეეძლო რაიმე საინტერესო და თვალსასეირო გაეკეთებინა, მაგრამ...

მასპინძელთაგან შესვენებამდე ყველაზე მეტს **გოჩაშვილი** აქტიურობდა და შედეგიც მოიმკო. სტუმართაგან **კახა მახარაძე** გამოირჩეოდა, სხვებთან შედარებით უფრო მეტად ჭკვიანურად მოქმედებდა და თითქმის ყველა სახიფათო მომენტიც მან შექმნა "მერანის" კართან. ამასთან არაერთხელ მეტოქის შეტევა ჩაშალა. ბათუმელთა მწვრთნელი **ამირან გოგიტიძე** თამაშს თვალს ტრიბუნიდან ადევნებდა, დისკვალიფიკაცია ჰქონდა წინა მატჩში გაძევების გამო.

მეორე ტაიმში ბათუმელები შედარებით გააქტიურდნენ, თუმცა გატანილი გოლი უფრო მასპინძლებს უნდა დაბრალდეთ, ვერ გაერკვნენ რა გაეკეთებინათ საკუთარ საჯარიმოში, როცა **ოქრუაშვილმა** მარჯვენა ფრთიდან ჩაკიდა ბურთი. მასპინძელი მცველები ვერც მისი მეორედ ჩაწოდებისას გაერკვნენ ვითარებაში დროულად, მაგრამ ბათუმელებმა ამით ვერ ისარგებლეს. სამაგიეროდ სტუმართა არეულობით ისარგებლა **ხუჭუამ.** მას მანამდეც შეეძლო ეხეირა - **კუნჭულიას** აართვა ბურთი საჯარიმოსთან და გოჩაშვილს გადააწოდა, არადა თავად რომ გაეგრძელებინა შეტევა, შესაძლოა, უკეთესი ყოფილიყო.

ასეთ მატჩში ძნელია რომელიმე ფეხბურთელის გამორჩევა და ჩვენც ამჯერად თავს შევიკავეთ ამისგან.

**პაატა თოთაძე**



დავით კვირკველია

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სეზ. სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **იტალია** | | | | |
| **სერია A, III ტური** | | | | |
| კახა კალაძე | სიენა-მილანი | 1:1 | 90 წუთი | 3 თ, 0 გ. |
| **ესპანეთი** | | | | |
| **პრიმერა, III ტური** | | | | |
| შოთა არველაძე | რასინგი-ლევანტე | 1:0 | არ უთამაშია, ტრავმა | 0 თ, 0 გ. |
| **ინგლისი** | | | | |
| **პრემიერლიგა, VI ტური** | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ჩელსი-ბლექბერნი | 0:0 | არ უთამაშია | 0 თ, 0 გ. |
| **გერმანია** | | | | |
| **ბუნდესლიგა, V ტური** | | | | |
| ლევან კობიაშვილი | ბაიერნი-შალკე | 1:1 | ტრავმა | 2 თ, 1 გ. |
| ალექსანდრე იაშვილი | ვოლფსბურგი-კარლსრუე | 1:2 | 32 წთ. (შეცვლაზე) | 4 თ, 0 გ. |
| **II ბუნდესლიგა, V ტური** | | | | |
| მათე ღვინიანიძე | ახენი-მიუნხენი | 0:0 | 90 წთ | 5 თ, 0 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | მაინცი-ფრაიბურგი | 1:1 | არ უთამაშია | 0 თ, 0 გ. |
| დავით სირაძე | კაიზერი-პადერბორნი | 0:0 | ტრავმა | 4 თ, 0 გ. |
| ილია კანდელაკი | კარლ ცაისი-კობლენცი | 1:2 | არ უთამაშია | 4 თ, 0 გ. |
| გიორგი ონიანი | კარლ ცაისი-კობლენცი | 1:2 | არ უთამაშია | 0 თ, 0 გ. |
| გიორგი სეთურიძე | კარლ ცაისი-კობლენცი | 1:2 | ტრავმა | 0 თ, 0 გ. |
| **რეგიონალლიგა, VI ტური** | | | | |
| მიხეილ საჯაია | როიტლინგენი-შტუტგ. (მოყ) | 0:2 | 22 წთ. (შეცვლაზე) | 2 თ, 0 გ. |
| **უკრაინა** | | | | |
| **ვიშა ლიგა, VIII ტური** | | | | |
| დავით კვირკველია | მეტალურგი ზ.-ვორსკლა | 1:1 | 90 წუთი, საგოლე პასი, გააფრთხ. | 9 თ, 0 გ. |
| ირაკლი მოდებაძე | მეტალურგი ზ.-ვორსკლა | 1:1 | დუბლები | 0 თ, 0 გ. |
| ლაშა ჯაკობია | დნიპრო-მეტალისტი | 3:0 | არ უთამაშია | 1 თ, 0 გ. |
| ვასილ გიგიაძე | ხარკივი-ნეფტიანიკი | 1:0 | 31 წთ. (შეცვლაზე) | 9 თ, 0 გ. |
| ლადო ბურდული | კრივბასი-ზარია | 1:2 | 13 წთ. (შეცვლაზე) | 9 თ, 0 გ. |
| გიორგი ციმაკურიძე | კრივბასი-ზარია | 1:2 | არ უთამაშია | 0 თ, 0 გ. |
| გიორგი დემეტრაძე | არსენალი-ტავრია | 0:1 | 38 წთ. (შეცვლაზე) | 8 თ, 2 გ. |
| ოთარ მარცვალაძე | კარპატი-ზაკარპატიე | 2:0 | 90 წუთი | 7 თ, 1 გ. |
| კახა ალადაშვილი | კარპატი-ზაკარპატიე | 2:0 | 90 წუთი | 3 თ, 0 გ. |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო-მეტალისტი | 3:0 | 71 წთ. (შეცვალეს) | 7 თ, 0 გ. |
| **ავსტრია** | | | | |
| **ბუნდესლიგა, X ტური** | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | რაპიდი-შტურმი | 1:5 | 90 წუთი | 10 თ, 0 გ. |
| **II ბუნდესლიგა, VIII ტური** | | | | |
| მირზა ბუალავა | ავსტრია ლ.-ავსტრია (მოყ.) | 1:1 | არ უთამაშია | 3 თ, 0 გ. |
| **დანია** | | | | |
| **სუპერლიგა, IX ტური** | | | | |
| გიორგი პოპხაძე | ვიბორგი-ლუნგბიუ | 2:1 | არ უთამაშია | 4 თ, 0 გ. |
| **შვეიცარია** | | | | |
| **თასი** | | | | |
| სანდრო იაშვილი | პორენტრუა-თუნი | 0:4 | 58 წთ. (შეცვალეს) | 6 თ, 0 გ. |

ლეგიონერები

# უგოლოდ, უხეიროდ, სკამზე და სკამს მიღმაც...

## კაპიტანს ნერვიულობა შეატყვეს

საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე კლუბს დაუბრუნდა და შაბათს შეუცვლელად ითამაშა "სიენასთან" გასვლით მატჩში. "მილანი" 1:1 ფრეს დასჯერდა, გოლი კი კახას თანამეწყვილემ ალესანდრო ნესტამ გაიტანა. ეს მატჩის 91-ე წუთზე მოხდა. "ილ ჯორნალემ" კახას თამაში ხუთიანით შეაფასა: "გაშვებულ გოლში გარკვეული ბრალი მიუძღვის. დამაჯერებლად ვერ ითამაშა". ევროპის ორ სხვა უძლიერეს საფეხბურთო ლიგაში ქართველები ჯერ არ ჩანან - შოთა არველაძე ნაოპერაციევ მუხლს იშუშებს, ხოლო ზურაბ ხიზანიშვილი "ჩელსისთან" 0:0 დასრულებულ მატჩში განაცხადშიც კი არ შეიყვანა "ბლექბერნის" უელსელმა დამრიგებელმა მარკ ჰიუზმა.

### კობიაშვილი დიდ მატჩს დააკლდა

**ლევან კობიაშვილი** ბუნდესლიგის ერთ-ერთ საკვანძო მატჩს დააკლდა, "შალკე" "ბაიერნს" ესტუმრა და 1:1 ეთამაშა. **ოლივერ კანის** კარში სეზონში მხოლოდ მეორე გოლი გავიდა. სამწუხაროდ, ლევანმა ლუქსემბურგის ნაკრებთან მატჩში მიღებული ტრავმის გამო უკვე ბევრი გააცდინა, როგორც ნაკრებში, ასევე - კლუბში.

**ალექსანდრე იაშვილმა** კვლავ შეცვლაზე ითამაშა დბ "კარლსრუეს" გამარჯვებაში ლომის წილი ნამდვილად არ დაუდია.

მეორე ბუნდესლიგაში **დავით სირაძის** "პადერბორნისთვის" ჯერაც მიუღწეველია გატანილი გოლი. სირაძის გუნდი "კაიზერსლაუტერნს" სტუმრად დაუზავდა - 0:0. უკრაინის ნაკრების კარში გატანილი გოლის ავტორი მოედანზე ტრავმის გამო ვერ ვიხილეთ. "პადერბორნი" ორი ქულით გასავარდნ ზონაშია. ერთი საფეხურით დაბლაა ქართველთა "კარლ ცაისი", რომელსაც მხოლოდ ქულა აქვს. "კარლ ცაისი" შინ 1:2 დამარცხდა "კობლენცთან". ქართველთაო, კი აღვნიშნეთ, მაგრამ "კობლენცთან" მატჩის განაცხადში ერთი ჩვენებურიც არ ყოფილა. **ილია კანდელაკი** ალბათ გადაღლილი იყო, **გიორგი ონიანი** ვერ ხვდება ძირითადში, ხოლო **გიორგი სეთურიძე** ტრავმირებულია.

### დინამოს ჯავრი იყარა

**გიორგი შაშიაშვილმა**, ყოფილმა დინამოელმა, სრულად იყარა ჯავრი ავსტრიაში "რაპიდის" წინააღმდეგ. წინა ტურში მისმა "შტურმა" შინ მოუგო "დინამოს" გამანადგურებელ "რაპიდს" 1:0, ამ ტურში კი უკვე სტუმრად "შტურმმა" 5:1 გაანადგურა ვენის კლუბი. გიორგიმ, ტრადიციულად, შეუცვლელად ითამაშა ამ მატჩშიც. "შტურმი" 16 ქულით მეოთხე ადგილზეა.

### უკრაინამ რვაზე გაითვალა

ამ ტურს უკრაინის ჩემპიონატის ქართული არმია შეთხელებული შეხვდა, **გიორგი ლომაია** აღარ ირიცხება "კარპატიში", საქართველოს ნაკრების გოლკიპერმა ძირითად გუნდში ერთი არასრული მატჩის ჩატარება მოასწრო და 4 გოლი გაუშვა. **კახა მჟავანაძე** კი "ჩერნომორეციდან" პირველი ლიგის "დნისტერში" გაანათხოვრეს, მჟავანაძეს ერთხელაც არ უთამაშია ამ სეზონში ოდესელთა რიგებში. ამით ვიშა ლიგაში ქართველთა რიცხვი ათამდე შემცირდა, თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ **ირაკლი მოდებაძე** და **გიორგი ციმაკურიძე** თავიანთ გუნდებში სიმბოლურად ირიცხებიან, ქართული ლეგიონის რეალური რიცხვი რვაა.

ვინც დარჩნენ, ისინიც ვერ ბრწყინავენ. **ვასილ გიგიაძეს** არც გუნდში გაუმართლა, მისი "ნეფტიანიკი" 9 თამაშიდან 1 ქულით ბოლო ადგილზეა, თუმცა ასეთ სუსტ კლუბში წასვლა თავად ფეხბურთელმა გადაწყვიტა, არადა მას სხვა უკრაინული გუნდებიც ეპატიჟებოდნენ.. გიგიაძე სასტარტო შემადგენლობაში ვერ მოხვდა, ის 59-ე წუთზე გამოჩნდა "ხარკივთან" მატჩში, მაგრამ ვერაფერი გააკეთა - 0:1.

ლვოვში "კარპატი" "ზაკარპატიეს" შეხვდა და 2:0 აჯობა, გიორგი ლომაიას ნაცვლად კარში პოლონელი **მაცეი ნალეპა** ჩადგა. 90-90 წუთი ითამაშეს **კახა ალადაშვილმა** და **ოთარ მარცვალაძემ**, თუმცა თუ ალადაშვილი სტუმართა ყველაზე აქტიური ფეხბურთელი იყო, მარცვალაძეს საინტერესო არაფერი გაუკეთებია.

ზაპოროჟიეში "მეტალურგი" "ვორსკლასთან" მარცხს გადაურჩა. მატჩის 67-ე წუთზე **დავით კვირკველიას** დარტყმული საჯარიმო მასპინძელთა ფორვარდ **ვერნიდუბს** თავზე შეეხო და კარში შევიდა - 1:1. მატჩის მიწურულს კვირკველია მსაჯმა გააფრთხილა.

### იაშვილი კვლავ მშრალზეა

სათასო მატჩში "თუნმა" სტუმრად 4:0 გაანადგურა სამოყვარულო "პორენტრუა". **სანდრო იაშვილი** თავისი გუნდის ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი გახლდათ. მან ვერც ამ ცდაზე შეძლო თავისი შვეიცარიული საგოლე მონაგარის გაზრდა. "თუნის" გულშემატკივართა ფორუმს თუ ვერწმუნებით, ახალგაზრდა ქართველი ფორვარდი ბევრით ვერაფრით გამოირჩა. იგი 58-ე წუთზე, 0:1-ზე შეცვალეს, "თუნმა" მეტოქეს მისი მოედნიდან გასვლის შემდეგ გადაურბინა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**
**ლევან ჯანეზაშვილი**

## სიენა-მილანი 1:1

**სიენა:** ელეფთეროპულოსი-7, როსეტინი-6, პორტანოვა-6.5, ლორია-6.5, გრიმი-5, იაროლიმი-6.5, ვერგასოლა-6.5, გალოპა-6.5 (88. კოდრეა-შ.გ), ბუკი-6 (57. ფრიკი-5), მაკარონე-7 (74. კორვია-5), დე ჩელიე-6.5.

**მილანი:** დიდა-5, კაფუ-6, ნესტა-6, კალაძე-4, ფავალი-5 (61. იანკულოვსკი-6.5), გატუზო-5.5 (46. ინძაგი-6.5), ემერსონი-6 (65. ამბროზინი-6.5), ბროკი-6, გურკუფი-5.5, ზეედორფი-6.5, ჯილარდინო-5.

**გოლები:** 1:0 მაკარონე (24), 1:1 ნესტა (91)

**გაძევება:** ფრიკი (92. სიენა)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 6-9; **ჯარიმა:** 17-13; **თამაშგარე:** 0-5; **კარში დარტყმა:** 11-18 (6-12); **ბურთის ფლობა:** 34%-66%.

**მაყურებელი:** 10 000

## ლაციო-ემპოლი 0:0

**ლაციო:** მუსლერა-6, ბეჰრამი-5.5, სტენდარდო-5.5, კრიბარი-6, ძაური-6.5, მუდინგაი-5.5, ლედესმა-5.5, მუტარელი-6, დელ ნერო-5.5 (46. მეგნი-5.5), როკი-5.5 (78. ტარე-შ.გ), პანდევი-5 (70. მაკინვა-5.5).

**ემპოლი:** ბალი-6.5, რაჯი-6, მარძორატი-6, ვანილი-5.5, ტოსტო-6, ბუშე-6, ჯაკომაცი-5.5, მორო-6, მარკიზიო-5.5, ვანუკი-5.5 (78. ჯოვინკო-5.5), საუდატი-5 (84. ვოლპატო-შ.გ).

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 17-22; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 11-6 (9-5); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 16 000

## იუვენტუსი-უდინეზე 0:1

**იუვენტუსი:** ბუფონი-6, ბირინდელი-5.5, ანდრადე-5.5, კრიშიტო-5.5, კიელინი-5.5, კ. ძანეტი-6 (56. ტიაგო-5), ალმირონი-5.5, კამორანეზი-6 (30. ნოჩერინო-6), ნედვედი-6, დელ პიერო-6.5, ტრეზეგე-5.5 (56. იაკუინტა-5).

**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი-6.5, კოდა-6, დოსენა-6.5 (85. ლუკოვიჩი-შ.გ), ზაპოტოჩნი-6, საპატა-6, გ. დ'აგოსტინო-6, ინლერი-6.5, მესტო-5.5, კვალიარელა-6, დი ნატალე-6.5 (85. პეპე-შ.გ), ასამოა-6.5 (64. ფლორო ფლორესი-6).

**გოლი:** 0:1 დი ნატალე (48)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 8-8; **ჯარიმა:** 18-19; **თამაშგარე:** 6-6; **კარში დარტყმა:** 18-12 (6-7); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 25 000

## რეჯინა-რომა 0:2

**რეჯინა:** კამპანიოლო-6.5, ვალდესი-4.5, მოდესტო-6.5, ლანძარო-5.5, არონიკა-6, ვიჯანი-6 (73. ჩერავოლო-შ.გ), ბარეტო-6, კაშონე-5.5, ჰალფრედსონი-6.5 (61. ტონიოცი-5.5), ამორუზო-5, ტულბერგი-5 (54. სტადსგაარდი-6).

**რომა:** ა. დონი-6 (46. კურჩი-5.5), მექსე-6, ჟუანი-7 (71. სისინიო-6), ტონეტო-6, კასეტი-5, პეროტა-5, აკვილანი-6, დე როსი-6, ტადეი-5 (81. პისარო-შ.გ), ჟიული-6.5, ტოტი-6.

**გოლები:** 0:1 ჟუანი (51), 0:2 ტოტი (84)

**გაძევება:** ვალდესი (52. რეჯინა)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 1-4; **ჯარიმა:** 21-12; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 7-25 (5-12); **ბურთის ფლობა:** 32%-68%.

**მაყურებელი:** 20 000

## ფიორენტინა-ატალანტა 2:2

**ფიორენტინა:** ფრეი-6.5, გამბერინი-6, პასკუალი-6 (77. ბალცარეტი-შ.გ), უიფალუში-6.5, დაინელი-6, სემიოლი-6, ლივერანი-5.5, გობი-6 (61. კუჟმანოვიჩი-6.5), დონადელი-6, პაცინი-5.5, მუტუ-6 (59. ვიერი-7).

**ატალანტა:** ფ. კოპოლა-6, კაროციერი-5, ბელინი-5.5, რივალტა-5.5, ტალამონტი-6, კ. დონი-7, ტისონე-6 (78. ფლოკარი-შ.გ), დე აშენტისი-6, პინტუ-6.5 (57. პადოინი-6), ლანჯელა-5 (55. კაპელი-6), ძამპანია-7.5.

**გოლები:** 1:0 ბელინი (26-საკ. კარში), 1:1 კ. დონი (51), 2:1 ვიერი (74), 2:2 ძამპანია (86)

**გაძევება:** კაროციერი (48. ატალანტა)

**გაფრთხილება:** 4-5; **კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 21-23; **თამაშგარე:** 10-4; **კარში დარტყმა:** 15-6 (10-4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 27 600

## ინტერი-კატანია 2:0

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-6, კორდობა-6, მაქსველი-6, მაიკონი-6, ბურდისო-5.5, დაკური-7 (79. ხ. ძანეტი-6), სეზარი-7, კამბიასო-6.5, ფიგუ-7 (65. სტანკოვიჩი-6), კრესპო-6 (59. იბრაჰიმოვიჩი-6.5), ადრიანო-6.

**კატანია:** ბიცარი-6.5, ტერლიცი-5.5, საბატო-6, სილვესტრი-6, სტოვინი-6, მარტინესი-6 (46. ხ. ვარგასი-6.5), იცკო-6 (73. ჯაკ. ტედესკო-6), ბაიოკო-6.5, ედუსეი-6, სპინეზი-5, მასკარა-7 (71. მორიმოტო-6).

**გოლები:** 1:0 კრესპო (13), 2:0 სეზარი (79)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 9-9; **ჯარიმა:** 22-10; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 18-10 (13-4); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 40 000

## ნაპოლი-სამპდორია 2:0

**ნაპოლი:** იეცო-6, კანავარო-6.5, დომიცი-6.5, სავინი-6 (79. კონტინი-შ.გ), გრავა-6, კუპი-6.5, გარგანო-7, ბლაზი-7, ჰამსიკი-7.5 (87. ბოლიაჩინო-შ.გ), ლავეცი-7 (89. კალაიო-შ.გ), სალაიეტა-6.5.

**სამპდორია:** კასტელაცი-5, სალა-5.5, ბასტრინი-5 (65. ფრანჩესკინი-5.5), კ. ძენონი-5.5, ლუკინი-შ.გ (14. გასტალდელო-5.5), დელვეკიო-6, პალომბო-5, პიერი-5, სამარკო-5, მონტელა-5 (74. ბელუჩი-შ.გ), კარაჩოლო-5.5.

**გოლები:** 1:0 სალაიეტა (43), 2:0 ჰამსიკი (76)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 12-5; **ჯარიმა:** 15-21; **თამაშგარე:** 2-7; **კარში დარტყმა:** 21-5 (13-3); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 50 000

## პალერმო-ტორინო 1:1

**პალერმო:** ა. ფონტანა-6, ბარძალი-6, მ. პიზანო-შ.გ (27. ბრეშანო-6), ძაკარდო-6.5, რინაუდო-6, მილიაჩო-6, სიმპლისიუ-6.5, დიანა-6, მიკოლი-5 (71. ბრიენცა-შ.გ), ამაური-6, კავანი-5.5 (80. იანკოვიჩი-შ.გ).

**ტორინო:** სერენი-6, დელაფიორე-6.5, ლანა-6.5, კომოტო-6, ნატალი-7, როზინა-7, კორინი-6, ბარონე-6.5, პ. ძანეტი-5 (43. გრელა-6), ბელანოვიჩი-6.5, რეკობა-7.5.

**გოლები:** 1:0 სიმპლისიუ (4), 1:1 რეკობა (54)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 6-10; **ჯარიმა:** 22-18; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 7-18 (4-9); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 25 987

## ჯენოა-ლივორნო 1:1

**ჯენოა:** რუბინიო-6.5, ბოვო-6, ლუკარელი-6 (60. კონკო-6), ფაბიანო-6, ბეგა-5.5, მილანეტო-5.5 (67. პარო-5.5), მ. როსი-7, იურიჩი-6.5, სკული-5.5 (34. პაპა ვაიგო-5.5), ბორიელო-7, დი ვაიო-5.5.

**ლივორნო:** ამელია-6.5, კნეჟევიჩი-6, ბალერი-5.5, პასკუალე-5.5, გრანდონი-5, გალანტე-6, ლოვიზო-6.5, ვიდიგალი-6.5, პულცეტი-6 (79. ე. ფილიპინი-შ.გ), ბოგდანი-5.5 (46. როსინი-5.5), ტავანო-6 (65. დე ვეცე-5.5).

**გოლები:** 0:1 ტავანო (53-პენ), 1:1 ბორიელო (57)

**გაძევება:** ვიდიგალი (88. ლივორნო), იურიჩი (91. ჯენოა)

*მე-9 წუთზე მილანეტომ ვერ გაიტანა პენალტი (მიზანს მიღმა)*

**გაფრთხილება:** 2-5; **კუთხური:** 12-3; **ჯარიმა:** 24-23; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 17-13 (7-5); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 24 678

## პარმა-კალიარი 1:1

**პარმა:** ბუჩი-6, დ. ძენონი-6, ფერნანდო კოუტუ-6, ფალკონე-6, კასტელინი-6, დესენა-6 (82. მატეინი-შ.გ), ჩიგარინი-5.5 (89. პარავიჩინი-შ.გ), მორონე-6, პიზანუ-5.5 (55. მორფეო-5.5), კორადი-6.5, რეჟინალდო-5.5.

**კალიარი:** ფორტინი-6.5, ფერი-6, ლოპესი-6, ბიანკო-6, აგოსტინი-6, კონტი-6.5, პაროლა-6, ბიონდინი-5.5 (84. მანკოზუ-შ.გ), ა. დ'აგოსტინო-6 (82. ფოჯა-შ.გ), მატრი-6.5, ლარივეი-6 (80. აკვაფრესკა-შ.გ).

**გოლები:** 0:1 მატრი (41), 1:1 კორადი (72)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 23-27; **თამაშგარე:** 9-1; **კარში დარტყმა:** 11-6 (5-4); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 11 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რომა | 3 | 3 | 0 | 0 | 7-0 | 9 |
| 2. ინტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 3. ნაპოლი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-2 | 6 |
| 4. იუვენტუსი | 3 | 2 | 0 | 1 | 8-4 | 6 |
| 5. მილანი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-2 | 5 |
| 6. ფიორენტინა | 3 | 1 | 2 | 0 | 6-4 | 5 |
| 7. ატალანტა | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| 8. კალიარი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| 9. პალერმო | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| 10. სამპდორია | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 11. უდინეზე | 3 | 1 | 1 | 1 | 2-6 | 4 |
| 12. ტორინო | 3 | 0 | 3 | 0 | 5-5 | 3 |
| 13. ლაციო | 3 | 0 | 3 | 0 | 2-2 | 3 |
| 14. რეჯინა | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |
| 15. პარმა | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |
| 16. კატანია | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 |
| 17. ჯენოა | 3 | 0 | 2 | 1 | 1-4 | 2 |
| 18. სიენა | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 | 1 |
| 19. ემპოლი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |
| 20. ლივორნო | 3 | 0 | 1 | 2 | 4-10 | 1 |

**ბომბარდირები:** 4 - ტრეზეგე (იუვენტუსი); 3 - ფოჯა (კალიარი), კაკა (მილანი), სალაიეტა (ნაპოლი); 2 - ამორუზო (რეჯინა), აკვილანი (რომა), კ. დონი (ატალანტა), იაკუინტა (იუვენტუსი), იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), მატრი (კალიარი), მიკოლი (პალერმო), მუტუ (ფიორენტინა), როზინა (ტორინო), ტოტი (რომა), ძამპანია (ატალანტა).

## სერია B

IV ტური

**აველინო-ბოლონია 1:0**

გოლი: 1:0 სალგადო (17)

**ლეჩე-ასკოლი 0:0**

გაძევება: იოიკი (84. ასკოლი)

**კიევო-მოდენა 0:0**

**პიაჩენცა-ბარი 1:0**

გოლი: 1:0 მოლიონიკო (56)

**გროსეტო-ჩეზენა 0:0**

**პიზა-ბრეშა 0:3**

გოლები: 0:1 პოსანცინი (2), 0:2 პოსანცინი (49), 0:3 ძამბელი (55)

**მესინა-ფროზინონე 0:0**

**რავენა-ალბინოლეფე 0:2**

გოლები: 0:1 ა. კრისტიანო (50), 0:2 კოლომბო (74)

**რიმინი-ტრევიზო 2:1**

გოლები: 0:1 ვიალი (25), 1:1 ჟედა (35), 2:1 დ. კრისტიანო (53)

**ვიჩენცა-მანტოვა 0:0**

**სპეცია-ტრიესტინა 0:1**

გოლი: 0:1 გრაფიედი (73)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალბინოლეფე | 4 | 3 | 1 | 0 | 8-4 | 10 |
| 2. ბრეშა | 3 | 3 | 0 | 0 | 6-0 | 9 |
| 3. მანტოვა | 4 | 2 | 2 | 0 | 6-1 | 8 |
| 4. მოდენა | 4 | 2 | 2 | 0 | 7-3 | 8 |
| 5. კიევო | 4 | 2 | 2 | 0 | 5-1 | 8 |
| 6. ლეჩე | 4 | 2 | 2 | 0 | 4-2 | 8 |
| 7. რიმინი | 4 | 2 | 2 | 0 | 4-2 | 8 |
| 8. ბოლონია | 4 | 2 | 1 | 1 | 4-2 | 7 |
| 9. ფროზინონე | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| 10. პიზა | 4 | 2 | 0 | 2 | 4-6 | 6 |
| 11. ასკოლი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-3 | 5 |
| 12. ტრიესტინა | 4 | 1 | 2 | 1 | 3-5 | 5 |
| 13. მესინა | 4 | 1 | 2 | 1 | 2-5 | 5 |
| 14. რავენა | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 15. ბარი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-5 | 3 |
| 16. ტრევიზო | 4 | 1 | 0 | 3 | 2-4 | 3 |
| 17. აველინო | 4 | 1 | 0 | 3 | 2-4 | 3 |
| 18. პიაჩენცა | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| 19. ჩეზენა | 4 | 0 | 2 | 2 | 2-4 | 2 |
| 20. ვიჩენცა | 4 | 0 | 2 | 2 | 1-5 | 2 |
| 21. სპეცია | 4 | 0 | 1 | 3 | 4-8 | 1 |
| 22. გროსეტო | 4 | 0 | 1 | 3 | 1-6 | 1 |

ბომბარდირები: 4 - ჩელინი (ალბინოლეფე); 3 - ლოდი (ფროზინონე), ლონგო (მოდენა), პოსანცინი (ბრეშა).

## სერია C1/A

IV ტური

პრო სესტო-ფოჯა 2:0; სასუოლო-ვერონა 2:1; კრემონეზე-პრო პატრია 0:1; ლეკო-ვენეცია 1:1 ; ლენიანო-ფოლინიო 0:1; მანფრედონია-კავეზე 2:1; მონცა-პაგანეზე 2:1; ნოვარა-ტერნანა 2:0; ჩიტადელა-პადოვა დღეს.

## სერია C1/B

IV ტური

სორენტო-პერუჯა 0:0; არეცო-პისტოიეზე 2:1 ; ტარანტო-გალიპოლი 2:1; კროტონე-სალერნიტანა 0:0; იუვე სტაბია-პოტენცა 1:1; ლანჩანო-არონიკა 0:0; ლუკეზე-მარტინა 2:0; მასეზე-სანჯოვანეზე 1:0; პესკარა-სამბენედეტეზე 4:1.



სიენა-მილანი. მაკარონე (ზოლიან მაისურში) თამაშგარე მდგომარეობაში

იტალია. სერია A. III ტური

# ითანამშრომლე პოლიციასთან!

"მილანი" პირველ მარცხს გადაურჩა, "სიენამ" კი პირველი ქულა ჩაიწერა აქტივში, თუმც მოგებასთან ძალიან ახლოს იყო. ასე დაიწყო იტალიის ჩემპიონატის მორიგი ტური, რომელიც სანაკრებო ბატალიებს მოჰყვა და ამან ერთგვარი დაღიც დაასვა შაბათ-კვირის თამაშებს. მაგალითად, **კარლო ანჩელოტიმ** სიენაში გადახალისებული შემადგენლობა დააყენა. პირველად მოხვდა ძირითადში **ემერსონი,** არ იყვნენ **კაკა, პირლო**... მეორე ტაიმში გამოჩნდა **იანკულოვსკი**, რომელმაც ოთხშაბათს ჩეხეთს ირლანდიასთან მოაგებინა... რაკი თამაშში კორექტივები იყო შესატანი, შესვენების შემდეგ ანჩელოტიმ **ამბროზინი** და **ინძაგიც** გამოიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ "მილანი" ორი ფორვარდით ლამობდა თამაშის გადარჩენას, გუნდი მაინც მცველმა იხსნა. ფრონტის ხაზზე ჩასულმა **ნესტამ** მასპინძელთა საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და ახლო მანძილიდან 1:1 დააფიქსირა. თამაშის ბოლომდე დარჩენილ მცირე დროში კი **ზეედორფმა** ჯარიმიდან ძელის მოკითხვაც მოასწრო...

მაგრამ საინტერესო ამბები მანამდეც იყო, საინტერესოც და საყურადღებოც, ჩვენთვის პირველ რიგში. თუ მატჩისშემდგომ რეცენზიებს ვენდობით, შეხვედრის ანტიგმირი **კახა კალაძე** ყოფილა ("გაძეტამ" მას ძალიან დაბალი 4.0 დაუწერა, ცოტა მეტი "დატასპორტმა" - 4.5). საქართველოს ნაკრების კაპიტანი სამჯერ უხეშად შეცდა, ხოლო პირველივე შეცდომას გოლიც მოჰყვა: **ბუკიმ** საჯარიმოს გარედან დაარტყა, **დიდამ** ბურთი ვერ შეიმაგრა, კალაძემ კი ეს ბურთი **მაკარონეს** ჩააბარა - 1:0. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მანამდე მაკარონე აშკარა თამაშგარე მდგომარეობაში იყო, რაც ტელეგამეორებამაც დააფიქსირა. ეტყობა, კახამ ამ ეპიზოდზე ძალიან ინერვიულა, აიჭრა და მალე **დე ჩელიეს** მისცა გატანის შანსი, ხოლო მეორე ტაიმში **იაროლიმსაც** აჩუქა ბურთი... მატჩისშემდგომ კომენტარში ანჩელოტიმ მხოლოდ დიდასა და ლაინსმენის შეცდომებზე გაამახვილა ყურადღება, ზოგადად კი თავისი გუნდის თამაშით უკმაყოფილება გამოთქვა.

უკმაყოფილო იყო რომის "ოლიმპიკოზე" შეკრებილი 16 ათასი ქომაგიც, რომელმაც მეტისმეტად მოსაწყენი მატჩი "ლაციოს" პრეზიდენტ **კლაუდიო ლოტიტოს** ლანძღვაში გაატარა. ტრადიციულად, უფრო აქტიურობდნენ ჩრდილოეთ ტრიბუნაზე განთავსებული "ულტრასები" (ფანების რადიკალური დაჯგუფება). მაინც რა დააშავა ამისთანა ლოტიტომო, იკითხავთ ალბათ. რა და, "ლაციოსთვის" ახალი სტადიონის აშენება გადაწყვიტა დედაქალაქიდან 50 კილომეტრში გაშენებულ ვალმონტონეში და რა გასაკვირია, რომ რომაელი ფანები ამას სასტიკი პროტესტით შეხვდნენ. არადა, პროექტი მზადაა და მალე მშენებლობაც დაიწყება... ამას გარდა, არ შეიძლება, არ ვთქვათ "ემპოლის" პირველ ქულასა და "ლაციოს" ზედიზედ მესამე ფრეზეც. ისე, ამის შემხედვარე, ფანებს მარტო პრეზიდენტზე არ უნდა მოსდიოდეთ გული. დროა, ბიჭებსაც შემოუძახონ...

"უდინეზემ" "იუვენტუსს" პირველი მარცხი აგემა, თანაც ტურინში. ახლა კი ნამდვილად არ ვიცით, რას მივაწეროთ ფრიულელთა ორი კვირის წინანდელი საშინაო კოშმარი (0:5) "ნაპოლისთან". ფაქტი ისაა, რომ უდინელებმა ორ გასვლით მატჩში "ინტერსა" და "იუვეს" 4 ქულა აართვეს. კვლავ გამოიჩინა თავი **დი ნატალემ**, რომელმაც კიევურ დუბლს გუშინ კარიერის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გოლი შემატა. მან **დოსენას** ფლანგური გადაცემა მიიღო და **ბუფონს** ახლო მანძილიდან გაუტანა. მატჩის 35-ე წუთზე თამაში რამდენიმე წუთით შეწყდა. მავანმა ტურინელმა ტიფოზმა მოედანზე მძლავრი პეტარდა ისროლა. პუბლიკა პანიკაში ჩავარდა... და აი, აქ მოხდა უნიკალური ფაქტი კალჩოს ისტორიაში: ულირსი "ქომაგი" გარშემომყოფებმა შეიპყრეს და უმალ პოლიციას მიჰგვარეს...

"რომამ" სტუმრად "რეჯინას" აჯობა და ერთპიროვნულ ლიდერად იქცა. "ჯალოროსი" ერთადერთი გუნდია, რომელსაც სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში ჯერ ქულაც არ დაუკარგავს და არც გოლი გაუშვია. "პირველი ვიოლინო" კვლავ ტოტი იყო. "პუპონემ" ჯერ **ჟუანი** (პირველი იტალიური გოლი) დაასაჩუქრა საგოლე პასით, თამაშის მიწურულს კი, **სისინიოს** გადაცემით, თავად გაიტანა.

"ინტერმა" არც თუ იოლად დაამარცხა "კატანია". **რობერტო მანჩინიმ** გაამართლა თამაშის წინ გამოთქმული ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ **ადრიანო** ძირითადში იქნებოდა. ალბათ, ეს სანაკრებო ბატალიებით დაღლილი **იბრაჰიმოვიჩისთვის** აუცილებელი დასვენებით იყო გამოწვეული. ზლატანი მერე მაინც გამოჩნდა მოედანზე და **სეზარის** გოლში მცირე წვლილიც შეიტანა. პირველ ტაიმში კი **კრესპომ მაიკონისა** და ადრიანოს კომბინაცია დააგვირგვინა.

"ფიორენტინის" მაისურით **ვიერიმ** პირველი გოლი შეაგდო და "სტრიპტიზისთვის" უმალ ყვითელი ბარათიც აიკრა. ფლორენციული მატჩი ერთობ თვალსასეირო გამოდგა. "ატალანტა" თამაშის არასასურველ მსვლელობას არ შეურიგდა, მასპინძელს მცირე შტურმი მოუწყო და **ძამპანიას** გოლით დამსახურებულს ფრესაც გამოჰკრა ხელი. ნამატჩევს, **ჩეზარე პრანდელი** უხარისხო მოედნის გამო ჩიოდა. არც გაემტყუნება: სამშაბათს, "არტემიო ფრანკიზე", მომღერალ **ვასკო როსის** კონცერტი ჩატარდა და გაზონი მართლაც საშინელ მდგომარეობაში იყო.

**სალაიეტა** "ნაპოლიში" გაიხსნა და გოლი გოლზე გააქვს. მრავალთა გასაკვირად, "სან პაოლოზე" ნეაპოლელებმა "სამპდორიას" პრობლემების გარეშე მოუგეს. პალერმოში, "ტორინოს" სახელით პირველად იხეირა **რეკობამ** - 1:1. ამავე ანგარიშით მორჩა "ჯენოა"-"ლივორნოც", რაც იმას ნიშნავს, რომ სერია A-ში უქულო გუნდი აღარ დარჩა.

### მომდევნო ტური

22 სექტემბერი. **უდინეზე-რეჯინა, მილანი-პარმა.** 23 სექტემბერი. **ატალანტა-ლაციო, კალიარი-პალერმო, კატანია-ფიორენტინა, ემპოლი-ნაპოლი, ლივორნო-ინტერი, რომა-იუვენტუსი, ტორინო-სიენა, სამპდორია-ჯენოა.**

## ჰოლანდია

IV ტური

## გრონინგენი-უტრეხტი 0:2

**გოლები:** 0:1 ვან დიიკი (58-პენ), 0:2 სომერსი (86)

## ეინდჰოვენი-ვიტესი 1:0

**გოლი:** 1:0 კოევერმანსი (8)

## გრააფსხაპი-ვენლო 3:2

**გოლები:** 1:0 დე გროოტი (8), 2:0 ვინგი (26), 3:0 კელერი (83), 3:1 ლემანსი (89), 3:2 გააური (90)

## ექსელსიორი-ჰერენვეენი 2:5

**გოლები:** 1:0 დენ ოუდენი (20), 2:0 დენ ოუდენი (28), 2:1 სულეიმანი (39), 2:2 სიბონი (45), 2:3 ცუივერლონი (45), 2:4 სიბონი (52), 2:5 ბრედლი (53)

## ჰერაკლესი-აიაქსი 0:1

**გოლი:** 0:1 ჰუნტელაარი (76)

## როდა-ფეიენოორდი 1:3

**გოლები:** 1:0 ტაოტი (39), 1:1 მაკაი (47-პენ), 1:2 დე გუსმანი (62), 1:3 დე გუსმანი (70)

## ნიიმეგენი-ბრედა 0:1

**გოლი:** 0:1 დე გრააფი (43)

## სპარტა-ალკმაარი 2:2

**გოლები:** 1:0 მედუნიანინი (6-საკ. კარში), 2:0 ბუხარი (50), 2:1 ჯენერი (67), 2:2 ჰამდაუი (76)

## ვილემი-ტვენტე 1:3

**გოლები:** 1:0 მესუდი (24), 1:1 ნ'კუფო (31), 1:2 დემუგი (45-საკ. კარში), 1:3 დენებოომი (56)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფეიენოორდი | 4 | 4 | 0 | 0 | 13-1 | 12 |
| 2. აიაქსი | 4 | 3 | 1 | 0 | 15-4 | 10 |
| 3. ეინდჰოვენი | 4 | 3 | 1 | 0 | 8-0 | 10 |
| 4. ვიტესი | 4 | 3 | 0 | 1 | 4-2 | 9 |
| 5. ტვენტე | 4 | 2 | 2 | 0 | 7-3 | 8 |
| 6. ალკმაარი | 4 | 2 | 1 | 1 | 9-3 | 7 |
| 7. როდა | 4 | 2 | 1 | 1 | 9-8 | 7 |
| 8. გრააფსხაპი | 4 | 2 | 1 | 1 | 8-12 | 7 |
| 9. ბრედა | 4 | 2 | 0 | 2 | 5-9 | 6 |
| 10. ჰერენვეენი | 4 | 1 | 2 | 1 | 9-9 | 5 |
| 11. უტრეხტი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-7 | 5 |
| 12. გრონინგენი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 4 |
| 13. სპარტა | 4 | 0 | 3 | 1 | 8-9 | 3 |
| 14. ვენლო | 4 | 1 | 0 | 3 | 8-13 | 3 |
| 15. ვილემი | 4 | 0 | 2 | 2 | 3-7 | 2 |
| 16. ნიიმეგენი | 4 | 0 | 1 | 3 | 1-8 | 1 |
| 17. ჰერაკლესი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-9 | 0 |
| 18. ექსელსიორი | 4 | 0 | 0 | 4 | 3-13 | 0 |

**ბომბარდირები:** 6 - ჰუნტელაარი (აიაქსი); 5 - დე გროოტი (გრააფსხაპი); 4 - ნ'კუფო (ტვენტე), მაკაი (ფეიენოორდი), სუარესი (აიაქსი); 3 - დენ ოუდენი (ექსელსიორი), სიბონი (ჰერენვეენი), დე გუსმანი (ფეიენოორდი).

## II დივიზიონი

VII ტური

**კამბური-როსენდალი 2:2; ემენი-ომნივორლდი 0:0; დორდრეხტი-დენ ჰააგი 5:0; ვოლენდამი-იგლზი 5:1; ცვოლე-ვეენდამი 3:1; ფორტუნა-აპელდოორნი 5:2; ჰაარლემი-ეინდჰოვენი II 3:1; ჰელმონდი-დენ ბოში 0:1; ვაალვიკი-მაასტრიხტი 1:0; ტოპ ოსი-ტელსტარი 1:0.**

## შოტლანდია

VI ტური

## ჰართსი-რეინჯერსი 4:2

**გოლები:** 1:0 დრაივერი (13), 2:0 ტალი (27), 2:1 კუზენი (49-პენ), 3:1 სტიუარტი (66-პენ), 4:1 ივასკევიჩუსი (70), 4:2 ბისლი (74)

## აბერდინი-მაზერველი 1:2

**გოლები:** 0:1 ქუინი (34), 0:2 პორტერი (37), 1:2 ჯ. სმიტი (65)

## სელტიკი-ინვერნესი 5:0

**გოლები:** 1:0 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (15), 2:0დონატი (41), 3:0 ნაკამურა (56), 4:0 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (59), 5:0 მაკგუაირი (70-საკ. კარში)

## ფალკირკი-ჰიბერნიანი 1:1

**გოლები:** 0:1 დონალდსონი (5-პენ), 1:1 მუტინიო (47)

## გრეტნა-კილმარნოკი 1:2

**გოლები:** 0:1 გიბსონი (4), 0:2 ჯერვისი (36), 1:2 სკელტონი (90)

## დანდი იუნ-სტ. მირენი 2:0

**გოლები:** 1:0 ჰანტი (38), 2:0 რობერტსონი (68)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 6 | 5 | 1 | 0 | 22-3 | 16 |
| 2. რეინჯერსი | 6 | 5 | 0 | 1 | 20-7 | 15 |
| 3. დანდი იუნ | 6 | 4 | 1 | 1 | 9-2 | 13 |
| 4. ჰიბერნიანი | 6 | 3 | 3 | 0 | 10-6 | 12 |
| 5. მაზერველი | 6 | 4 | 0 | 2 | 8-7 | 12 |
| 6. კილმარნოკი | 6 | 3 | 1 | 2 | 7-6 | 10 |
| 7. ჰართსი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-10 | 8 |
| 8. სტ. მირენი | 6 | 2 | 0 | 4 | 4-11 | 6 |
| 9. აბერდინი | 6 | 1 | 2 | 3 | 7-10 | 5 |
| 10. ფალკირკი | 6 | 1 | 1 | 4 | 8-15 | 4 |
| 11. გრეტნა | 6 | 0 | 1 | 5 | 5-17 | 1 |
| 12. ინვერნესი | 6 | 0 | 0 | 6 | 2-16 | 0 |

**ბომბარდირები:** 5 - ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (სელტიკი); 4 - კუზენი (რეინჯერსი); 3 - ფლეტჩერი (ჰიბერნიანი), ჰიგდონი (ფალკირკი), ბრიუსტერი (ინვერნესი), დარშეილი (რეინჯერსი), ფერგიუსონი (რეინჯერსი), მილერი (სელტიკი), რობსონი (დანდი იუნ), ზემანა (ჰიბერნიანი), ნაკამურა (სელტიკი), დონატი (სელტიკი).

## I დივიზიონი

VI ტური

დანდი-დანფერმლაინი 1:1; ჰამილტონი-სტირლინგი 4:0; ლივინგსტონი-მორტონი 4:0; ქუინი-კლაიდი 1:1; სტ. ჯონსტონი-პარტიკი 2:1.

## II დივიზიონი

VI ტური

**ეირდრი-პიტერჰედი 1:1; ალოა-ქუინზ პარკი 2:0; ბირუიკი-ბრეჩინი 3:3; კოუდენბითი-ეირი 1:1; რეითი-როსი 0:2.**

## III დივიზიონი

VI ტური

**დამბარტონი-სტენჰაუზმური 1:2; ისტ სტირლინგი-სტრანრარი 2:3; ელჯინი-ალბიონი 3:2; ფორფარი-არბროა 1:3; მონროუზი-ისტ ფაიფი 3:1.**

BUNDES LIGA



ეროვნული ბიბლიოთეკა

### ბორუსია (დ)-ვერდერი 3:0

**ბორუსია (დ)**: ციგლერი-2.5, ფ. დეგენი-3.5, ბრჟენსკა-3, ვიორნსი-3.5, დედე-2 (63. კრუსკა-3), ტინგა-2, ბლაშჩიკოვსკი-2, კრინგე-3.5 (83. ამედიკი), ფედერიკო-4 (72. ბაკლი), პეტრიჩი-2, კლიმოვიჩი-3.

**ვერდერი**: ვიზე-3.5, პასანენი-4.5 (63. ბოენიში-3.5), მერტეზაკერი-4, ნალდო-5, ტოშიჩი-4.5, ბაუმანი-3.5, ვრანიეში-5, იენსენი-4, დიეგო-4 (46. ლ. ანდრეასენი-5.5), სანოგო-3.5, უგო ალმეიდა-4 (71. როზენბერგი).

**გოლები**: 1:0 პეტრიჩი (22), 2:0 კლიმოვიჩი (29), 3:0 პეტრიჩი (32).

**გაფრთხილება**: 2-4; **დარტყმა**: 6-13; **კუთხური**: 6-3; **ჯარიმა**: 28-17; **ბურთის ფლობა**: 42%-58%.

**მაყურებელი**: 79 030.

### შტუტგარტი-კოტბუსი 3:0

**შტუტგარტი**: რ. შეფერი-3, ოსორიო-3, ტასკი-3, მეირა-2.5, მანინი-3.5, პარდო-2.5, ჰილბერტი-3.5 (78. მაისნერი), და სილვა-3, ხედირა-2.5, მარიკა-3.5 (61. გომესი-2), კაკაუ-2 (73. ევერტონი).

**კოტბუსი**: პიპლიცა-2.5, ბაუმგარტი-5, კუკიელკა-4, მიტრესკი-4.5, ანგელოვი-5, ტ. როსტი-4 (75. შაო), ბასილა-5, სიორენსენი-5, სკელა-4.5, რანგელოვი-5 (59. ალონეფტისი-3.5), კიოიო-4.5 (69. რივიჩი-4).

**გოლები**: 1:0 კაკაუ (53), 2:0 ევერტონი (78), 3:0 გომესი (83).

**გაფრთხილება**: 1-2; **დარტყმა**: 24-7; **კუთხური**: 6-3; **ჯარიმა**: 16-17; **ბურთის ფლობა**: 62%-38%.

**მაყურებელი**: 41 000.

### ბაიერნი-შალკე 1:1

**ბაიერნი**: კანი-3, ლელი-3.5, ლუსიო-4.5, დემიკელისი-3.5, იანსენი-3.5, ვან ბომელი-3.5, ზე რობერტო-3.5, შვაინშტაიგერი-4 (67. ჰამით ალთინთოფი-3.5), რიბერი-3, კლოზე-2.5, ტონი-2.5 (74. პოდოლსკი).

**შალკე**: ნოიერი-3, რაფინია-3.5, ვესტერმანი-3, ბორდონი-3.5, პანდერი-3.5, ჯონსი-3, ფ. ერნსტი-2.5, რაკიტიჩი-2.5 (83. აზაუაგი), ასამოა-3.5 (71. ჰალილ ალთინთოფი), კურანი-4.5, ლოვენკრანდსი-5 (71. იოზილი).

**გოლები**: 0:1 რაკიტიჩი (36), 1:1 კლოზე (54).

**გაფრთხილება**: 1-1; **დარტყმა**: 14-12; **კუთხური**: 6-7; **ჯარიმა**: 22-18; **ბურთის ფლობა**: 59%-41%.

**მაყურებელი**: 69 000.

### ლევერკუზენი-ბოხუმი 2:0

**ლევერკუზენი**: ადლერი-3, კასტრო-3.5, მ. ფრიდრიხი-3.5, ჰაგი-2.5, გრეშკო-3.5 (71. შარპეი), ვიდალი-3.5, როლფესი-4, ბ. შნაიდერი-3, ბარნეტა-3.5 (90. კალსენ-ბრაკერი), კისლინგი-4.5, გეკასი-4.5 (77. ბარბარესი).

**ბოხუმი**: ლასტუვკა-3.5, კონჩა-3.5, მალტრიტცი-3.5, იაია-3.5, პფერცელი-4, სესტაკი-3.5, დაბროვსკი-4.5 (68. იმჰოფი-4), ცდებელი-4 (82. მიჩიელი), გროტე-3, ბეხმანი-4.5 (86. ილიჩევიჩი), ეპალე-3.5.

**გოლები**: 1:0 ჰაგი (62), 2:0 მ. ფრიდრიხი (88).

**გაძევება**: პფერცელი (54. ბოხუმი).

**გაფრთხილება**: 2-1; **დარტყმა**: 21-11; **კუთხური**: 8-9; **ჯარიმა**: 20-23; **ბურთის ფლობა**: 62%-38%.

**მაყურებელი**: 22 500.

### ნიურნბერგი-ჰანოვერი 2:2

**ნიურნბერგი**: ბლაჟეკი-3.5, დ. რაინჰარდტი-4, ვოლფი-3, გლაუბერი-5 (46. ენგელჰარდტი-3), პინოლა-4 (71. გალაშეკი), კლუგე-5 (46. კენედი-3.5), მნარი-4, მიშიმოვიჩი-2.5, მინტალი-3, კრისტიანსენი-4, ხარისტეასი-4.

**ჰანოვერი**: ენკე-3, ჩერუნდოლო-3.5, კლაინე-4, ფარენჰორსტი-4.5, ტარნატი-3.5, ბალიტში-3.5, კ. შულცი-5, როზენტალი-3, შტაინერი-4 (68. ბრუგინკი-4.5), ჰუშტი-3 (78. იანკოვი), ჰანკე-2 (88. ჟურავი).

**გოლები**: 0:1 ჰანკე (12), 0:2 ჰანკე (39), 1:2 მიშიმოვიჩი (60), 2:2 მინტალი (89).

**გაძევება**: შულცი (83. ჰანოვერი).

**გაფრთხილება**: 1-0; **დარტყმა**: 21-14; **კუთხური**: 6-6; **ჯარიმა**: 15-18; **ბურთის ფლობა**: 56%-44%.

**მაყურებელი**: 39 710.

### არმინია-ჰანზა 4:2

**არმინია**: ჰაინი-3.5, შულერი-4, მიატოვიჩი-3.5, ლანგკამპი-3.5 (87. ბოლმანი), რაუ-3.5, კუჩერა-3, ტეშე-3.5 (46. კაუფი-3.5), მასმანიდისი-3.5, ბიომე-2.5 (76. კამპერი), აიგლერი-2, ვიხნიარეკი-2.5.

**ჰანზა**: ვეხტერი-4.5, ლენზე-3.5, სებასტიანი-4, ორესტესი-5.5, პირსი-3.5, ბიულოვი-3, რათგები-4 (75. მენგა), შაპურზადე-5 (46. რიდლევიჩი-4), კერნი-2.5, რანი-4 (46. ჰენგე-4), აგალი-5.

**გოლები**: 1:0 აგალი (31-საკ. კარში), 1:1 კერნი (47), 2:1 აიგლერი (50), 3:1 აიგლერი (55), 4:1 ვიხნიარეკი (59), 4:2 ბიულოვი (63).

**გაფრთხილება**: 0-1; **დარტყმა**: 14-9; **კუთხური**: 4-1; **ჯარიმა**: 18-23; **ბურთის ფლობა**: 49%-51%.

**მაყურებელი**: 20 600.

### აინტრახტი-ჰამბურგი 2:1

**აინტრახტი**: პრიოლი-3, მაჰდავიკია-3, რუსი-3.5, კირიაკოსი-3.5, შპიხერი-3, ინამოტო-3.5, ფინკი-3.5, შტრაიტი-2.5 (89. პროისი), ა. მაიერი-1.5, ვაისენბერგერი-2 (65. ვასოსკი-3.5), თურკი-4.5 (75. ტაკაჰარა).

**ჰამბურგი**: ფ. როსტი-4.5, ჯ. ბოატენგი-4, კომპანი-3.5 (43. ბ. რაინჰარდტი-4), მატიისენი-4, ატუბა-5.5, იაროლიმი-4, დე იონგი-3.5, კასტელენი-4, ვან დერ ვაარტი-3, ოლიჩი-4.5 (72. გერერო), ზიდანი-4.5 (60. ჩუპო-მოტინგი-4).

**გოლები**: 1:0 ა. მაიერი (8), 1:1 ვან დერ ვაარტი (82-პენ), 2:1 ა. მაიერი (87).

**გაფრთხილება**: 1-4; **დარტყმა**: 16-17; **კუთხური**: 3-10; **ჯარიმა**: 22-22; **ბურთის ფლობა**: 47%-53%.

**მაყურებელი**: 51 500.

### დუისბურგი-ჰერტა 1:2

**დუისბურგი**: შტარკე-4, ლამეი-5.5, ფილიპესკუ-4 (82. ფერნანდო), შლიჩკე-5 (57. ვილი-4), კასერესი-3.5, გრლიჩი-4 (63. ლავრიჩი-3), ტარარაჩე-4.5, ტიფერტი-3.5, გეორგიევი-3.5, მაიკონი-4, იშიაკუ-4.0.

**ჰერტა**: დრობნი-3, შაჰედი-3.5, ა. ფრიდრიხი (15. ფონ ბერგენი-4), შიმუნიჩი-3, ფატი-3.5, დარდაი-3.5, ჟილბერტო-4, ებერტი-4.5 (62. გრანი-3.5), ლუსიო-3.5 (82. ა. შმიდტი), ანდრე ლიმა-4.0, პანტელიჩი-1.5.

**გოლები**: 0:1 პანტელიჩი (61), 0:2 პანტელიჩი (70), 1:2 ლავრიჩი (78)

**გაფრთხილება**: 2-2

**მაყურებელი**: 25 070

### ვოლფსბურგი-კარლსრუე 1:2

**ვოლფსბურგი**: იენტცში-3.5, რიტერი-4.5, კიროგა-3, ტიამი-3.5, მ. შეფერი-4, ჟოსუე-3, დეჟაგა-4.5 (82. მუნტეანუ), კრჟინოვეკი-2.5 (62. გენტნერი-4), მარსელინიო-4, ბოაკი-3.5 (54. ნიანგი-4.5), გრაფიტე-4.

**კარლსრუე**: მ. მილერი-3, ა. გიორლიტცი-3, ეგიმანი-3, შტოლი-3.5, აიხნერი-2.5, ადუობე-3.5 (46. პორსელო-3.5), მუტცელი-3.5 (78. სტაფელდტი), ტიმი-3, ჰაინალი-2.5, კარნელი-4 (58. იაშვილი), ფრაისი-3.

**გოლები**: 1:0 კრჟინოვეკი (21), 1:1 ეგიმანი (63), 1:2 აიხნერი (79)

**გაფრთხილება**: 1-2

**მაყურებელი**: 21 673

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 5 | 3 | 2 | 0 | 12-2 | 11 |
| 2. არმინია | 5 | 3 | 1 | 1 | 11-8 | 10 |
| 3. აინტრახტი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-5 | 10 |
| 4. დორტმუნდი | 5 | 3 | 0 | 2 | 9-7 | 9 |
| 5. ჰერტა | 5 | 3 | 0 | 2 | 7-6 | 9 |
| 6. კარლსრუე | 5 | 3 | 0 | 2 | 6-6 | 9 |
| 7. ლევერკუზენი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-2 | 8 |
| 8. შალკე | 5 | 1 | 4 | 0 | 9-6 | 7 |
| 9. შტუტგარტი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-6 | 7 |
| 10. ჰამბურგი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-5 | 7 |
| 11. ბოხუმი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-9 | 7 |
| 12. ჰანოვერი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-9 | 7 |
| 13. ვერდერი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-10 | 7 |
| 14. დუისბურგი | 5 | 2 | 0 | 3 | 8-7 | 6 |
| 15. ნიურნბერგი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-7 | 5 |
| 16. ვოლფსბურგი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-9 | 4 |
| 17. კოტბუსი | 5 | 0 | 2 | 3 | 2-9 | 2 |
| 18. ჰანზა | 5 | 0 | 0 | 5 | 3-11 | 0 |

**ბომბარდირები**: 4 - იშიაკუ (დუისბურგი), ვიხნიარეკი (არმინია), ა. მაიერი (აინტრახტი), ბეხმანი (ბოხუმი), ჰანკე (ჰანოვერი), კლოზე (ბაიერნი); 3 - ტონი (ბაიერნი), ჰაინალი (კარლსრუე), პანტელიჩი (ჰერტა), აიგლერი (არმინია), კლიმოვიჩი (დორტმუნდი), ვან დერ ვაარტი (ჰამბურგი).

### II ბუნდესლიგა

V ტური

**კარლ ცაისი-კობლენცი 1:2**

**გოლები**: 0:1 დაჰამი (29), 1:1 ომოდიაგბე (39), 1:2 დაჰამი (43)

**კაიზერი-პადერბორნი 0:0**

**სტ. პაული-ოფენბახი 3:1**

**გოლები**: 1:0 ლუდვიგი (3), 1:1 ზიგერი (22), 2:1 ბრაუნი (34), 3:1 ეგერი (64)

**კიოლნი-ფიურტი 0:0**

**ალემანია-მიუნხენი 0:0**

**აუგსბურგი-ვეენი 5:1**

**გოლები**: 1:0 ჰდიუადი (26-პენ), 2:0 ვორბეკი (28), 3:0 შაბიში (35), 4:0 ლედესმა (53), 4:1 ნიკუ (59), 5:1 ჰდიუადი (90)

**ჰოფენჰაიმი-ოსნაბრიუკი 3:1**

**გოლები**: 0:1 ტომიკი (13), 1:1 ბა (59), 2:1 ედუარდო (65), 3:1 კოპადო (81)

**მაინცი-ფრაიბურგი 1:1**

**გოლები**: 0:1 ბენჩიკი (90), 1:1 გიუნკელი (90)

**აუე-ბორუსია (მ) დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მიუნხენი | 5 | 3 | 2 | 0 | 13-4 | 11 |
| 2. ფიურტი | 5 | 3 | 2 | 0 | 7-2 | 11 |
| 3. მაინცი | 5 | 3 | 1 | 1 | 11-7 | 10 |
| 4. სტ. პაული | 5 | 3 | 0 | 2 | 6-5 | 9 |
| 5. ოფენბახი | 5 | 3 | 0 | 2 | 7-9 | 9 |
| 6. კიოლნი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| 7. ალემანია | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| 8. ფრაიბურგი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-6 | 8 |
| 9. აუე | 4 | 2 | 1 | 1 | 7-4 | 7 |
| 10. კობლენცი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-9 | 7 |
| 11. ვეენი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-11 | 7 |
| 12. ოსნაბრიუკი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-7 | 5 |
| 13. ბორუსია (მ) | 4 | 1 | 2 | 1 | 4-6 | 5 |
| 14. აუგსბურგი | 5 | 1 | 1 | 3 | 9-11 | 4 |
| 15. ჰოფენჰაიმი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-10 | 4 |
| 16. კაიზერი | 5 | 0 | 3 | 2 | 4-7 | 3 |
| 17. პადერბორნი | 5 | 0 | 2 | 3 | 0-4 | 2 |
| 18. კარლ ცაისი | 5 | 0 | 1 | 4 | 7-11 | 1 |

**ბომბარდირები**: 4 - დი სალვო (მიუნხენი), ფოილნერი (მაინცი), ჰდიუადი (აუგსბურგი), გიუნკელი (მაინცი); 3 - რაიზინგერი (ფიურტი), ბერჰალტერი (მიუნხენი), ნოვაკოვიჩი (კიოლნი), ომოდიაგბე (კარლ ცაისი).

### რეგიონალლიგა (ჩრ)

IX ტური

**ვერდერი II-ბრაუნშვაიგი 1:1; კოტბუსი II-ვოლფსბურგი II 0:0; დინამო (დრ)-დორტმუნდი II 0:0; ჰამბურგი II-ემდენი 0:0; მაგდებურგი-ფორტუნა 1:0; ესენი-ერფურტი 3:2; ფერლი-ალენი 2:2; ლიუბეკი-ობერჰაუზენი 0:0; ვუპერტალი-ბაბელსბერგი 4:0.**

### რეგიონალლიგა (სამ)

VIII ტური

**ინგოლშტადტი-კასელი 3:0; პფიულენდორფი-ზიგენი 0:0; შტ. კიკერსი-ზანდჰაუზენი 1:2; მიუნხენი-აალენი 3:0; ელვერსბერგი-კარლსრუე II 1:2; ფრანქფურტი-ბურგჰაუზენი 1:1; რეგენსბურგი-ბაიერნი II 2:0; როიტლინგენი-შტუტგარტი II 0:2; უნტერჰახინგი-ოგერშაიმი 3:0.**

გერმანია. ბუნდესლიგა. V ტური

# გიგანტი შეჩერებულია!

## დორტმუნდმა იმედების გამართლება დაიწყო...

მართალია, ბუნდესლიგის მე-5 ტურში საფეხბურთო გერმანიის ყურადღება მიუნხენისკენ იყო მიპყრობილი, მაგრამ ყველაზე საინტერესო და დაძაბული მატჩი პარასკევს, დორტმუნდში შედგა, სადაც "ბორუსიამ" მძიმე მდგომარეობაში მყოფი "ვერდერი" გაამწარა. 3:0 "მუსიკოსების" წინააღმდეგ, ზედიზედ მესამე გამარჯვება და ისეთი ფეხბურთი, როგორსაც "ვესტფალენშტადიონის" პუბლიკა ითხოვს - BVB-მ იმედების გამართლება დაიწყო. ამ მატჩში ყველაფერი მოხდა - იყო ლამაზი გოლები, სასტიკი უხეშობები, დაუნდობელი ბრძოლა და იყო ერთი ქერა ქალიც: 28 წლის **ბიბიანა შტაინჰაუსი**, რომელსაც ბუნდესლიგაში მეოთხე არბიტრის რანგში ჰქონდა დებიუტი. და ფრაუ შტაინჰაუსს პირველივე შეხვედრაში დიდი ჯაფა დაადგა, რადგან ორივე მწვრთნელი, სეხნიები, **დოლი** და **შააფი** წამდაუწუმ მთავარ მსაჯზე ბრაზობდნენ. მიზეზიც ჰქონდათ, რადგან **ზიპელს ალმეიდას**, **ბლაშჩიკოვსკისა** და **დიეგოს** გაძევება მართებდა - ეს სამეული ძალიან უხეშობდა და იმიტომ. შააფმა დიეგო შესვენებაზე ამიტომაც შეცვალა - ბრაზილიელი ზედმეტად აგრესიული გახლდათ. მაგრამ მსაჯმა ერთხელ მაინც ამოიღო წითელი ბარათი, რომელიც დიეგოს ნაცვლად გამოსულ **ანდრეასენს** უჩვენა - ამ უკანასკნელმა **ფედერიკო** მოცელა სასტიკად. გოლები კი, "ბორუსიას" ძალიან ლამაზი გამოუვიდა - ათ წუთში სამი. ჯერ კუბას პასით **პეტრიჩმა** იხეირა, მერე **კლიმოვიჩმა**, ბოლოს კი ისევ პეტრიჩმა, რომელიც შესანიშნავ ფორმაშია. "ვესტფალენშტადიონის" 75 000-იან პუბლიკას კი ზეიმის საფუძველი მიეცა - ერთწლიანი პაუზის შემდეგ, BVB სატურნირო ცხრილში, მოსისხლე მტერ "შალკეს" ისევ უსწრებს.

სუპერბაიერნს კი, სიტყვა "სუპერ" დროებით უნდა ჩამოვაშოროთ, რადგან აგერ უკვე ორი ტურია, რაც რეკორდმაისტერი ველარ ბრწყინავს. მეტიც: "შალკეს" მიუნხენში მოგებაც შეეძლო. ერთი რამ ცხადია: "ბაიერნის" მარში ჯერჯერობით შეჩერებულია - FCB "არმინიას" და "აინტრახტს" (!) მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს, იქვეა "დორტმუნდიც". "ბაიერნის" შეჩერება ამჯერად **ივან რაკიტიჩმა** შეძლო - 19 წლის ხორვატ-შვეიცარიელმა **ოლივერ კანს** იშვიათი სილამაზის გოლი გაუტანა (22 მეტრიდან) და რეკორდმაისტერს 2 ქულა დააკარგვინა. მიუნხენური გიგანტის ფანებმა "ალიანს-არენა" იმედგაცრუებულებმა დატოვეს - **რიბერი** მხოლოდ პირველ ტაიმში აქტიურობდა, მეორეში კი გადაღლილი იყო, **პოდოლსკი** კი, რომელიც გერმანია-რუმინეთის მატჩის გმირი გახდა, **ტონის** შეცვლის შემდეგ, ერთხელაც არ გამოჩენილა. ერთადერთი, ვინც გამოირჩა, **კლოზე** გახლავთ - მირომ წინა ტურში "ჰამბურგსაც" გაუტანა, ახლა კი "შალკესთან" გადაარჩინა ქულა. **კობიაშვილის** გუნდმა კი დაამტკიცა, რომ "ბაიერნი" არ არის და ვერ იქნება უკონკურენციო. 45-ე წუთზე რაკიტიჩი კანთან პირისპირ დარჩა და რომ გაეტანა, **ფრანც ბეკენბაუერის** თქმით, პირველ მარცხსაც აგემებდა "ბაიერნს", მაგრამ კანმა იმარჯვა. რაც შეეხება კლოზეს გოლს - მირომ ტონის დარტყმულს დაამატა. იტალიელის თავურს **ნოიერი** სასწაულებრივი რეფლექსით აღუდგა წინ, მაგრამ დაცემულმა, კლოზეს დარტყმას ველარაფერი მოუხერხა.

4 ტურის შემდეგ, "შტუტგარტს" მხოლოდ 4 ქულა ჰქონდა და ეს, ბუნდესლიგის ისტორიაში, ბოლო 39 წლის განმავლობაში, ჩემპიონის ყველაზე სუსტი სტარტი გახლდათ. მაგრამ მე-5 ტურში შვაბებმა "კოტბუსს" გადაურბინეს (3:0). მიუხედავად მოგებისა, VFB-ს თავკაც **არმინ ფეეს** ნამატჩევს პირიდან სალანძღავი სიტყვები ამოსდიოდა და არ გაინტერესებთ, ვინ იყო ფეეს განრისხების ობიექტი? ბუნდესმწვრთნელი **იოახიმ ლიოვი**! აქაოდა, **ჰიტცლშპერგერი** რუმინეთთან რატომ ათამაშა, თომასი ისედაც ტრავმას უჩიოდა და დღეს ტრიბუნაზე რომ იჯდა, ლიოვის დაუდევრობის ბრალიაო. გოლები ჩემპიონთაგან **კაკაუმ** და შეცვლაზე შესულებმა, **ევერტონმა** და **გომესმა** (ამ უკანასკნელს გრიპი ჰქონდა და გამოჯანმრთელება მოასწრო) გაიტანეს. ექსპერტთა აზრით, "შტუტგარტი" ჩემპიონთა ლიგისთვის მზადაა - ოთხშაბათს შვაბები "რეინჯერსს" სტუმრობენ.

მეორე ადგილზე რომ "არმინია" წამოსკუპებულა, ამ გუნდმა შაბათს უპირობო აუტსაიდერად ქცეულ "ჰანზას" მოუგო, თანაც დაჩაგრა (4:2). ბილეფელდელთა მწვრთნელის, **ერნსტ მიდენდორპის** აქციამ (შეგირდები სამდღიან შეკრებაზე წაასხა) შედეგი გამოიღო - "არმინიამ" მესამე თამაში მოიგო და ცხრილში მეორეა. აი, "ჰანზას" თავკაც **პაგელსდორფის** ადგილზე ყოფნას კი, მტერსაც არ უსურვებს კაცი - 5 ტურში 5 მარცხი და როსტოკული კლუბი ფსკერზე იხრჩობა. მესამე პოზიციაზე კი "აინტრახტია" და სავსებით დამსახურებულადაც, რადგან **ფრიდჰელმ ფუნკელის** სამწყსომ "ჰამბურგი" დაამარცხა (2:1). მატჩის გმირი **ალექს მაიერი** გახდა, რომელმაც HSV-ს დუბლი შეუსრულა და ამით შური იძია ყოფილ გუნდზე, სადაც 2003/04 წლების სეზონში თამაშობდა და სადაც დაიწუნეს. ჰამბურგელ **ტიმოთი ატუბას** კი სასჯელი ელის: მართალია, მსაჯმა მისი ცხოველური საქციელები ვერ შენიშნა, მაგრამ სადისციპლინო კომისიას არაფერი გამოეპარება - კამერუნელმა ჯერ **შტრაიტს** უთავაზა, მერე კი მაიერთან და **მაჰდავიკიასთან** ჩადენილი არასპორტული საქციელების გამო იმსახურებდა წითელ ბარათს.

"ლევერკუზენის" გამარჯვება (ბოხუმთან 2:0) ცენტრალური მცველების, **ქარიმ ჰაგისა** და **მანუელ ფრიდრიხის** დამსახურებაა, "ნიურნბერგმა" და "ჰანოვერმა" კი ქულები გაიყვეს. ექსპერტები გერმანიის თასის მფლობელისგან აშკარად უკეთეს სტარტს ელოდნენ...

### მომდევნო ტური

**21 სექტემბერი. ბოხუმი-აინტრახტი. 22 სექტემბერი. შალკე-არმინია, ვერდერი-შტუტგარტი, ჰამბურგი-ნიურნბერგი, ჰერტა-ბორუსია (დ), კოტბუსი-ვოლფსბურგი, ჰანზა-დუისბურგი. 23 სექტემბერი. ჰანოვერი-ლევერკუზენი, კარლსრუე-ბაიერნი.**



დორტმუნდი-ვერდერი 3:0. დიეგო კლიმოვიჩის გოლი

### ბელგია

VI ტური

**ანდერლეხტი-ვარეგემი 2:2**

**გოლები**: 1:0 ჰასანი (42), 2:0 ჰასანი (57), 2:1 იელავიჩი (74), 2:2 იელავიჩი (83)

**ბრიუგე-ლოკერენი 1:1**

**გოლები**: 1:0 ბლონდელი (67), 1:1 ვუკომანოვიჩი (87)

**ბეერსხოტი-შარლერუა 1:0**

**გოლი**: 1:0 დეედენე (57)

**მეხელენი-მუსკრონი 2:2**

**გოლები**: 0:1 ნიკუაზი (15), 0:2 კუსტოვიჩი (68), 1:2 ბაევსკი (87), 2:2 ივენსი (90-პენ)

**მონსი-ბრიუსელი 2:1**

**გოლები**: 0:1 ლუტულა (18), 1:1 ტუბი (58), 2:1 კორდარო (70)

**რუზელარე-სერკლი 0:2**

**გოლები**: 0:1 გომბამი (78), 0:2 გომბამი (90)

**ვესტერლო-დენდერი 0:0**

**გენტი-სტანდარდი 1:1**

**გოლები**: 0:1 კამარგო (43), 1:1 ტიისი (69)

**სტ. ტრუიდენი-გენკი 1:2**

**გოლები**: 1:0 ჰარტოგი (7), 1:1 ფრანკენი (14), 1:2 ბარდა (25)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტანდარდი | 6 | 5 | 1 | 0 | 19-5 | 16 |
| 2. ანდერლეხტი | 6 | 4 | 2 | 0 | 11-5 | 14 |
| 3. გენკი | 6 | 4 | 1 | 1 | 8-8 | 13 |
| 4. სერკლი | 6 | 4 | 0 | 2 | 13-8 | 12 |
| 5. გენტი | 6 | 3 | 2 | 1 | 14-7 | 11 |
| 6. ლოკერენი | 6 | 3 | 2 | 1 | 7-4 | 11 |
| 7. ბრიუგე | 6 | 3 | 2 | 1 | 9-7 | 11 |
| 8. შარლერუა | 6 | 3 | 1 | 2 | 8-5 | 10 |
| 9. მუსკრონი | 6 | 3 | 1 | 2 | 11-9 | 10 |
| 10. ვარეგემი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-10 | 8 |
| 11. ბეერსხოტი | 6 | 2 | 1 | 3 | 5-6 | 7 |
| 12. ვესტერლო | 6 | 2 | 1 | 3 | 2-4 | 7 |
| 13. რუზელარე | 6 | 1 | 3 | 2 | 4-8 | 6 |
| 14. დენდერი | 6 | 1 | 2 | 3 | 5-10 | 5 |
| 15. მონსი | 6 | 1 | 1 | 4 | 6-11 | 4 |
| 16. მეხელენი | 6 | 0 | 3 | 3 | 5-9 | 3 |
| 17. ბრიუსელი | 6 | 0 | 1 | 5 | 2-12 | 1 |
| 18. სტ. ტრუიდენი | 6 | 0 | 0 | 6 | 5-13 | 0 |

**ბომბარდირები**: 7 - იოვანოვიჩი (სტანდარდი); 5 - გრეგუარი (გენტი); 4 - აკპალა (შარლერუა), გომბამი (სერკლი), იაშჩუკი (სერკლი), კუსტოვიჩი (მუსკრონი), მბოკანი (სტანდარდი); 3 - დესტორმი (დენდერი), ფელენი (სტანდარდი), ტამბვე (ლოკერენი), ტომუ (მუსკრონი), ჰასანი (ანდერლეხტი), იელავიჩი (ვარეგემი).

### II დივიზიონი

V ტური

**ეუპენი-დაინცე 3:1; ოსტენდე-ლიერსი 0:2; როკ დე შარლერუა-ვაასლანდი 3:0; ტურნე-ჰეეერლე 2:2; ლომელი-გეელი 1:1; ტუბეკე-ანტვერპენი 1:1; ბევერენი-სტ. ჟილი 1:0; ტინენი-ჰამე 2:3; კორტრიიკი-ვირტონი 2:1.**

### პორტუგალია

IV ტური

**სეტუბალი-ბრაგა 3:1**

**გოლები**: 1:0 მათეუსი (12), 2:0 ელიაში (58), 2:1 პეიშოტო (69-პენ), 3:1 ედინიო (83)

**ბოავიშტა-ლეიქსოეში 0:0**

**პორტუ-მარიტიმუ 1:0**

**გოლი**: 1:0 ლ. ლოპესი (56)

**ბენფიკა-ნავალი 3:0**

**გოლები**: 1:0 კ. როდრიგესი (23), 2:0 რ. კოშტა (35), 3:0 ნუნუ გომეში (52)

**აკადემიკა-ფერეირა 1:0**

**გოლი**: 1:0 ბარბოსა (87)

**ამადორა-სპორტინგი 0:2**

**გოლები**: 0:1 ლიედსონი (8), 0:2 ვუკჩევიჩი (29)

**ბელენენსეში-ლეირია 2:1**

**გოლები**: 0:1 ჟ. პაულუ (11), 1:1 პაულისტა (51), 2:1 ბლკანტარა (71)

**გიმარაეში-ნასიონალი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 4 | 4 | 0 | 0 | 7-1 | 12 |
| 2. მარიტიმუ | 4 | 3 | 0 | 1 | 7-2 | 9 |
| 3. სპორტინგი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-2 | 9 |
| 4. ბენფიკა | 4 | 2 | 2 | 0 | 7-1 | 8 |
| 5. სეტუბალი | 4 | 1 | 3 | 0 | 5-3 | 6 |
| 6. ბრაგა | 4 | 2 | 0 | 2 | 6-6 | 6 |
| 7. ლეიქსოეში | 4 | 0 | 4 | 0 | 4-4 | 4 |
| 8. ამადორა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 9. ბელენენსეში | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 10. აკადემიკა | 4 | 1 | 1 | 2 | 3-7 | 4 |
| 11. გიმარაეში | 3 | 0 | 3 | 0 | 3-3 | 3 |
| 12. ბოავიშტა | 4 | 0 | 3 | 1 | 1-3 | 3 |
| 13. ფერეირა | 4 | 0 | 2 | 2 | 3-6 | 2 |
| 14. ნასიონალი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-4 | 2 |
| 15. ლეირია | 4 | 0 | 2 | 2 | 2-6 | 2 |
| 16. ნავალი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-7 | 2 |

**ბომბარდირები**: 3 - მაკუკულა (მარიტიმუ), ფახარდო (გიმარაეში); 2 - ლიედსონი (სპორტინგი), კანუ (კანუ), კუარეშმა (პორტუ), სეკტიუი (პორტუ).

### II დივიზიონი

IV ტური

**რიუ ავე-ჟილ ვისენტე 1:0; ტროფენსე-ავეში 2:1; ვარზიმი-ვიზელა 0:0; ბეირა მარი-პენაფიელი 1:0; ეშტორილი-ფრეამუნდე 3:2; ფეირენსე-ფატიმა 2:2; გონდომარი-პორტიმონენსე 0:0; ოლანენსე-სანტა კლარა 2:2.**

## ევერტონი-მანჩესტერ იუნ. 0:1

**ევერტონი:** ვესელსი, ბაინესი, ჰიბერტი, ლესკოტი, ფილ ნევილი (85. მაკფადენი), იობო, არტეტა, ჟაგიელკა, ოსმანი (73. პიენაარი), ენდი ჯონსონი, იაკუბუ (74. ანიჩებე).

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, ბრაუნი, ევრა, რიო ფერდინანდი, სილვესტრი (41. ნანი/85. პიკე), ვიდიჩი, ქერიკი, გიგზი (63. საა), რონალდო, სქოულზი, ტევესი.

**გოლი:** 0:1 ვიდიჩი (83)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 9(2)-19(8); **ჯარიმა:** 20-10; **კუთხური:** 3-6; **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 39 364

## პორტსმუთი-ლივერპული 0:0

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, სოლ კემპბელი, დესტენი, ჰრეიდარსონი, გლენ ჯონსონი, წონ დევისი, დიოპი, მუნტარი, უტაკა, კანუ, მვარუვარი (67. კრანჩარი).

**ლივერპული:** რეინა, აგერი, არბელოა, კარაგერი, ფინენი, ჩაბი ალონსო (77. ბაბელი), ბენაიუნი, პენანტი (67. ჯერარდი), სისოკო, კრაუჩი (62. ტორესი), ვორონინი.

*32-ე წუთზე კანუმ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 9(2)-15(6); **ჯარიმა:** 20-14; **კუთხური:** 5-4; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 20 388

## ტოტენჰემი-არსენალი 1:3

**ტოტენჰემი:** რობინსონი, ბეილი (69. ლენონი), შიმბონდა, დოსონი, ქაბული, ლი, ჰადლსტონი, ჯენასი, მალბრანკი (82. დარენ ბენტი), ბერბატოვი, რობი კინი.

**არსენალი:** ალმუნია, კლიში, სანია, კოლო ტურე, ჟილბერტო, დიაბი (56. როსიცკი), ფაბრეგასი, ფლამინი, გლები (90. სონგ ბილონგი), ადებაიორი, ვან პერსი (85. დენილსონი).

**გოლები:** 1:0 ბეილი (15), 1:1 ადებაიორი (65), 1:2 ფაბრეგასი (80), 1:3 ადებაიორი (90).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 15(5)-16(10); **ჯარიმა:** 28-22; **კუთხური:** 8-4; **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 36 053

## ბირმინგემი-ბოლტონი 1:0

**ბირმინგემი:** მაიკ ტეილორი, ჯურუ, კელი, კუოდრო, რიჯველი, კაპო, ლარსონი, მაკშეფრი (90. შმიტცი), მუამბა (87. მელენდესი), ნაფტი, ჯერომი (90. ოკონორი).

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, ჰანტი, მეიტე, ობრაიენი (77. სიდი), სამუელი (73. გარდნერი), მიკელ ალონსო (54. ბრაატენი), მაკენი, ნოლანი, სპიდი, ანელკა, დიუფი.

**გოლი:** 1:0 კაპო (37).

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 13(5)-9(3); **ჯარიმა:** 16-15; **კუთხური:** 6-5; **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 28 124

## სანდერლენდი-რედინგი 2:1

**სანდერლენდი:** გორდონი, ჰიგინბოთემი, მაკშეინი, ნოსვორთი, კოლინსი, ეტუჰუ, ლიდბიტერი, უოლესი (64. სტოუკსი), ჩოპრა (81. მილერი), ჯოუნსი (83. მერფი), იორკი.

**რედინგი:** ჰანემანი, ბიკი, ინგიმარსონი, მერტი, როსენორი (78. კონვეი), შორი, გუნარსონი (73. ფაე), არპერი, სტივ ჰანტი, კიტსონი, ლიტა (67. ლონგი).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 14(8)-12(4); **ჯარიმა:** 14-18; **კუთხური:** 9-9; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**გოლები:** 1:0 ჯოუნსი (29), 2:0 უოლესი (47), 2:1 კიტსონი (85).

**მაყურებელი:** 39 272

## ვესტ ჰემი-მიდლსბრო 3:0

**ვესტ ჰემი:** გრინი, კოლინზი, მაკარტი, ნილი, აპსონი, ბოუიერი, ეთერინგტონი (78. ბოა მორტე), მულინზი, ნობლი, ეშტონი (81. ლიუნგბერგი), ბელამი (26. კარლტონ კოული).

**მიდლსბრო:** შვარცერი, ენდრიუ ტეილორი (83. დევისი), უიტერი, ვუდგეიტი, იანგი, არკა, ბოატენგი, დაუნინგი, როშემბაკი (68. ონილი), ალიადიერი (30. თუნჯაი), მიდო.

**გოლები:** 1:0 ბოუიერი (46), 2:0 იუნგი (51-საკ.კარში), 3:0 ეშტონი (62).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 14(7)-16(12); **ჯარიმა:** 14-14; **კუთხური:** 5-8; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 34 351

## ვიგანი-ფულჰემი 1:1

**ვიგანი:** კერკლანდი, ბოისი, ბრემბლი, გრანკვისტი, მელხიოტი, შარნერი, ბრაუნი, კუმასი, სიბირსკი (74. აგაჰოვა), კოტერილი (60. სკოკო), ჰესკი (9. მარკუს ბენტი).

**ფულჰემი:** ნიემი, ბეირდი, ბოკანეგრა, ჰიუზი, კონჩესკი, საიმონ დევისი, სტივ დევისი (84. მერფი), დემპსი, სმერტინი, ბუაზა (84. კი ჰიეონი), დიომანსი კამარა (67. ჰილი).

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 14(4)-11(5); **ჯარიმა:** 8-10; **კუთხური:** 9-4; **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**გოლები:** 0:1 დემპსი (11), 1:1 კუმასი (80-პენ).

**მაყურებელი:** 16 973

## ჩელსი-ბლექბერნი 0:0

**ჩელსი:** ჩეხი, ალექსი, ემლი კოული (88. ბენ ჰაიმი), ტერი, ჯო კოული, ესიენი, სიდველი (57. ობი), რაიტ-ფილიპსი (57. მალუდა), კალუ, შევჩენკო.

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ნელსენი, სამბა (90. ოოიერი), უორნოკი, ბენტლი, დანი (81. მოკოენა), ემერტონი, პედერსენი, სევიჯი, მაკარტი (68. რობერტსი), სანტა კრუსი.

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 16(8)-5(1); **ჯარიმა:** 21-13; **კუთხური:** 9-2; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 41 062

## მანჩესტერ სიტი-ასტონ ვილა 1:0

**სიტი:** შმაიხელი, კორლუკა, გარიდო, ონუოა, რიჩარდსი, ელანო (83. ბოლი), ჰამანი, მაიკლ ჯონსონი, მარტინ პეტროვი, მპენზა (85. ბიანკი), ვასელი (64. სუნი).

**ვილა:** კარსონი, ბუმა (82. გარდნერი), ნაიტი, ლაურსენი, მელბერგი, ბერი, რეო-კოკერი (82. პეტროვი), აგბონლაორი, კარიუ (66. მელონი), მური, იანგი.

**გოლები:** 1:0 ჯონსონი (48)

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 12(8)-11(2); **ჯარიმა:** 11-14; **კუთხური:** 8-6; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 38 363

**დერბი-ნიუკასლი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 5 | 4 | 1 | 0 | 10-4 | 13 |
| 2. მანჩესტერ ს. | 6 | 4 | 0 | 2 | 5-2 | 12 |
| 3. ლივერპული | 5 | 3 | 2 | 0 | 11-2 | 11 |
| 4. მანჩესტერ იუნ | 6 | 3 | 2 | 1 | 4-2 | 11 |
| 5. ჩელსი | 6 | 3 | 2 | 1 | 7-6 | 11 |
| 6. ვესტ ჰემი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-3 | 10 |
| 7. ევერტონი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-6 | 10 |
| 8. ბლექბერნი | 5 | 2 | 3 | 0 | 5-3 | 9 |
| 9. ნიუკასლი | 4 | 2 | 2 | 0 | 6-3 | 8 |
| 10. ვიგანი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-5 | 8 |
| 11. ასტონ ვილა | 5 | 2 | 1 | 2 | 5-4 | 7 |
| 12. ბირმინგემი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-9 | 7 |
| 13. მიდლსბრო | 6 | 2 | 1 | 3 | 7-9 | 7 |
| 14. სანდერლენდი | 6 | 2 | 1 | 3 | 5-9 | 7 |
| 15. პორტსმუთი | 6 | 1 | 3 | 2 | 7-8 | 6 |
| 16. ფულჰემი | 6 | 1 | 2 | 3 | 9-11 | 5 |
| 17. ტოტენჰემი | 6 | 1 | 1 | 4 | 9-11 | 4 |
| 18. რედინგი | 6 | 1 | 1 | 4 | 3-10 | 4 |
| 19. ბოლტონი | 6 | 1 | 0 | 5 | 7-11 | 3 |
| 20. დერბი | 5 | 0 | 1 | 4 | 3-15 | 1 |

**ბომბარდირები:** 4 - ანელკა (ბოლტონი); 3 - სიბიერსკი (ვიგანი), ლემპარდი (ჩელსი), ფერნანდო ტორესი (ლივერპული), ფაბრეგასი (არსენალი), ადებაიორი (არსენალი), დემპსი (ფულჰემი).

## ჩემპიონატი

V ტური

**ბარნსლი-სკანთორფი** 2:0

გოლები: 1:0 მ. უილიამსი (45-საკ. კარში), 2:0 ოდეიაი (65)

**ბარნლი-ბლექპული** 2:2

გოლები: 1:0 ს. ჯონსი (52), 1:1 ჰოლაჰანი (73-პენ), 2:1 აკინბიი (86), 2:2 მორელი (90)

**კოლჩესტერი-ჩარლტონი** 2:2

გოლები: 1:0 იტსი (32), 2:0 ლისბი (38), 2:1 ტოდოროვი (45), 2:2 ჟი (73)

**ქოვენთრი-ბრისტოლი** 0:3

გოლები: 0:1 მაკინდო (15), 0:2 კონსტანტოპულოსი (74-საკ. კარში), 0:2 დე ზეუვი (90)

**ჰალი-სტოკი** 1:1

გოლები: 0:1 დელაპი (44), 1:1 ლივერმორი (87)

**ლესტერი-ქუინზ პარკი** 1:1

გოლები: 1:0 ჰამი (63-პენ), 1:1 ლიგერტვუდი (82)

**ნორვიჩი-კრ. პალასი** 1:0

გოლი: 1,0 სტრიჰავკა (75)

**პრესტონი-უენსდი** 1:0

გოლი: 1:0 პ. გალაჰერი (28)

**შეფილდი-ვულვზი** 3:1

გოლები: 0:1 ელიოტი (24), 1:1 ბიტი (57), 2:1 ბიტი (83-პენ), 3:1 სტიდი (90)

**ვესტ ბრომვიჩი-იფსვიჩი** 4:0

გოლები: 1:0 მილერი (23), 2:0 ტეიშეირა (87), 3:0 კ. ფილიპსი (89), 4:0 კ. ფილიპსი (90)

**პლიმუტი-კარდიფი** 2:2

გოლები: 1:0 ებენქს-ბლეიკი (30), 2:0 ებენქს-ბლეიკი (58), 2:1 რაე (71), 2:2 ტომპსონი (88)

**უოტფორდი-საუთჰემპტონი** 3:2

გოლები: 1:0 შიტუ (42), 1:1 რასიაკი (45), 1:2 დაიერი (69), 2:2 ჰენდერსონი (81), 3:2 ჰენდერსონი (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უოტფორდი | 5 | 4 | 0 | 1 | 9-7 | 12 |
| 2. ბრისტოლი | 5 | 3 | 2 | 0 | 9-4 | 11 |
| 3. ქოვენთრი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-6 | 10 |
| 4. ვესტ ბრომვიჩი | 5 | 3 | 0 | 2 | 9-3 | 9 |
| 5. ჩარლტონი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-7 | 8 |
| 6. ბლექპული | 5 | 2 | 2 | 1 | 7-6 | 8 |
| 7. სტოკი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-5 | 8 |
| 8. შეფილდი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-7 | 7 |
| 9. კარდიფი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-5 | 7 |
| 10. სკანთორფი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| 11. ვულვზი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| 12. ბარნლი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-7 | 7 |
| 13. ნორვიჩი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-5 | 7 |
| 14. ბარნსლი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-10 | 7 |
| 15. იფსვიჩი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-8 | 7 |
| 16. კოლჩესტერი | 5 | 1 | 3 | 1 | 11-9 | 6 |
| 17. ლესტერი | 5 | 1 | 3 | 1 | 7-5 | 6 |
| 18. პლიმუტი | 5 | 1 | 3 | 1 | 8-8 | 6 |
| 19. საუთჰემპტონი | 5 | 2 | 0 | 3 | 10-11 | 6 |
| 20. ჰალი | 5 | 1 | 2 | 2 | 7-8 | 5 |
| 21. კრ. პალასი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-6 | 4 |
| 22. პრესტონი | 5 | 1 | 1 | 3 | 2-7 | 4 |
| 23. ქუინზ პარკი | 4 | 0 | 2 | 2 | 3-8 | 2 |
| 24. უენსდი | 5 | 0 | 0 | 5 | 4-12 | 0 |

**ბომბარდირები:** 4 - ფილიპსი (ვესტ ბრომვიჩი), ებენქს-ბლეიკი (პლიმუტი), ბიტი (შეფილდი), ჰოვარდი (ბარნსლი); 3 - ლი (იფსვიჩი), სკოუკროფტი (კრ. პალასი), ისტვუდი (ვულვზი), გრეი (ბარნლი), პატერსონი (სკანთორფი), რასიაკი (საუთჰემპტონი), ლისბი (კოლჩესტერი).

## I ლიგა

VI ტური

**როვერსი-ლიდსი 0:3; სუონსი-კარლაილი 2:1; ტრანმერი-ლუტონი 2:1; ბორნმუთი-ნორთჰემპტონი 1:1; ჯილინგემი-ბრაიტონი 1:0; ჰარტლპული-სუინდონი 1:1; ჰადერსფილდი-ჩელტენემი 2:3; მილუოლი-უოლსოლი 1:2; ოლდჰემი-საუთენდი 0:1; პორტ ვეილი-ნოტინგემი 0:2; იეოვილი-ლეიტონი 0:1; დონკასტერი-ქრიუ 2:0.**

## II ლიგა

VI ტური

**მენსფილდი-ჩესტერფილდი 1:3; ბარნეტი-როჩდეილი 0:0; ბრედფორდი-პიტერბრო 1:0; ბრენტფორდი-მილტონი 0:3; ბერი-ჩესტერი 0:2; დარლინგტონი-ლინკოლნი 2:0; გრიმსბი-სტოკპორტი 1:1; მაკლსფილდი-უიკომბი 1:2; მორეკამბი-ჰერეფორდი 0:3; ნოტსი-დაგენჰემი 1:0; შრიუსბერი-აკრინგტონი 2:0; რექსჰემი-როტერჰემი 0:1.**

## კონფერენსი

IX ტური

**ტორკი-ჰალიფაქსი 3:1; კემბრიჯი-ქროული 2:1; დროილსდენი-უეიმაუთი 1:3; ფარსლი-ექსეტერი 0:2; გრავესენდი-კიდერმინსტერი 5:4; ნორთვიჩი-ჰისტონი 1:3; ოქსფორდი-ალდერშოტი 2:3; რაშდენი-ბარტონი 0:0; სტეფორდი-გრეისი 0:2; უოკინგი-ალტრინჩემი 2:0; იორკი-სტევენეიჯი 0:2.**



ტოტენჰემთან მატჩში ადებაიორმა დუბლი შეასრულა

ინგლისი. პრემიერლიგა. VI ტური

# არსენალი თვალსა და ხელშუა იზრდება

## არისტოკრატებს ორი ქულა ჯიბიდან ამოაცალეს...

"ტოტენჰემი" "არსენალთან" ამჯერადაც ვერაფერს გახდა. **გარეთ ბეილის** გოლს **ემანუელ ადებაიორმა** დუბლით უპასუხა. მესამე ბურთი **სესკ ფაბრეგასმა** მიითვალა. ახალგაზრდა ესპანელი გუნდის ნამდვილი ლიდერია. "მეთოფეებმა" ხუთ თამაშში 13 ქულას მოუყარეს თავი და ერთპიროვნულად გალიდერდნენ. "ტოტენჰემს" კი უმნვრთნელოდ დარჩენა ემუქრება. "მამლებმა" თამაში შთამბეჭდავად დაიწყეს. მე-15 წუთზე ბეილმა **მანუელ ალმუნიას** ჯარიმა ახლო კუთხეში გაუტანა. სტუმრებს პირველსავე ტაიმში უნდა გაეთანაბრებინათ. **პოლ რობინსონმა** ადებაიორის ორი იერიში მოიგერია. **დიმიტარ ბერბატოვს** მეორე გოლის გატანა მართებდა, მაგრამ სანამ დარტყმას გადაწყვეტდა, **კოლო ტურე** წამოეპარა და მდგომარეობა განმუხტა.

ადებაიორმა პირველ ნახევარში დაშვებული შეცდომები შესვენების შემდეგ გამოასწორა. 65-ე წუთზე ის ფაბრეგასის ჩაწოდებულ ბურთს შეეგება და თავურით წონასწორობა აღადგინა. ბერბატოვმა კიდევ ერთი ჩინებული მომენტი გაატანა ქარს. 79-ე წუთზე "არსენალი" დაწინაურდა. ფაბრეგასმა მეტოქის ნახევარმცველებს გაასწრო, კარს მიუახლოვდა და 25 მეტრიდან ძლიერი დარტყმით გაიტანა. შეცვლაზე შესულ **დარენ ბენტს** ანგარიშის გათანაბრება შეეძლო. მსაჯისაგან დამატებულ დროში ადებაიორმა ეფექტური გოლი შეაგდო. ნამატჩევს ვენგერმა ასეთი კომენტარი გააკეთა: *"დასკვნების გაკეთება ნაადრევია. ის, რომ პირველ ადგილზე ვართ, ბევრს არაფერს ნიშნავს. გუნდი ლამაზ ფეხბურთს თამაშობს. ფეხბურთელები თვალსა და ხელშუა იზრდებიან."*

"მანჩესტერ იუნაიტედმა" ზედიზედ მესამედ მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვა. "ეშმაკებს" მომენტების შექმნა ისევ უჭირდათ. **ნემანია ვიდიჩმა** ერთადერთი გოლი თამაშის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე კუთხურის გათამაშებისას გაიტანა. საგოლე გადაცემა **ნანის** აქტივში ჩაიწერა. "ევერტონმა" საუკეთესო მომენტი მეორე ტაიმის დასაწყისში შექმნა. **პოლ სქოულზმა ენდი ჯონსონის** თავური კარის ხაზიდან გამოიტანა. თამაშის მიწურულს **ჯეიმს მაკფადენს** (გასულ ოთხშაბათს ამ ბიჭმა შოტლანდიას საფრანგეთში მოაგებინა) **ედვინ ვან დერ სარმა** აუღო. პირველ ნახევარში მანჩესტერელებს **მიკაელ სილვესტრი** დაუშავდათ. მან მუხლი იტკინა და გაურკვეველი ვადით ჩამოშორდა მინდორს.

"იუნაიტედის" გამარჯვება ისტორიულ კანონზომიერებასაც შეგვიძლია მივაწეროთ. მანჩესტერელებმა "გუდისონ პარკზე" ბოლო 16 მატჩში მე-13-დ მოიგეს. თამაში საკმაოდ უსახური გამოვიდა. გადამწყვეტ უპირატესობას არც ერთი გუნდი არ ფლობდა. სტუმრებმა, ფაქტობრივად, ერთადერთი მომენტი შექმნეს და ისიც გოლად აქციეს. **კრისტიანო რონალდომ** სამმატჩიანი პაუზის შემდეგ პირველად ითამაშა. "მენიუს" რიგებში საუკეთესო **კარლოს ტევესი** იყო, თუმცა არგენტინელს გოლი ვერა და ვერ გააქვს. ვიდიჩის გოლიდან ერთ წუთში მაკფადენმა ის მომენტი შექმნა, ზემოთ რომ ვახსენეთ. ვან დერ სარმა ბურთი გაჭირვებით მოიგერია. მას **ჯოზეფ იობო** დაეუფლა. ნიგერიელმა გაცილებით ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ **ფილ ჟაგიელკას** პასი არ მისცა და თვითონ დაარტყა, მაგრამ გვარიანად ააცილა.

"ლივერპულმა" "პორტსმუთთან" ორი ქულა გაანიავა. **პეპე რეინა** რომ არა, მერსისაიდელები, შეიძლება, სულ მთლად უქულოდ დარჩენილიყვნენ. 32-ე წუთზე ესპანელმა გოლკიპერმა **ნვანკვო კანუს** 11-მეტრიანი მოიგერია. პენალტი ნიგერიელის წაქცევის გამო დაინიშნა. **ალვარო არბელოამ** მას მაისურაზე მოქაჩა. მეორე ნახევარში **რაფა ბენიტესმა** შეტევა გააძლიერა. მას გამარჯვება სურდა. ამიტომ **სტივ ჯერარდი** და **ფერნანდო ტორესი** გამოიყვანა. თამაშის მიწურულს ჯერარდმა ესპანელი ახალწვეული ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ "ელ ნინიოს" კარს გვარიანად ააცილა...

ორი ქულა გაანიავა "ჩელსიმაც", მაგრამ **ჟოზე მოურინიომ** ფრე მთლიანად მსაჯს გადააბრალა. მართალიც იყო. 57-ე წუთზე **სალომონ კალუს** ასპროცენტიანი გოლი არ ჩაუთვალეს. გოლი იმდენად აშკარა იყო, რომ ლონდონელებმა დიდი ზეიმი გამართეს. არბიტრმა **ჰოვარდ ვებმა** კი თამაშგარე დააფიქსირა.

**ანდრეი შევჩენკომ** ძირითადში პირველად ითამაშა. მან **დიდიე დროგბა** შეცვალა. კოტდივუარელი მუხლის ტრავმას იშუშებს. უკრაინელმა კი ბევრით ვერაფრით გამოიჩინა თავი. ერთ ეპიზოდში **მიკაელ ესიენის** გადაცემისას შევას გოლი გატანა შეეძლო, მაგრამ უხეიროდ დასცხო და **ბრედ ფრიდელმა** ფეხებით მოიგერია. "ბლექბერნის" გოლკიპერმა ესიენის დარტყმაც აიღო.

თამაში ლონდონელთა იერიშებით დაიწყო. "ვარდებმა" საწყისი შტურმი გადაიტანეს და ტაიმის მიწურულს კინაღამ ანგარიში გახსნეს. 41-ე წუთზე **დევიდ ბენტლიმ** შორ ძელთან ჩაკიდა. **მორტენ გამსტ პედერსენმა** ბურთი კარს გვერდიდან გაარტყა. თამაშის მიწურულს სტუმრებს **კრისტოფერ სამბა** დაუშავდათ. მას შევჩენკოს ფეხი თავში მოხვდა. ანდრეის განზრახ არ უუხეშია. თამაში რამდენიმე წუთით შეწყდა. საბრალო სამბა, როგორც იქნა, გონს მოეგო და სამედიცინო პერსონალმა საკაცით გაიყვანა. არბიტრმა თამაშს რვა წუთი დაამატა. "ბლექბერნმა" ჩელსის შტურმს გაუძლო და შინ ერთი ქულით ხელდამშვენებული გაემგზავრა.

### მომდევნო ტური

**22 სექტემბერი.** არსენალი-დერბი, ბლექბერნი-პორტსმუთი, ფულჰემი-მანჩესტერ სიტი, ლივერპული-ბირმინგემი, მიდლსბრო-სანდერლენდი, რედინგი-ვიგანი, **23 სექტემბერი.** ასტონ ვილა-ევერტონი, ბოლტონი-ტოტენჰემი, მანჩესტერ იუნ-ჩელსი, ნიუკასლი-ვესტ ჰემი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## [illegible]

VI ტური

| | |
|---|---|
| სლავია-ბანიკი | 0:0 |
| სიგმა-ბრნო | 1:1 |
| ვიქტორია-ლიბერეცი | 1:1 |
| კლადნო-ბუდეიოვიცე | 5:1 |
| იაბლონეცი-ბოჰემიანსი | 0:0 |
| ბოლესლავი-მოსტი | 1:1 |
| ტეპლიცე-სპარტა | 2:1 |
| პლზენი-ზლინი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სლავია | 6 | 5 | 1 | 0 | 9-3 | 16 |
| 2. ტეპლიცე | 5 | 5 | 0 | 0 | 10-3 | 15 |
| 3. ბანიკი | 6 | 4 | 2 | 0 | 14-5 | 14 |
| 4. სპარტა | 6 | 4 | 1 | 1 | 9-4 | 13 |
| 5. ზლინი | 5 | 2 | 2 | 1 | 5-4 | 8 |
| 6. პლზენი | 5 | 2 | 2 | 1 | 4-3 | 8 |
| 7. კლადნო | 6 | 2 | 1 | 3 | 10-10 | 7 |
| 8. ბოლესლავი | 6 | 1 | 3 | 2 | 6-7 | 6 |
| 9. იაბლონეცი | 6 | 1 | 3 | 2 | 3-4 | 6 |
| 10. სიგმა | 6 | 1 | 3 | 2 | 4-6 | 6 |
| 11. ბრნო | 5 | 1 | 2 | 2 | 5-6 | 5 |
| 12. ვიქტორია | 6 | 1 | 2 | 3 | 10-14 | 5 |
| 13. ბოჰემიანსი | 6 | 0 | 4 | 2 | 2-6 | 4 |
| 14. ბუდეიოვიცე | 6 | 1 | 1 | 4 | 6-11 | 4 |
| 15. მოსტი | 6 | 0 | 3 | 3 | 10-15 | 3 |
| 16. ლიბერეცი | 6 | 0 | 2 | 4 | 2-8 | 2 |

## პოლონეთი

VII ტური

| | |
|---|---|
| გურნიკი-პოლონია | 4:0 |
| ლეგია-ვიძევი | 3:1 |
| იაგიელონია-კორონა | 0:0 |
| კრაკოვია-გროცლინი | 3:1 |
| ლკს-სოსნოვეცი | 3:0 |
| ოდრა-ვისლა | 2:2 |
| რუხი-ზაგლებე | 2:2 |
| ლეხი-ბელხატოვი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
ვახშმის შემდეგ მონაწილეთა ოფიციალური სიებიც გადმოგვცეს. **რაულ ცირეკიძეც** C ჯგუფში იასპარეზებს. რაული **გიორგი ასანიძის** წონაში, 85 კილოში გამოდის, სპორტში დაბრუნებული ოლიმპიური ჩემპიონი კი B ჯგუფშია. ასეთი პოზიცია გიორგისთვის უჩვეულო კია, მაგრამ მისი დღევანდელი შედეგი მეტის საშუალებას არ იძლევა. B ჯგუფში გამოვლენ **გია მაჭავარიანი** და **ალბერტ კუზილოვიც** (ორივე - 105 კგ), უძლიერესთა ნაკადში კი მხოლოდ **არსენ კასაბიევი** (94) მოხვდა. სადღეისოდ არსენის პირველობა გამორიცხულია, რადგან ისიც ტრავმებმა გატანჯა, მაგრამ, როგორც გითხარით, მთავარი რაც შეიძლება კარგი შედეგის ჩვენება და ჩასათვლელი ქულების დაგროვებაა. ჩვენი ნაკრების მიზანი პეკინის ოლიმპიადის 4 ლიცენზიის მოპოვებაა.

ზვიად სამუკაშვილი დღეს, დილის 10 საათზე ოფიციალურად აიწონება, შუადღეს კი შეჯიბრება ეწყება. ღმერთმა ქნას, დასაწყისი კარგი გამოვიდეს, რათა ამით მთელ გუნდს დიდი სტიმული მიეცემა. ზვიადის შემდეგ 4 დღე მოგვიწევს ლოდინი, რადგან ცირეკიძესა და ასანიძეს 21 სექტემბერს უწევთ გამოსვლა.

ცხადია, ამ ოთხი დღის განმავლობაში თქვენი კორესპონდენტი უქმად არ იქნება და ყველა საინტერესო ამბავს მოგაწვდით.

ჩოგბურთი

# 25 ათასი თელავში

დღეიდან, თელავის ახალ, თიხის კორტებზე უფრო ძლიერი, 25 ათასიანი ტურნირი იწყება. უპირატესი დონე, საპრიზო ფონდთან ერთად, იმით გამოიხატება, რომ ვერცერთი ქართველი ჩოგბურთელი ძირითად ბადეში რეიტინგით ვერ მოხვდა. ოთხი ჩვენიანი - **სოფიო შაფათავა** (487), **ოქსანა კალაშნიკოვა** (754) **ეკატერინე გორგოძე** (771) და **თინათინ ყავლაშვილი** (1030), ორგანიზატორებმა პერსონალურად მიიწვიეს. რადგანაც "უაილდ ქარდი" სულ ოთხი იყო, ტურნირის მიღმა დარჩა "ბორჯომის თასის" გამარჯვებული **თათია მიქაძე**, რომელმაც საკვალიფიკაციო ტურნირში ჩაბმა ვერ მოასწრო, რადგანაც შაბათს თბილისში ფინალურ მატჩს თამაშობდა.

სულ კვალიფიკაციაში 11 ქართველი იბრძოდა, მათ შორის - "ბორჯომის თასის" ნახევარფინალისტი **სოფიო ქვაცაბაია**. საბოლოოდ, ძირითად ბადეში მხოლოდ **მაგდა ოქრუაშვილმა** გააღწია.

ტურნირის პირველი ნომერია რუმინეი **ლიანა-გაბრიელა უნგური** (217). დღეს პირველი წრის მატჩები უწევთ გორგოძეს (რია დორნემანთან, გერმანია), შაფათავას (თურქ **პემრა ოზგენთან**) და ოქრუაშვილს (იმა ბოჰუშთან, ბელარუსი).

რაც შეეხება ოქსანა კალაშნიკოვას, მან რუს **ელენა ჩერნიაკოვასთან** ერთად გუშინ გოგონათა პირველი კატეგორიის ტურნირი მოიგო კენტუკიში. ფინალში პირველ ნომრად განთესილმა ქართულ-რუსულმა წყვილმა ამერიკელი **ქრისტი ფრილინგი** და რუსი **ქსენია პერვაკი** (6) დაამარცხა. ოქსანა თელავის ტურნირში ხვალიდან უნდა ჩაება.

# მიქაძე ტიტულით დაბრუნდა

**თათია მიქაძე** "ბორჯომის თასის" ჩემპიონია - განუთესავმა და ურეიტინგო ჩოგბურთელმა ფინალში თანამემამულე **თინათინ ყავლაშვილი** დაამარცხა, რომელმაც კვირით ადრე ბაქოს საერთაშორისო ტურნირი მოგო - 1:6, 6:4, 7:5. ფინალში, ისევე როგორც ნახევარფინალში, თათიამ მტკიცე ხასიათი გამოავლინა და თითქოს წაგება ბრძოლა შემოაბრუნა. თათია მიქაძე 19 წლისაა, 2005 წლის მაისში ის რეიტინგში მსოფლიოს 594-ე ჩოგანი იყო, თუმცა უსპონსოროდ დარჩენილი ქართველი ჩოგბურთს ორ წელიწადზე მეტი იძულებით ჩამოშორდა. 2004 წელს მან სტამბოლის საერთაშორისო ტურნირი მოიგო, ასე რომ, "ბორჯომის თასი" მისი მეორე ტიტულია.

წყვილთა თანრიგის ფინალში პირველ ნომრად განთესილმა **მანანა შაფაქიძემ** და რუსმა **ავგუსტა ციბიშევამ** თინათინ ყავლაშვილისა და **სოფიო შაფათავას** დუეტს მოუგეს - 6:1, 1:6, 10-8. ასე რომ, ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე 20 წლის თინათინ ყავლაშვილმა ორი ფინალი დათმო.



თათია მიქაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



ავგუსტა ციბიშევა და მანანა შაფაქიძე

# მაკამ სლოვენიაში წააგო

სლოვენიაში "ბანკა კოპერის" WTA-ის ტურნირს (145 ათასი დოლარი) საკვალიფიკაციო ეტაპზე გამოეთიშა საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი **მაკა ჩახნაშვილი**. მაკა ჩსაკვალიფიკაციოში მე-5 ნომრად იყო განთესილი, მისი მეტოქე სლოვაკი **მაგდალენა რიბარიკოვა** (370) იყო. სამწუხაროდ, მაკას ბოლოდროინდელი წარუმეტებლობები გრძელდება, რიბარიკოვამ ფავორიტს მეორე სეტში იოლად აჯობა - 6:7 (6), 0:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სუმო

# იაპონიიდან კარგი არაფერია

ამ უქმეებზე მე-12 მაეგაშირა **კოკაიმ** ზედიზედ ორი შეხვედრა დათმო, მძიმეწონოსან **ივაკიამასთან** და ოს **ჰაკუროძანთან**. შედეგად მისი ბალანსი 3-5 გახდა, ძურიოს დივიზიონში დაქვეითების საფრთხეც რეალურია. მით უფრო, რომ კოკაი დღეს ყოჩაღ **ტაკეკაძეს** ხვდება, რომელიც ამ ბაშოზე 6-2 ბალანსით იწონებს თავს. 8 დღის შემდეგ სეკივაკე **ამინიშიკი** კვლავ დაუმარცხებელია, მას ერთი წაგებით კვალში უკვე მხოლოდ ოთხი რიკიში უდგას, მათ შორის - იოკოძუნა **ჰაკუჰო**.

ამ ბაშოზე ძურიოს დივიზიონის საგზურს ვერ მოიპოვებს ქართველი **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)**, მან ზედიზედ მეოთხე მატჩი ველარ მოიგო, მისი მეტოქე პირველი მაკუშიტა **იჩიჰარა** იყო, იაპონელმა 4-0 ბალანსით ძურიოს დივიზიონში გადასვლა დაიბევა. პირველად მოიგო **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)** - 1-3. გაგამარუმ დარჩენილი სამი ორთაბრძოლა აუცილებლად უნდა მოიგოს დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**აკი ბაშო**

სექტემბრის სუპერტურნირი

9-23 სექტემბერი, ტოკიო (იაპონია)

VII დღე: კოკაი-ივაკიამა 0:1 (იორიკირი), ჰაკუჰო-კოტოშოგიკუ 1:0, კოტომიცუკი-ჰოკუტორიკი 1:0, ჩიოტაიკაი-კაკურიუ 1:0, დეჯიმა-კოტოოშუ 1:0, ამინიშიკი-ტოკიტენკუ 1:0, ასასეკირიუ-ტოჩინონადა 1:0, კისენოსატო-ამა 1:0, ჰომაშო-მიაბიამა 1:0, ტოიოჰიბიკი-ტამანოშიმა 1:0, ტამანოშიმა-ტაკეკაძე 1:0.

VIII დღე: კოკაი-ჰაკუროძანი 0:1 (ჰიკიოტოში), ჰაკუჰო-ჰომაშო 1:0, ჩიოტაიკაი-ვაკანოსატო 1:0, ტოიონოშიმა-კოტოოშუ 1:0, კოტომიცუკი-კაკურიუ 1:0, ამა-ასასეკირიუ 1:0, ამინიშიკი-ტოჩინონადა 1:0, ტოკიტენკუ-კისენოსატო 1:0, კოტოშოგიკუ-კაიჰო 1:0, დეჯიმა-ტოიოჰიბიკი 1:0, მიაბიამა-როჰო 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: 8:0: ამინიშიკი (სეკივაკე); 7-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა), ჩიოტაიკაი (ოძეკი), კიოკუტენჰო (მაეგაშირა 12), გოეიდო (მ 14); ..3-5: კოკაი (მ 12)

IX დღე: კოკაი-ტაკეკაძე, ჰაკუჰო-დეჯიმა, კოტოოშუ-კისენოსატო, კოტომიცუკი-ტოიონოშიმა, ჩიოტაიკაი-ჰომაშო, ამინიშიკი-ვაკანოსატო, ტოკიტენკუ-ასასეკირიუ, ამა-ჰოკუტორიკი, მიაბიამა-ტოჩინონადა.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ძიუდო** — *ირაკლი თავაძე, რიო დე ჟანეიროდან*

ინტერვიუ მსოფლიო ჩემპიონთან

# ქეიფი ქუთაისში იქნება!

## ჯერ მეგობრებს ვქომაგობ, რა დროს ემოციებია...

**- ირაკლი, ამ ოქროს საქართველო 18 წელინადი ელოდა. აცნობიერებთ იმას, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მსოფლიო ჩემპიონი ხართ, რომ ახალ ისტორიას დაუდეთ სათავე?**

- ჩემპიონობის შეგრძნება კარგია, ეგ ყველაფერიც ვიცი, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ვაცნობიერებ. ჯერ კიდევ ამ ჩემპიონატის ატმოსფეროში ვარ ჩართული, თანაგუნდელებს ვქომაგობ. მთავარია, ნავსი გავტეხე - მსოფლიო ჩემპიონი გავხდი და, იმედია, სხვებიც მოიპოვებენ იმავე წარმატებას.

**- სამაგიეროდ, აქ სხვები ალიქვამენ სათანადოდ თქვენს ჩემპიონობას. ყველაფრიდან ჩანს, რომ თქვენდამი ინტერესი დიდია.**

- როცა მსოფლიო ჩემპიონი ხდები, ეს ჩვეულებრივი ამბავია.

**- ამ ყველაფერს ისე უემოციოდ ამბობთ, ჩემპიონობაც ისე მშვიდად მიიღეთ, თითქოს რაღაც ჩვეულებრივი ტურნირი მოიგეთ...**

- ემოციები და ყველაფრის გამოხატვა ქუთაისში დაბრუნების მერე იქნება, ჯერ კი მთელი ემოცია სხვების ქომაგობაში ვლინდება. ამ ტურნირზე მომავალი წარმატებაზე კი ვფიქრობდი, მაგრამ უფრო სამეულში მოხვედრაზე და არა მაინცდამაინც ჩემპიონობაზე.

**- მაშინ, როდის მოვიდა იმის რწმენა, რომ ჩემპიონობა შეგეძლოთ?**

- პირველივე შეხვედრიდან. იმდენად თავისუფლად და მსუბუქად, ყოველგვარი მღელვარების გარეშე გავედი ტატამზე, დავრწმუნდი, წარმატების მოპოვება შემეძლო. ფსიქოლოგიურად ძალიან კარგად განვეწყვე, ჩემპიონატისთვისაც კარგად მოვემზადე და შედეგიც მოვიდა. წილისყრის შედეგებიც ვიცოდი, მაგრამ მაინც არ ვნერვიულობდი. ოთახში დავით ქევხიშვილთან ვცხოვრობ და ის სულ მეუბნებოდა, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, გამიზნულად შეასრულე დასახული მიზანიო.

**- ეს ტატამზეც გეტყობოდათ - მართლაც დაკვირვებით, ჭკვიანურად, მიზანდასახულად ჭიდაობდით...**

- სხვანაირად არც გამოვა - ყველა გაკვირდება, გშიფრავს და რაღაც უნდა შეცვალო, სიახლე შესთავაზო; სხვანაირად წარმატებას ვერ მოიპოვებ.

**- საინტერესოა, ილიას ილიადისთან რა განწყობით ჭიდაობდით ფინალში? რაც უნდა იყოს, მაინც თანამემამულეა და თანაც, მეგობრობთ...**

- დიახ, ცხოვრებაში მართლაც ვმეგობრობთ, მაგრამ ტატამზე მას მეტოქედ და მოწინააღმდეგედ აღვიქვამ. ახლაც მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობდი. ძალიან მინდოდა მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვება, ჩემი ქომაგებისა და საქართველოს გახარება. ილიადისიც მეცოდება - კაცმა მსოფლიო ჩემპიონატის ზედიზედ მეორე ფინალი წააგო. ძალიან გულდაწყვეტილია.

**- ევროპული ვერცხლი თქვენი მწვრთნელის ომარ მერაბიშვილის ხსოვნას მიუძღვენით. ამ მედალს ვის უძღვნით?**

- ამას - მთელ საქართველოს.

**- ალბათ, უკვე დასვენების დროც დადგა...**

- მხოლოდ ერთი კვირით დავისვენებ, მერე კი რიგაში კომერციულ ტურნირში უნდა ვიასპარეზოთ და იმისთვის დავიწყებ მზადებას.

**- ამ მსოფლიოზე ნანახით, ოლიმპიადისთვის ვინ მიგაჩნიათ ყველაზე სერიოზულ მეტოქეებად?**

- მგონი, რუსი ივან პერშინი. რაღაცნაირი უცნაური სტილი აქვს, ჩემთვის მიუღებელი და უხერხული. ფიზიკურადაც ძლიერია და მიუდგომელი. არც ჰოლანდიელი მარკ ჰუზინგაა ჩამოსაწერი. ალბათ, კორეელი მსოფლიო ჩემპიონი ჰვანგიც დაემატება. აქეთ ილიადისი, იქით - იაპონელი იზუმი... რა ვიცი, 90 კილოგრამი წონითი კატეგორია ძალიან დატვირთულია.

**- ფიზიკურად თქვენც კარგად ხართ მომზადებული, მაგრამ ტექნიკურად მეტია საჭირო.**

- ფიზიკურად მართლა არავის დავუჯაბნივარ, აი, ტექნიკურად კი არ დავიჩემებ კარგ მომზადებას. მაგრამ რაც მაქვს, იმას ვანაწილებ თანაბრად.

**- თქვენი ნაკრებში გამოჩენა ზურაბ ზვიადაურის აღზევებას დაემთხვა. მაშინ თქვენთვის წონის შეცვლაც სურდათ, მაგრამ არ შეუშინდით იმ კონკურენციას, დარჩით და დაძლიეთ კიდეც. რა გაძლევდათ ამის იმედს?**

- თავიდან ისე მოხდა, რომ ზვიადაური ოლიმპიადის შემდეგ ევროპის პირველობაზე ვერ მიდიოდა და მე წავედი. მერე მსოფლიო წააგო, პარალელურად, მე საქართველოც მოვიგე, თბილისის ტურნირიც და ნაკრებში მოხვედრის რეალური იმედებიც გაჩნდა.

**- დაბოლოს, გრძნობთ, რომ საქართველოში გმირად დაბრუნდებით და არა რიგით მოჭიდავედ?**

- მე ჩემი საქმე შევასრულე, რაც მევალებოდა. დიდი მადლობას ვუხდი ყველას - მწვრთნელებს, ექიმებს, ქომაგებს, მთელ ქვეყანას... მოხარული ვარ, ამ წარმატებით ვინმე თუ გავახარე.

ᲨᲝᲗᲐ ᲮᲐᲑᲐᲠᲔᲚᲘ: **- ცირეკიძის გამოსვლის შესაფასებლად კრიტერიუმი არ მყოფნის, იმდენად კარგად იჭიდავა. რასაც ველოდებოდი, იმაზე უკეთ გამოვიდა. სამეულში რომ შევიდოდა, დარწმუნებული ვიყავი, მაგრამ ასე თუ იჭიდავებდა, არ მეგონა. ეს იმას ნიშნავს, რომ მას დიდი სპორტისთვის საჭირო ყველა მონაცემი გააჩნია - კარგად გრძნობს ილეთს, ტატამზე აზროვნებს, შრომობს, სწავლობს... ახლაც, ჭიდაობისას ერთი შეცდომა არ დაუშვია.**



ირაკლი ცირეკიძე — ავტორის ფოტო

# პარასკევი: ნუ ღელავთ, ნაღდად მოიგებს!

ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ამაღელვებელი, მაგრამ ამავდროულად, ნაღვლიანი სანახაობაც იყო შორეული ბრაზილიის ცის ქვეშ ერთმანეთის პირისპირ მდგარი ქართველები, რომლებსაც ქართული სისხლი მოჰყიოდათ, მაგრამ არა ორივეს საქართველოსთვის. ილიადისიც ქართველია, ოღონდ საბერძნეთში ნატურალიზებულიო, თქვა მოგვიანებით ბრაზილიელმა კომენტატორმა და მერე იმის ახსნა დაიწყო, სადაა საქართველო...

სამწუხაროდ, ირაკლი ცირეკიძის ამ დიდ წარმატებას მისი პირველი მწვრთნელი **ომარ მერაბიშვილი** ვერ მოესწრო - იგი ამ გაზაფხულზე გარდაიცვალა, როცა ირაკლი ბელგრადში, ევროპის ჩემპიონატზე წასასვლელად ემზადებოდა. იქ მოპოვებული ვერცხლი მან ამაგდარი მწვრთნელის ხსოვნას მიუძღვნა. ის, რაც ამ დამსახურებულ კაცს აუხდინა **დავით ხახალეიშვილმა, აკაკი კიბორძალიძემ** და სხვებმა ვერ აუსრულეს, ცირეკიძემ აუხდინა. მის შეგირდთაგან ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული ხახალეიშვილმა მოიპოვა, მაგრამ მსოფლიოსი აუხდენელად დარჩა.

ცოტა არ იყოს, ცირეკიძეს დიდი წარმატებები დაუგვიანდა, მაგრამ ბოლოს ისეთი გაისროლა, ლოდინად ღირდა. დიდ ტურნირთაგან ანუ ჩემპიონატებში იგი აქამდე მხოლოდ ევროპის პირველობებში გამოსულა და მისგან ყოველთვის ელოდნენ ოქროს. ნაკრების თავკაცი **შოთა ხაბარელი** ლიად ამბობდა, რომ ირაკლის ჩემპიონობა დაუგვიანდა, მაგრამ მისი შესაძლებლობები არასოდეს, ერთი წამითაც არ გაუხდია საეჭვო. მას სჯეროდა შეგირდისა, შეგირდსაც სჯეროდა საკუთარი თავისა და შედეგიც მოვიდა.

პარასკევს, მთელი დღის განმავლობაში ირაკლი ისეთივე მშვიდი, გაწონასწორებული და უემოციო იყო, როგორიც საერთოდ ცხოვრებაშია. აღსანიშნავია, რომ იგი მეორე დღეს, შაბათსაც ასეთივე მშვიდი გახლდათ, გეგონებათ რომ ნერვები არც აქვს. როგორი დაკვირვებით იჭიდავა ფინალში მართლაც უძლიერეს მეტოქესთან! მან ყველა დანარჩენი შეხვედრაც ასე ჩაატარა. ერთ რამედ ღირდა იმის ნახვა, როგორ ასწია და დაახეთქა ტატამს კორეელი ფალავანი. ცირეკიძე ძალიან ჭკვიანი მოჭიდავეა და ყოველთვის ყურადღებით, დაკვირვებით, რისკის ზღვარზე, მაგრამ არა გაუმართლებელი რისკით ჭიდაობს.

სიმართლე გითხრათ, რაც ცირეკიძემ წინასწარ შეხვედრებში გვაჩვენა, უკვე არც ნახევარფინალში ვნერვიულობდი იტალიელ **რობერტო მელონისთან** და არც - ფინალში ილიადისთან. ამასთან, შეხვედრისას იმედს ისიც მიძლიერებდა, რომ აქამდე ირაკლიმ ორჯერ დაამარცხა გაბერძნებული ქართველი. საბოლოოდ ილიადისმა მართლაც ვერ გაუწია სერიოზული წინააღმდეგობა, ხოლო იტალიელმა - მით უფრო. არადა, ამ ჩემპიონატზე ილიადისმა ისეთი მეტოქეები დაამარცხა და ისეთი ჭიდაობით, თქვენი მოწონებული! მაგალითად, უკრაინელი ევროპის სამგზის ჩემპიონი და წლევანდელი ევროპირველობის ფინალში ცირეკიძის მომგები **ვალენტინ გრეკოვი** პირდაპირ გაისროლა საიპონედ. ნახევარფინალში ჰოლანდიელი ოლიმპიური ჩემპიონი **მარკ ჰუზინგა** კი გაძალიანდა, მაგრამ ბრწყინვალე მოგვერდით წააქცია.

"როიალ ბარი-ოტელი" - მოჭიდავეთა სასტუმრო ჩვენი "ინტერკონტინენტალიდან" საკმაოდ შორსაა და იქაურ ამბებზე ვერაფერს გეტყვით, ჩვენთან კი ყველა ემოციებისგან იმდენად დაღლილი დაბრუნდა, ცოტა ხანი ძლივს შევიკრიბეთ სამასლაათოდ. მერე რესტორანში წასვლის და ამ მნიშვნელოვანი ამბის ქართული ტრადიციებით აღნიშვნის იდეაც გაჩნდა, მაგრამ ამისი თავი არავის ჰქონდა.

მეორე დილით ოკეანის სანაპიროდან მობრუნებული ნომერში ავდიოდი. ლიფტში როგორც მერე დავადგინე, ბელგიელი მამაკაცი დამემგზავრა. ეტყობა, სააკრედიტაციო ბარათით მიხვდა ჩემს ეროვნებას, უცებ მომიბრუნდა და ოქროს გილოცავთ ქართველებსო... მოგვიანებით ფრანგმა მომილოცა, მერე ერთმა ლატვიელმაც... დარბაზში მისულსაც იგივე სურათი დამხვდა - ულოცავენ შოთა ხაბარელს, ულოცავენ თავად ცირეკიძეს. აქაურობას აშკარად ეტყობა - საჭიდაო სამყარომ იგი უკვე აღიარა ლიდერად, მას განსაკუთრებით და დიდი დაკვირვებით აკვირდებიან, როგორც მომავალი ოლიმპიადის ფავორიტს.

ოლიმპიადა ვახსენეთ და ცხადია, ცირეკიძემ პეკინის ლიცენზიაც მოიპოვა. სამწუხაროდ, პარასკევს ვერც მედლით და ვერც ლიცენზიით ვერ გაგვახარა **გიორგი ბაინდურაშვილმა** (81). როგორც მოგვიანებით გაირკვა, იგი მომავალ ჩემპიონთან, მასპინძელ **კამილო ტიაგოსთან** დამარცხებულა და სანუგეშოში კი გადაერთო, მაგრამ ერთი შეხვედრის მეტი ვერ მოიგო და სალიცენზიო ექვსეულს მიღმა დარჩა. ამავე დღეს პირველივე შეხვედრა წააგო და გავარდა **თინათინ ქულოსაშვილიც** (63).



**ᲨᲐᲑᲐᲗᲡ ჩვენი გუნდის ორი გამოკვეთილი ლიდერი ჭიდაობდა - ევროპის ორგზის ჩემპიონი ზაზა კედელაშვილი (66) და ევროპის ვიცე-ჩემპიონი დავით ქევხიშვილი (73). ამიტომ მთელი დელეგაცია საგანგებოდ ემზადებოდა საქომაგოდ და თითქმის ყველამ დილიდანვე მიაშურა დარბაზს.**

დარბაზში მისულს მთელი გუნდი უკვე იქ დამხვდა. პირველ წრეში ჩვენები ისვენებდნენ, მეორეში კი სერიოზული მეტოქე ელოდათ, ორივეს ევროპის ჩემპიონი. კედელაშვილი უნგრელ **მიკლოშ უნგვარის** ხვდებოდა, ქევხიშვილი - იაპონური წარმოშობის ესპანელს **კენძი უემაცუს**. ამათგან უფრო საშიში მაინც უნგვარი ჩანდა. სხვათა შორის, ორი დღის წინ ამ თემაზე მე და ხაბარელმაც ვისაუბრეთ და ორივეს საერთო აზრი აღმოგვაჩნდა -თუ ქევხიშვილი თავისი სტილით იჭიდავებდა, ესპანელს იაპონური სისხლი ვერაფერში დაეხმარებოდა. კედელაშვილი კი თითქოს უფრო ნერვიულობდა. საერთოდ, იგი მანამდეც განიცდიდა წილისყრის შედეგს, ქევხიშვილი კი მთელი ის დრო პირქვეჩამხობილი იწვა და დროდადრო თუ წამოჯდებოდა მცირე ხნით.

საჭიდაოდ ორივე ერთდროულად გავიდა და ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ვვარაუდობდით - ქევხიშვილმა თანდათან, მეთოდურად მოახვია თავისი ჭიდაობა მეტოქეს, უპირატესობას ნელ-ნელა დაეუფლა და შეხვედრა ლოგიკური გამარჯვებით დაასრულა, კედელაშვილმა კი უნგვართან ვერაფერი გააწყო. ამის შემდეგ მთელი მისი იმედები მადიარის წარმატებას უკავშირდებოდა. ერთი ხანობა ისიც უმართლებდა იმედებს და წინ მიიწევდა. მან მერვედფინალში იაპონელ **ჰიროიუკი აკიმოტოც** დაჯაბნა, ვისიც ყველაზე მეტად გვეშინოდა. თანაც, მადიარმა ვაზარით მოიგო და ვერ ვიტყვი, რომ საამისოდ ნემსის ყუნწში გაძვრა. ერთი სიტყვით, გაგვიჩნდა იმედი, რომ ნახევარფინალში გავიდოდა და ჩვენებურს სანუგეშოში გაიყოლებდა, მაგრამ მეოთხედფინალში კუბელ **იორდანის არენსიბიასთან** დამარცხდა და კედელაშვილიც გავარდა.

ამასობაში ქევხიშვილი წინ მიიწევდა. მართალია, მძიმედ, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამაჯერებლად იგებდა შეხვედრებს. ბერძენ **არისტოფან კოტაიდისთანაც** ჯერ ერთი იუკო დაკარგა, მერე - მეორე. ამასობაში დროც იწურებოდა და გარისკვის მეტი არაფერი რჩებოდა. ჰოდა, დავითმაც გარისკა - დამთავრებამდე 50 წამით ადრე გადამწყვეტი შებოჭვა წამოიწყო და დაასრულა კიდეც. ქევხიშვილი კოკათი ჩამორჩა ჰოლანდიელ ევროპის პრიზიორ **ბრაიან ვან დიკთანაც**, მაგრამ ქართული ფანდების მოშველიებით მალე აართვა ორი იუკო და საბოლოოდ ამასაც დამაჯერებლად მოუგო. სამწუხაროდ, ნახევარფინალში გასასვლელი შეხვედრა თურქ **სერეზ ჰუიზუსთან** წმინდად წააგო.

# შაბათი: ერთი ლიცენზია ორი ლიდერისგან

სანუგეშო წრეში ქევხიშვილის პირველი მეტოქე ფრანგი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **დანიელ ფერნანდესი** იყო, ძველი და მედგარი მეტოქე. ქევხიშვილი მას სისტემატურად უგებს და მსოფლიოს წინა პირველობაზეც დაამარცხა. ამჯერადაც ასე მოხდა, თუმცა დასაწყისში ფრანგი დაწინაურდა და გვარიანად, მაგრამ შეხვედრის ბოლოს ქევხიშვილმა ორივე ხელით ქამრიდან მოხერხებულად დაითრია და ამოსმულით ბეჭებზე გადააგდო. თუმცა მსაჯებმა ეს გდება ფრანგს ჩაუთვალეს და არბიტრმა ხელი მისკენ გაიშვირა, რასაც დარბაზი გამაყრუებელი სტვენით შეხვდა, ხოლო ხაბარელი კინაღამ ტატამზე გაიჭრა. არბიტრებს არც მაგიდის მსაჯი დაეთანხმა, რომელმაც თავისთან იხმო ქვეშევრდომები, მცირე ხანს ითათბირეს, პირვანდელი გადაწყვეტილება შეცვალეს და გამარჯვება ქევხიშვილს მიანიჭეს.

მომდევნო მეტოქე ახალგაზრდა გერმანელი **რობერტ გეესი** გახლდათ. იგი ჩემპიონატის დებიუტანტი გახლდათ და ცხადია, შედეგებით არ გამოირჩევა, მაგრამ ამ ტურნირზე სამი სოლიდური ფალავანი დაამარცხა - უნგრელი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი **აკოშ ბრაუნი**, სლოვენიელი **იერებ სასო** და სერბი **მარკო მიალკოვიჩი**. ბუნებრივია, ანგარიშგასაწევი მეტოქე იყო, მაგრამ ქევხიშვილმა ყოველმხრივ დაჯაბნა - ორი ვაზარით ვადამდე მოუგო. ამით ბრინჯაოსთვის ბრძოლის უფლება კი მოიპოვა, მაგრამ ტაჯიკ **რასულ ბოგიევთან** ვერაფერს გახდა. სამწუხაროდ, ბოგიევი ბევრად უფრო მობილიზებული აღმოჩნდა. საბოლოოდ ქევხიშვილი მეხუთე ადგილს და ლიცენზიას დასჯერდა.

შაბათს **დუსკა ქერიმოვამაც** (57) იჭიდავა და თანაგუნდელებზე უკეთაც - პირველ წრეში ებრაელი **ლირაზ ბენ მელეჩი** დაამარცხა. წასაგები თითქოს არც მეორეში ეტყობოდა რამე ავსტრალიელ **კარლი ლუისთან**, ერთხანს კიდეც უგებდა, მაგრამ შებოჭვაზე მოჰყვა და გავარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაცამტვერებული აქსიომა

**15 სექტემბერი, ბორდო, D**

**ირლანდია-საქართველო 14:10**

ირლ: (15-9) დემპსი შ. ჰორგანი, ოდრისკოლი, დარსი, ჰიკი, ოგარა, სტრინგერი (ბოსი 70); (1-8) ჰორანი, რ. ბესტი (ფლენერი 53), ჰეიესი (ს.ბესტი 66), ოკალაჰანი, ოკონელი, ისტერბი (ნ. ბესტი 62), დ. ვოლისი სბ 37, ლიმი - *2ლ (რ.ბესტი, დემპსი), 2გ (ოგარა)*

საქ: (15-9) ბარკალაია (13 ნომრად: მაჩხანელი 34), ელიზბარაშვილი (ელოშვილი 51), ურჯუკაშვილი (გადავიდა: 15), კაჭარავა, შკინინი, კვირიკაშვილი, სამხარაძე (აბუსერიძე 72); (1-8) მაგრაქველიძე (ა. გიორგაძე 48), შველიძე, კოპალიანი (ხინჩაგიშვილი 48), ზედგინიძე (დათუნაშვილი 32), გორგოძე, ი. მაისურაძე (ზ.მაისურაძე 58), ურუშაძე, ჩხაიძე - *ლ (შკინინი), გ,ს (კვირიკაშვილი)*

მსაჯი: ვეინ ბარნსი (ინგ)

| ირლანდია | სტატ. | საქართველო |
|---|---|---|
| 10/0 | შერკინება | 8/1 |
| 12/1 | დერეფანი | 16/4 |
| 3 | თერნოვერი | 4 |
| 98/103 | ბოჭვა | 78/92 |
| 2 | ხაზის სუფთად გაჭრა | 0 |
| 38% | ბურთი | 62% |
| 32% | ტერიტორია | 68% |
| 06:56 | მეტოქის 22-ში | 10:36 |
| 10 (9) | შეცდომა (ხელით თამაშში) | 6 (5) |
| 33 (17/15) | ფეხით (მოედანში/კიდეზე) | 40 (28/11) |
| 6 | ჯარიმა | 5 |




ძალიან ძნელია, მაგრამ შევეცდები უემოციოდ ვიმსჯელო იმაზე, რა მოხდა შაბათს საღამოს ბორდოში, შაბან-დალმაზე.

არგენტინასთან სამით-ოცდაცამეტის შემდეგ რამდენიმე ადამიანისთვის მომიხდა ახსნა-განმარტებების მიცემა - რომ ძალიან ნორმალური სხვაობით წავაგეთ, რომ არგენტინასთან 60 წუთი თანაბრად თამაში ძალიან დიდი მიღწევაა, რომ ბოლო 20 წუთში უარესიც შეიძლებოდა მომხდარიყო და საერთოდ, რაგბში სენსაციები არ ხდება!

აი ეს ბოლო ფრაზა აქამდე აქსიომად გვქონდა. გვქონდა კი არა, ასე იყო კიდეც. რამდენი სენსაცია მომხდარა მსოფლიო თასის ისტორიაში? პრინციპში, ერთადერთი - 1991 წელს სამოამ უელსი დაამარცხა და ჯგუფში ჩატოვა. მხოლოდ მერე და მერე გაირკვა, რომ სამოა წყნარ ოკეანეში ჩაკარგული ორი კუნძულის ნაკრები კი არაა, არამედ ზელანდიელი სამოელებისა - უფრო ზელანდიური გუნდია, ვიდრე სამოური. ისინი მეორედაც გავიდნენ მსოფლიო თასის მეოთხედფინალში - 1995 წელს და უელსს მეორედ, 1999 წელსაც მოუგეს.

და მეორე სენსაცია მოხდა შაბათს, ბორდოში. რომ მოგვეგო, და ამასთან ძალიან ახლოს ვიყავით, ეს იქნებოდა არა სენსაცია, არამედ სასწაული. და ყველაზე მთავარი სწორედ ის არის, რომ საქართველოს ნაკრებმა და არა სხვამ დაარღვია, გააქარწყლა რაგბის მთავარი აქსიომა, რომელიც სინამდვილეში ტყუილი აღმოჩნდა - დღეისამასიქით რაგბში დიდი სენსაციაც შეიძლება მოხდეს!

თამაშის წინ საქართველოს ნაკრებში ორი ცვლილება მოხდა. **რევაზ გიგაურის** ნაცვლად 13 ნომრად იდგა **მალხაზ ურჯუკაშვილი**, ხოლო პირველი ტაიმის ბოლოს, როცა **ოთარ ბარკალაია** დაშავდა, მეორე თავიდან გამოუცხადებელი მოთამაშე, **ირაკლი მაჩხანელი** გამოვიდა. მაჩხანელმა მახოს ადგილი დაიკავა, ურჯუკაშვილი კი 15 ნომრად გადავიდა და ძალიან მაგრად ითამაშა. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ უკვე უხერხულია იმის აღნიშვნა, თითქოს ირლანდიასთან საქართველოს ნაკრები "მეორე გუნდით" გამოვიდა. ამ მატჩმა შიდასანაკრებო "აქსიომებიც" მრავლად დაარღვია და ეს უთუოდ ნამიბიასთან თამაშის შემადგენლობაშიც აისახება.

რა ვიხილეთ პირველ ტაიმში? 3:7, თითქმის იგივე ანგარიში, რაც არგენტინასთან, ოღონდ თუ პირველ მატჩში შესვენებისშემდგომი მოლოდინი იმედიანი იყო, აქ უფრო ეჭვიანი - ჯერ ადრეა, ბოლომდე დავიცადოთ, არ განმეორდეს!

**პირველი ტაიმის მოკლე ქრონოლოგია ასეთია:** პირველი 10 წუთი მეტოქის ნახევარზე გავატარეთ, მსაჯს კი თავისუფლად შეეძლო **პოლ ოკონელის** სინბინში გაშვება **ჩხაიძის** ჰაერში შებოჭვისთვის; მე-5 წუთზე **კვირიკაშვილმა** კუთხიდან (35 მ) საჯარიმო ააცილა, თუმცა შეიძლებოდა კიდეზე გადატანაც; მე-17 წუთზე პირველი საკუთარი დერეფანი წავაგეთ, იქვე დავჯარიმდით, ირლანდიამ კიდეზე გადაიტანა და **რორი ბესტმა** მოლიდან დაგვალელოვა - 0:7; ამის შემდეგ მეკომ ააცილა ორი არეკნი, **რონან ოგარამ** - საჯარიმო; **ლევან დათუნაშვილმა** პირველივე ტაიმში შეცვალა **ილია ზედგინიძე** და ძალიან კარგადაც; ირლანდიამ ერთხელაც სახიფათოდ შემოგვიტია ჩვენს ხუთმეტრიან ზონაში, მაგრამ **შკინინმა** გვიხსნა, 35-ე წუთზე კი მეტოქეს მოკლე ფრთაზე, საკუთარი 22-დან გამოექცა, ბურთი ფეხით შეიგორა, დაიჭირა და **ელიზბარაშვილს** გაატანა - მეტოქის 22-თან **დევიდ ვოლისმა** ბურთი ჩაკლა და სინბინში წავიდა, **კვირიკაშვილმა** კი საჯარიმო გაიტანა - 3:7; ირლანდიამ დარჩენილ დროში მოასწრო ჩვენს ლელოს ხაზთან მოღწევა, მაგრამ თავის დავიცავით და ბოლოს 40-მეტრიანი მოლი რომ ავუგორეთ, სტადიონი გადაირია!

აშკარა იყო, რომ ჩვენები ამჯერად უფრო მრავალფეროვნად უტევდნენ - რამდენჯერმე უკანა ხაზიც დაასაქმეს და ორი-სამი ფაზაც გადააბეს; **სამხარაძეს** უფრო სხარტად და ზუსტად გამოჰქონდა ბურთი, შერკინების დროსაც კი მაინცდამაინც 8 ნომრის პირველ დარტყმას არ ელოდა; ხელით თამაშში წუნიც ცოტა უფრო ნაკლები გვქონდა; ერთადერთი, რაშიც მეტოქემ გვაჯობა, ფეხით პინგპონგი იყო, რისი წყალობითაც უფრო ხშირად იყო ჩვენს ნახევარზე.

რისი იმედი უნდა გვქონდეს მეორე ტაიმში? არგენტინა თავიდან სულ შერკინებით გვიტევდა და ველოდით, რომ შესვენების შემდეგ თამაშს გაშლიდა და ამით გააძლიერებდა. ირლანდიას ეს რეზერვი აღარ უნდა ჰქონოდა - შესვენებამდეც საკმაოდ ათამაშეს ბურთი, მაგრამ ხაზი ვერცერთხელ ვერ გაგვიჭრეს - **კაჭარავა** და **ურჯუკაშვილი** დროულად ხურავდნენ **დარსისა** და **ოდრისკოლს**. მთავარია, კონცენტრაცია შევინარჩუნოთ და უხეში შეცდომები არ მოგვივიდეს.

მეორე ტაიმი დაიწყო იმით, რომ **გიორგი შკინინი** ძალიან კარგად გამოიქცა საკუთარი 22-დან, მერე კვირიკაშვილმა ჯარიმიდან კარგად გადაიტანა ბურთი მეტოქის ნახევარზე, მაგრამ დერეფნისშემდგომ მოლში დავკარგეთ, მალე კი **შეინ ჰორგანმა** გამოგვიჭრა ხაზი და ჩვენს ნახევარზე გადმოვიდა. ირლანდიელთა შეტევის მეორე ფაზაზე **შკინინი სტრინგერის** გრძელ პასს ჩაუსაფრდა, ჩაუჭრა და 60 მეტრი ირბინა, ბურთი მაგრად ჩაბღუჯა და მეტოქის ლელოში გადახტა! მეკომ გარდასახა - 10:7. ეს სენსაციაა არაა, რა თქმა უნდა - უბრალოდ სასიამოვნოა, რომ ირლანდიას 45-ე წუთზე ვუგებთ. ნეტავ რამდენ ხანს შეინარჩუნებენ ლიდერობას? ჯერჯერობით ეს საკითხი დგას.

10 წუთი შევინარჩუნეთ. **აი, ქრონოლოგია: ურუშაძემ** საკუთარ ლელოსთან 5-მეტრიანი დერეფანი მოიგო და **სამხარაძემ** ბურთი მოიგერია; ირლანდიის 15-მეტრიან დერეფანში ურუშაძემ შეუშალა ხელი **ოკონელს** და ბურთი **შველიძემ** ჩაჭრა; მორიგი დერეფნიდან **ოდრისკოლმა** შემოგვიტია და ლელოდან 5 მეტრში ბურთი წინ გაუვარდათ; შერკინებიდან **მახომ** რთული ბურთი მიიღო, მაგრამ მეტოქე საკუთარ ლელოში დაფინტა და 50 მეტრზე მოიგერია! ირლანდიამ ბურთი ჩვენ 22-ში დააბრუნა, მაგრამ იქიდან **შკინინმა** წამოიღო, **სამხარაძესთან** გაითამაშა და ფეხით შეაგორა მეტოქის კუთხის ალამთან - **ჰორგანი** იძულებულია, ბურთიანად კიდეზე გადავიდეს. საკუთარი 5-მეტრიანი დერეფანი წავაგეთ!

მეტოქის ლელო 55-ე წუთზე. საკუთარი ნახევრიდან **გორდონ დარსიმ** 40-მეტრიანი გარღვევა მოაწყო და მეორე ფაზიდან ბურთი მოკლეზე გაიტანეს, სადაც რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ - **გირვან დემპსიმ** მარცხენა ფრთაზე გაირბინა, **ოგარამ** გარდასახა - 14:10. ახლა მთავარია ბოლომდე გავუძლოთ, არ განმეორდეს ის, რაც არგენტინასთან მოხდა! საფიქრალი ისაა, რომ ძალიან ბევრი მოთამაშე დაშავდა, თითქმის ყველა შეცვლა გამოყენებულია.

აი, აქედან იწყება ის, რასაც ჰქვია სენსაცია და რასაც კინაღამ მოჰყვა სასწაული. დარჩენილი 25 წუთის განმავლობაში ირლანდია მგონი ერთხელ გადმოვიდა ქართველების ნახევარზე. გადახედეთ სტატისტიკის ოთხ პუნქტს **- ბურთი, ტერიტორია, 22 და ბოჭვა**. ამ მონაცემებმა ასეთი სახე სწორედ ბოლო 25 წუთში მიიღო და არა იმპრესიონისტულად, არამედ დოკუმენტურად ადასტურებს იმას, რომ საქართველომ თამაშით საბოლოო ჯამში აჯობა ირლანდიას, მსოფლიოს მე-5 გუნდს. და შედეგით ვერ აჯობა მხოლოდ იმიტომ, რომ კლასი არ ეყო - გადამწყვეტ მომენტებში შეცდომები დაუშვა, ხოლო მეტოქემ თავი უჯარიმოდ დაიცვა.

**ისევ მივყვეთ ქრონოლოგიას:** კიკოფის შემდეგ მეტოქემ საკუთარ 22-ში წინ ითამაშა - შერკინებიდან მოლით შევუტიეთ, ბურთი გაგვივარდა, მაგრამ კიდეზე შორს გადატანა არ დავანებეთ და დერეფნის შემდეგ ხანგრძლივი მოლი მე-60 წუთზე, რომელიც დასრულდა ლელომდე 3 მეტრში, ბურთის წინ გავარდნით. იქვე ირლანდიამ 22-დან ბურთი ვერ გამოიტანა და 15 მეტრიანი შერკინება, რასაც მოჰყვა **კვირიკაშვილის** აცილებული არეკნი.

ბოლო ოცი წუთი იყო ქართველების განუწყვეტლივი შეტევა: თუ ირლანდია მოახერხებდა და ფეხით გამოიტანდა ბურთის 22-დან, ან **ურჯუკაშვილი** უბრუნებდა უკან, ან მოკლე-მოკლე დარტყმებით მივიწევდით წინ, აქ კი **მამუკა გორგოძე** იყო შეუჩერებელი; 70-ე წუთზე კიდევ ერთი დიდი მოლი და ამჯერად უკვე მეტრი დაგვაკლდა მიზნამდე; ორი აცილებული არეკნი (მახო და მეკო) და კიდევ ერთი წაგებული, საკუთარი 5-მეტრიანი დერეფანი!

და კულმინაცია სულ ბოლოს, ბოლო მოლი! ლამის ხუთწუთიანი. ამჯერად ლელოს ხაზსაც გადავაღწიეთ და ყველა სულგანაბულია! **77:10** - არბიტრი ვიდეორეფერის ეკითხება - ლელო იყო თუ არ იყო? ერთი მხრივ კარგია, რომ აქამდე მოვიდა საქმე, თუ გავიტანეთ, მაშინ ირლანდიას დრო აღარ დარჩება საპასუხო შეტევისთვის! და მოხდება სასწაული! მაგრამ გამეორებაზე ბურთი საერთოდ არ გამოჩნდა, ასეთ შემთხვევაში კი ლელო არ ითვლება.

ჩვენი ხუთმეტრიანი შერკინება, ბურთი გამოვარდება და მეტოქე მოგერიებას მოახერხებს, მაგრამ დარჩენილ ორიოდ წუთში ჩვენები ერთხელაც ასწრებენ 22-ში შეღწევას. 80 წუთი ამოიწურა და ლელოდან 20 მეტრში ჯარიმა გვერგება - ბოლო გათამაშება, მოლი და გავარდნილი ბურთი. ირლანდია გადარჩა, სტადიონი გადარეულია. აქ არ ღირს ისე წვრილმანებზე საუბარი, მეტოქეს რომ პრემიალური ქულა არ დავანებეთ და ჩვენ მოვიპოვეთ პირველი ქულა მსოფლიო თასზე. მართლა წვრილმანია.

მაშ, რაგბში სენსაციები არ ხდება? ეს აქსიომა საქართველოს ნაკრებმა გააქარწყლა! და ამ მატჩმა შეიძლება დიდი გავლენა იქონიოს რაგბის შემდგომ განვითარებაზე. ეს შედეგი დიდ გავლენას მოახდენს ბევრი ჩვენი მორაგბის პირად, საკლუბო კარიერაზე და ჩვენი რაგბის მიმართ დამოკიდებულებაზე - შინაურისა თუ გარეულის მხრიდან. ეს ვრცლად და ცალკე სასაუბრო თემაა.

ეს ყველაფერი იქნება, მთავარია, ახლა ეიფორიაში არ ჩავვარდეთ. ამ თამაშით საქართველოს ნაკრებმა ძალიან დიდი გარღვევა მოახდინა და საკუთარი შესაძლებლობების თამასა ძალიან მაღლა ასწია. ძალიან ძნელი იქნება იქიდან ისევ პორტუგალიისა თუ რუსეთის დონეზე დაშვება.

ან თუნდაც ნამიბიის. ნამიბია ჯერაც ისე გვყავს დასამარცხებელი, როგორც შაბათამდე გვყავდა...

**ნიკოლოზ აბაშიძე**





ბრაიან ოდრისკოლი და გიორგი შკინინი

გიორგი ელიზბარაშვილი





გირვან დემპსის ლელო. მარცხნივ - ბიძინა სამხარაძე

# ინამე და დაამარცხებ!

## ნამიბიამდე ყველაფერი უნდა დავივიწყოთ

**დავით ჩაველიშვილი,**
საქართველოს ნაკრების მწვრთნელი

- ირლანდიასთან ჩვენი გუნდის თამაშზე მხოლოდ დადებითი რაკურსით შეიძლება საუბარი. ბიჭებმა იბრძოლეს, თავი არ დაზოგეს და მაქსიმუმი გააკეთეს, რათა მსოფლიო თასზე ხმაურიანი სენსაცია მოეხდინათ. ერთი მხრივ ეს მოვახერხეთ - ირლანდიასთან ქართველთა თამამი თამაში ყველასთვის მოულოდნელობა იყო. მაგრამ ჩვენს გარჯას უფრო მეტი ეფექტი ექნებოდა, ბოლოს ლელო რომ დაგვედო და ირლანდია დაგვემარცხებინა. ასეა თუ ისე, მსოფლიოს დავანახეთ, რომ ქართველებს რაგბის თამაში შეგვიძლია.

**- რა დაგვაკლდა მოსაგებად?**

- ალბათ თავდაჯერებულობა. მეტოქის რიგებში რაგბის სამყაროში ცნობილი ფიგურები თამაშობდნენ. მათი ძლევა ბევრისთვის საოცნებოა. ჩვენს მოთამაშეებსაც დრო დასჭირდათ მოწინააღმდეგის ძალების შესაფასებლად და იმაში დასარწმუნებლად, რომ ირლანდიის ძლევა შეიძლებოდა. როცა ეს ირწმუნეს, მატჩის დამთავრებამდე უკვე ცოტა დროღა რჩებოდა.

**- საფრანგეთში თქვენს თამაშს რა გამოხმაურება მოჰყვა?**

- ფრანგულ ტელევიზიაში ჩვენი მატჩის ვიდეოფირს ხშირად ატრიალებენ და კომენტარისას ყოველთვის ამბობენ - საქართველოს ნაკრებმა კინალამ სენსაცია მოახდინაო. პრესაშიც ჩვენს ერთგვარ გმირობაზე წერენ, ხოლო მატჩის შემდეგ ირლანდიელმა ქომაგმა მოედნიდან ტაშით როგორ გაგვაცილა, თქვენს ტელეეკრანებზეც ნახავდით. მოგვდის ათასი მესიჯი და სატელეფონო ზარი ავსტრალიელების, ზელანდიელებისა თუ სამხრეთაფრიკელებისგან - ჩვენი გუნდის მისამართით კომპლიმენტებს არ იშურებენ...

**- ნამიბიასთან მატჩის წინ ალბათ განწყობა ამაღლებულია...**

- ირლანდიასთან შეხვედრა უნდა დავივიწყოთ და კონცენტრაცია ნამიბიის ნაკრებზე მოვახდინოთ. აფრიკელები აუცილებლად უნდა დავამარცხოთ. ამისთვის ყველა წინაპირობა არსებობს - მეტოქე არგენტინასავით ძლიერი ნამდვილად არ არის, გვაქვს საბრძოლო განწყობა, საკმარისი დრო დასასვენებლად და ენერგიის აღსადგენად მანამდე ნამიბიის თამაშს კიდევ უფრო კარგად გავშიფრავთ და ჩვენს ტაქტიკაშიც შევიტანთ გარკვეულ სიახლეებს. მოკლედ, მორიგ მატჩს გამარჯვების იმედით ვხვდებით.

**ლევან ცაბაძე,**
ნაკრების ყოფილი კაპიტანი

- ერთი რჩევა მაქვს: 30 მორაგბის სურათი პირველ გვერდზე გაიტანეთ და მიაწერეთ - გმირები! ბიჭებმა სამშობლოს სიყვარულისა და ენთუზიაზმის ხარჯზე მიაღწია მსოფლიო თასამდე და ახლა გრანდებთან გმირულად იბრძვის. არგენტინასთან მატჩის შემდეგ ხაზი გავუსვი ჩვენს შეცდომებს დაცვაში. ეს ელემენტარული უზუსტობები რომ არა, გაცილებით უკეთესი შედეგი გვექნებოდა. ირლანდიასთან კი დაცვაში შეცდომა თითქმის არ გვქონია, სამაგიეროდ შეტევისას გაგვიჭირდა. დამაგვირგვინებელ ფაზაში ოდნავ ზუსტები რომ ვყოფილიყავით, სენსაციასაც დავაფიქსირებდით. საწყისი მატჩებიდან ნათლად გამოჩნდა, რომ საქართველოს ნაკრები დღითიდღე პროგრესირებს. აქედან გამომდინარე, ნამიბიასთან მომდევნო მატჩს დიდი იმედით ვხვდები...

**ვაჟა სიმონიშვილი**

გამოხმაურება

# მსოფლიო თასის საუკეთესო მატჩი

**პლანეტ რაგბი**

საქართველომ გვიჩვენა ნათელი მაგალითი იმისა, რომ სარაგბო სამყარო ნელ-ნელა იზრდება. მას მერე, რაც ირლანდია წინ გავიდა, ქართველებმა თამაში მეტოქის ნახევარზე გადაიტანეს. სწორედ ისე, როგორც ამას მსოფლიოს საუკეთესო გუნდები აკეთებენ - ირლანდიელები წნეხის ქვეშ მოაქციეს და შეცდომას შეცდომაზე აშვებინებდნენ. შეიძლება ითქვას, რომ წაგებულ თამაშში ქართველები გმირები იყვნენ.

საუკეთესო მოთამაშე: **დენის ლიმიმ, ბრაიან ოდრისკოლმა და გორდონ დარსიმ** კარგად ითამაშეს, მაგრამ ის დღე მაინც "ლელოებისა" იყო. თუკი NASA კოსმოსში თანამგზავრის გაშვებას მოინდომებს, კარგი იქნება, თუ ამაჩქარებლად **მერაბ კვირიკაშვილის** ფეხს გამოიყენებს. საქართველოს ნაკრებში ყველა კარგი იყო, მაგრამ **გიორგი შკინინის** დიდგულა თამაში მაინც გამოსარჩევია.

**The Independent**

80 წუთის განმავლობაში ირლანდიას ღირებული არაფერი გაუკეთებია, მაშინ, როცა წითლები გმირებივით იბრძოდნენ. ირლანდია ნამდვილად არ ჰგავდა იმ გუნდს, რომელმაც წელს ინგლისს სძლია. ქართველები და გამარჯვებას ნამდვილად იმსახურებდნენ.

**ბრაიან ოდრისკოლი,** ირლანდიის კაპიტანი: - 70 ტესტი მითამაშია და ფიზიკურად ეს მატჩი ისეთივე ძნელი იყო, როგორც უმაღლესი დონის გუნდებთან.

**ედი ოსალივანი,** ირლანდიის მწვრთნელი: - არადა, აშკარად უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე ნამიბიასთან.

**ITV-ს კომენტატორის სიტყვები**

- საქართველოში რაგბის რვა მოედანია! რვა!
- ღმერთო, ხაზს გადაალწიეს!
- იყო ლელო თუ არ იყო?
- რაგბს აღარ ვუყურებ, თუ გაგვიტანეს!
- თუ გაგვიტანეს და შინ უნდა დავბრუნდეთ!
- ღმერთო, დაგვიდეს თუ არა?
- მითხარით, ყველაფერი დასრულდა?
- რას იტყვის ვიდეორეფერი?
- გადავრჩით. მაგრამ პატიოსანმა კაცმა უნდა აღიაროს, რომ საქართველომ გვაჯობა!
- საქართველოს მოგებაზე კოეფიციენტი 40/1-ზე იყო.
- საქართველოში რაგბის... რვა მოედანია... რვა...

**ქომაგთა გამონათქვამები სხვადასხვა ინგლისურენოვანი ფორუმიდან**

ეს იყო ტურნირის საუკეთესო მატჩი!

საუბარია არგენტინის ნაკრების ექვსი ერის პირველობაში დაშვებაზე. რატომ არ შეიძლება ეს რიცხვი რვამდე გაიზარდოს და იქ საქართველოც მიიწვიონ? ისინი ხომ სრულყოფილ რაგბის თამაშობენ!

საქართველოს ნაკრებმა სამაგალითო რაგბი უჩვენა. იგი არც ინგლისს, ირლანდიას, უელსს, შოტლანდიასა და საფრანგეთს დაუდებს ტოლს. ქართველთა ელიტაში შესვლა მხოლოდ დროის ამბავია.

რა ნიჭიერი მოთამაშეები ჰყოლიათ! განსაკუთრებით ფორვარდები გამოირჩევიან. ირლანდიამ მხოლოდ იღბლის ხარჯზე მოიგო. არ დაუშვათ საქართველო 6 ერის პირველობაზე, ყველას გაანადგურებს!

ვიძლევი რეკომენდაციას, 6 ერზე ინგლისი საქართველოთი შევცვალოთ.

ეს საქართველოს ნაკრები არ იყო - ირლანდიას კარგად შენიღბული ზელანდიელები ეთამაშნენ.

- წავაგეთ, მაგრამ მეამაყება, რომ ქართველი ვარ! დღეს ფორტუნა ირლანდიის მხარეს იყო. მართალია ირლანდიელებს ჩამოვრჩებით, მაგრამ ამ თამაშში ჩვენმა ბიჭებმა არაფერი დათმეს. ირლანდია 80 წუთის განმავლობაში თავს იცავდა. იმავე სიტუაციაში აღმოჩნდებოდა, ვთქვათ, ზელანდიის ნაკრებთან მატჩშიც...

პასუხი: - ნებისმიერი ერი იამაყებდა ეროვნული გუნდის ისეთი თამაშით, როგორიც საქართველომ უჩვენა. არადა, IRB-ს ხელმძღვანელები მომავალში მსოფლიო თასის 16 გუნდამდე შემცირებას გეგმავენ...

- კაცი ვარ, მაგრამ ბავშვივით ვტიროდი. წლების წინ ამ დღეს ვერც წარმოვიდგენდი... მონაწილეთა 16 გუნდამდე შემცირება ცუდი იდეაა. ამას ყველა წინ უნდა აღუდგეს. ამიერიდან აშშ-ს, კანადასა და საქართველოს პატარა სარაგბო ერს ვინ უწოდებს? აბა, ჩამოვიდნენ ირლანდიელები, უელსელები და იტალიელები თბილისში და 80 ათასი ქომაგის წინაშე დაამტკიცონ, რომ საქართველოს ჯობიან!

საშინელი კვირა იყო ევროპული გუნდებისთვის! სამხრეთულ გუნდებს შეჯიბრება მონოპოლიზებული ჰქონდათ, მაგრამ გამოჩნდა ქვეყანა, რომელმაც ევროპისა და ჩრდილო ნახევარსფეროს ღირსება დაიცვა! მარტო ამ მატჩის გამო ვიტყოდი, რომ მსოფლიოს თასმა იმედები გაამართლა!



გიორგი ჩხაიძე



გოდერძი შველიძე

**15 სექტემბერი. ლიონი. C**

**ზელანდია-პორტუგალია 108:13**

ზელ: (15-9) მ[illegible] (მაკდონალდი 7), ტოეავა, სმითი, მეიჯერი, როკოთოკო, ევანსი, ლეონარდი (ელისი 54); (1-8) ტიალატა, ჰორი (ოლივერი 57), სამერვილი (ვუდკოკი 61), ჯეკი (ჰეიმენი 51), ვილიამსი (სოოიალო 54), კოლინზი (მეალამუ 64), მასოი, ლაუაკი - *16ლ (როკოთოკო 2, ტოეავა, ვილიამსი, მეიჯერი 2, კოლინზი, მასოი, ჰორი, ლეონარდი, ევანსი, ელისი, მაკდონალდი, სმითი 2, ჰეიმენი); 14გ (ევანსი)*

პორ: (15-9) ლეალი, ა. აგილარი, პორტელა, დიოგო მატეუში, კარვალიუ, მალეირუ (დ.პინტუ 41), პისარა (ყ. პინტუ 41); (1-8) სილვა (კორდეირუ 41), კორეია, შპაჩუკი, დორეი (პენალვა 27), გ.უვა, კოუტინიო (ჟირაუ 44), მურინელუ (ყ.უვა 51), უვა (ფერეირა 54) - ლ *(კორდეირუ), გ,ს (დ.პინტუ), ა (მალეირუ)*

| C ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზელანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 184-27 | 2 | 10 |
| შოტლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 56-10 | 1 | 5 |
| იტალია | 2 | 1 | 0 | 1 | 38-94 | - | 4 |
| რუმინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 18-24 | 1 | 1 |
| პორტუგალია | 2 | 0 | 0 | 2 | 23-164 | - | 0 |

18 სექ, 23:00 **შოტლანდია-რუმინეთი**

**15 სექტემბერი. კარდიფი. B**

**უელსი-ავსტრალია 20:32**

უელ: (15-9) გარ. თომასი (ჰუკი 22), მ. ჯოუნზი, შენკლინი, პარკერი (მორგანი 19), შ. ვილიამსი, ს. ჯოუნზი, პილი (ფილიპსი 71); (1-8) გ. ჯენკინსი, რისი (რის-თომასი 66), ა. ჯოუნზი (დ.ჯოუნზი 66), გაფი (ოუენი 66), ა.-ვ. ჯოუნზი, ჩარვისი (პოპემი 13-16, 49-60), მ. ვილიამსი 8. ჯ. თომასი

*2ლ (ჯ.თომასი, შ.ვილიამსი); 2გ (ჰუკი), 2ს (ს. ჯოუნზი, ჰუკი)*

ავს: (15-9) ლეითემი, მიჩელი სბ 66, მორტლოკი (სტანიფორსი 41), გიტო, ტუკირი, ბარნსი (ჰაქსლი 78), გრეგანი; (1-8) დანინგი, მური (ფრეიერი 68), შეპერდსონი (ბაქსტერი 74), შარპი სბ 75, ვიკერმანი, ელსომი (ჩიზჰოლმი 76), სმითი (ვოო 63), პალუ (ჰოილზი 66) - *4ლ (გიტო, მორტლოკი, ლეითემი 2); 3გ (მორტლოკი 2, გიტო); ს (მორტლოკი), ა (ბარნსი)*

**16 სექტემბერი. კარდიფი. B**

**ფიჯი-კანადა 29:16**

ფიჯ: (15-9) რატუვოუ, დელასაუ, რაბენი (კუნავორე 64), ბაი, ნეივუა (ლიგაირი 76), ლითლი, რაულუნი; (1-8) დიუისი, კოტო (საუტურაგა 70), რაილომო (ქიოდრავუ 63), ლეავერე, რაუაკა, ნაევო (ტალეი 62), ქერა, კოიამაიბოლე - *4ლ (ლეავერე, რატუვოუ 2, ლეავარე), 3გ,ს -(ლითლი)*

კან: (15-9) პაიკი, ფანდერმერვე, კალპენი, სპაისერი, პრიჩარდი, სმითი, ვილიამსი; (1-8) სნოუ (დ.ფლეჩი 62), რიორდანი, თიელი, ბურაკი (ტეიტი 65), ჯეიმზი, ქედმორი, ბიდლი (კარპენტერი 68), სტივენი (იუქსი 60) - ლ *(სმითი), გ,3ს (პრიჩარდი)*

| B ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 2 | 2 | 0 | 0 | 123-23 | 2 | 10 |
| ფიჯი | 2 | 2 | 0 | 0 | 64-47 | 2 | 10 |
| უელსი | 2 | 1 | 0 | 1 | 62-49 | 1 | 5 |
| იაპონია | 2 | 0 | 0 | 2 | 34-126 | 1 | 1 |
| კანადა | 2 | 0 | 0 | 2 | 33-71 | - | 0 |

20 სექ, 23:00 უელსი-იაპონია

**16 სექტემბერი. მონპელიე. A**

**სამოა-ტონგა 15:19**

სამ: (15-9) ვილიამსი (ლუი 80), ტაგითაკიბაუ (ლემი 56), სეველი, მაპუსუა, ა. ტუილაგი, კრიჩტონი, სოოიალო (პოლუ 59); (1-8) ლეალამანუა , შვალგერი (ფუგა 59), ჯონსტონი (სალანოა 56), ტეკორი (ლაფაიალი 62), თომპსონი, ლეო, ულია (პერდი 62), სიტიტი - *5ს (ვილიამსი)*

ტონ: (15-9) ლილო, ტუიფუა, ჰუფანგა, ტაიონე სბ 28 (ტუპოუ 73), ვაკა, ჰოლა, ტაუფა (ტუიპოლოტუ 43); (1-8) ს. ტონგაუიჰა (ტოკე 73, სბ 75), ტაუფაკა (ლუტუი 50), პულუ, აფეაკი (ვაკი 56), ჰეჰეა, თი-პოლე გააძევეს 72, ლატუ, მაკა - ლ *(ტაიონე), გ,4ს (ჰოლა)*

| A ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ს.აფრიკა | 2 | 2 | 0 | 0 | 95-7 | 1 | 9 |
| ტონგა | 2 | 2 | 0 | 0 | 44-30 | - | 8 |
| სამოა | 2 | 0 | 0 | 2 | 22-78 | 1 | 1 |
| ინგლისი | 2 | 1 | 0 | 1 | 28-46 | - | 4 |
| აშშ | 2 | 0 | 0 | 2 | 25-53 | - | 0 |

22 სექ, 16:00 ს.აფრიკა-ტონგა
22 სექ, 18:00 ინგლისი-სამოა

**16 სექტემბერი. ტულუზი. D**

**საფრანგეთი-ნამიბია 87:10**

საფ: (15-9) პუატრენო (რუჟრი 65), კლერი, მარტი, ტრაი (ყოზიონი 51), ემონსი, მიშალაკი (ბოსი 63, ელისალდი; (1-8) პუ, შარჟევსკი (იბანესი 58), დევილიე (მასი 41), შაბალი (პელუ 58), ნალე, ნიონგა (არინორდოკი 54), დუზოტუარი, ბონერი - *13 ლ (ემონსი, მარტი, დუზოტუარი, ნალე 2, კლერი 3, ბონერი, შაბალი 2, ელისალდი, იბანესი), 11გ (ელისალდი)*

ნამ: (15-9) ლოსპერი, ვიტბუი, ლანხენჰოვენი, ფანზილი (აფრიკა 66), ბოკი, ვესელსი (ბოუთსი 12), ფანტონდერი (იანჩისი 41); (1-8) ლენსინხი (რედელინგჰოისი 58), ჰორნი (მაიერი 65), დიუტუა (ლენსინხი 68), კაზომბიაზე, ესტერჰოიზე (ლინდფელტი 58), ბურხერი (დიუპლესი 58), მაკკენზი, ნიუვენჰოისი გააძევეს 19 - ლ *(ლანხენოვენი), გ (ლოსპერი), ა (ვესელსი)*

| D ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 2 | 2 | 0 | 0 | 50-15 | 1 | 9 |
| ირლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 46-27 | 1 | 9 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 99-27 | 2 | 6 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 13-47 | 1 | 1 |
| ნამიბია | 2 | 0 | 0 | 2 | 27-119 | - | 0 |

21 სექ, 23:00 საფრანგეთი-ირლანდია



რუსეთს ჰოლდენის ბოლო სროლამ გამარჯვებინა

ევროპასკეტი 2007

# სენსაცია

ესპანეთში სენსაციურად დასრულდა ევროპის ჩემპიონატი. რუსეთის ნაკრებმა, რომელსაც ჩემპიონატის წინ, მაქსიმუმ მეოთხედფინალში გასვლას უწინასწარმეტყველებდა, ფლეი ოფში ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა სამი აღიარებული ფავორიტი - საფრანგეთი, ლიტვა და ესპანეთი და დიდხნიანი შესვენების შემდეგ, კონტინენტის საუკეთესო გუნდის სახელი მოიპოვა.

თუმცა, სანამ ფინალურ მატჩზე ვისაუბრებდეთ, ორიოდე სიტყვით ნახევარფინალურ მატჩებზე მოგითხრობთ.

*"მსაჯები ნეიტრალურები იყვნენ"*, - ეს სიტყვები თქვა მატჩის შემდეგ, ბერძნების თავკაცმა, **პანაიოტის იანაკისმა,** რომელმაც გულით მიულოცა ესპანეთს ფინალისტობა და თავის მოთამაშეებს ყველას თვალწინ მადლობა გადაუხადა.

საბერძნეთმა იომა, თავი შეაკლა მეტოქეს, რომელიც თავის საუკეთესო კალათბურთს ვერ აჩვენებდა, მაგრამ რაც ითამაშა, საბოლოო გამარჯვებისთვის სავსებით საკმარისი გამოდგა.

ესპანელებმა 28 საჯარიმოდან მხოლოდ ერთი ვერ გამოიყენეს, ხოლო ბერძნებმა კი ათი ერთქულიანით ნაკლები შეასრულეს და მხოლოდ 13 ჩააგდეს.

ფავორიტი ნახევარფინალში თავისმა სამმა ლიდერმა, ევროპული კალათბურთის სამმა გამორჩეულმა ვარსკვლავმა ათრია. **პაუ გასოლმა** სამწამიანი ნალეკა, ხოლო **ნავარომ** და **კალდერონმა** კი ბერძენთა საუკეთესო დამცველებს - **დემეტრიოს დიამანტიდისსა** და განსაკუთრებით, **თეო პაპალუკასს,** სისხლი გაუშრეს.

საბერძნეთი 67:65 იგებდა, მაგრამ გასოლის, ნავაროსა და კალდერონის ზედიზედ 9 ქულით, ესპანეთმა მეტოქეს გადაასწრო და მატჩის ბოლომდე უპირატესობა შეინარჩუნა.

ბერძნებს ბოლოს მაინც მიეცათ მატჩის თუნდაც დამატებით დროში გადაყვანის შანსი, მაგრამ **ცისისის** სამიანის შემდეგ (ანგარიში 78:76 გახდა), **გარბახოსამ** ორივე ჯარიმა გამოიყენა, პაპალუკასმა შეცდომა დაუშვა, ხოლო ნავარომ კი ასევე ორი უშეცდომო საჯარიმოთი შეხვედრას წერტილი დაუსვა.

რაც შეეხება მეორე ნახევარფინალს, რატომღაც გვგონია, რომ რუსეთს ცოტათი მაინც გაუმართა, რომ ბალტიისპირელთა ვარსკვლავი, ფლეიმეიქერი **შარუნას იასიკიავიჩუსი** შეხვედრას ტრავმით შეხვდა. ჯანმრთელი შარასით, ლიტვაც უფრო აგრესიული იქნებოდა და რუსების ერთ-ერთ ლიდერს, **ჯონ რობერტ ჰოლდენსაც** დაცვაში გაცილებით მეტი ენერგიის დახარჯვა მოუწევდა.

რუსეთი 1993 წლის მერე პირველადაა ფინალში და ამ წარმატების მთავარი შემოქმედნი **ანდრეი კირილენკო** და მთავარი მწვრთნელი **დევიდ ბლატი** არიან.

"იუტას" ფორვარდმა 11 სროლიდან მხოლოდ 2 ააცილა, ხოლო დაცვაში კი როგორც ყოველთვის, კლდესავით იდგა და სამწამიანს არავინ გააკარა. კირილენკომ ლიტველთა არცერთი მაღალი მოთამაშე არ გაახარა. **დარიუს სონგაილამ, დარიუშ ლავრინოვიჩმა, ლინას კლეიზამ, კშიშტოფ ლავრინოვიჩმა** და **რობერტას იავტოკასმა** ჯამში 18 (!) ქულა დააგროვეს და პრინციპში, **რამუნას შიშკაუსკასს** თუ არ ჩავთვლით, ლიტველთა შორის არც არავის გამორჩევაა შესაძლებელი.

ბლატი კი დიდი მწვრთნელია. მან ეს ჯერ კიდევ "მაკაბიში" და "ბენეტონში" მუშაობისას დაამტკიცა, ახლა კი სანაკრებო დონეზეც მოიპოვა აღიარება.

■ ■ ■

დიახ, ბლატი მართლაც თავისი საქმის სპეციალისტია. ამ მწვრთნელმა საშუალო დონის კალათბურთელებით დაკომპლექტებული საშუალო გუნდი ევროპის ჩემპიონი გახადა! ფინალის შემდეგ, რუსები ოქროს მედლის მოპოვებას ზეიმობდნენ, არადა ჩემპიონატის დაწყებამდე, მათი ოცნება ოლიმპიური საგზურის მოპოვება იყო.

ფინალი ესპანელთა უპირატესობით დაიწყო. კალდერონმა სამქულიანით გახსნა ანგარიში. მანვე ცოტა ხანში კიდევ ერთი სამქულიანი ჩააგდო და 5:4-დან, ესპანეთმა 10:0 გაქცევა მოაწყო და კომფორტულ უპირატესობას მიაღწია.

ასეთი თამაში პირველი მეოთხედის ბოლომდე გაგრძელდა და ესპანეთმა მატჩის პირველი ნაწილი 11-ქულიანი უპირატესობით დაასრულა.

მეორე 10-წუთეულის დასაწყისში, მასპინძლებმა შეხვედრაში ყველაზე დიდ, 12-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს და ამის შემდეგ, მსოფლიო ჩემპიონს რაღაც დაემართა. შესაძლოა, ეს მისი ლიდერის, პაუ გასოლის შეცდომებმა განაპირობა. "მემფისის" ფორვარდი საშინლად ესროდა ორქულიანებს და მთლიანად შეხვედრაში, 13-დან მხოლოდ 4 "ცოცხალი" ბურთი ჩააგდო, გარდა ამისა, 12-დან 7 საჯარიმო გააფუჭა. მართალია, გასოლი ორივე ფართან ბატონობდა (სულ 14 მოხსნა), მაგრამ ის ფაქტი, რომ მან თავისი პირველი ქულა მხოლოდ დიდი შესვენების ბოლოს დააგროვა, პაუს ამ მატჩის ანტი-გმირად მონათვლის უფლებას გვაძლევს.

რუსებმა ნელ-ნელა შეამცირეს ანგარიშში სხვაობა და მეორე მეოთხედის დასრულების შემდეგ, ესპანელთა უპირატესობა მხოლოდ სამ ქულას შეადგენდა - 34:31.

თამაში განახლდა, მასპინძლებმა ორწუთიანი მონაკვეთი 7:0 მოიგეს, 9 ქულით დაწინაურდნენ და... ისევ დადგნენ. ბლატის შეგირდები კვლავ წამოეწივნენ მეტოქეს და ამის შემდეგ, თამაში პრაქტიკულად ქულა-ქულაში მიდიოდა.

რუსეთი პირველად წინ, მეოთხე მეოთხედის დასაწყისში გავიდა, თუმცა ესპანეთმა მალე დაიბრუნა უპირატესობა და თითქმის სულ ლიდერობდა (თამაშის დამთავრებამდე წუთითა და 48 წამით ადრე, მასპინძლები 5 ქულას იგებდნენ). ზემოთ გითხარით, რომ პაუ გასოლი ამ მატჩის ანტი-გმირი იყო, არადა, მას შეეძლო სხვა სტატუსით დაესრულებინა ფინალი. ბოლო მეოთხედში მან 7 ქულა შესძინა თავის გუნდს, მაგრამ, ყველაზე კრიტიკულ მომენტში ვერ ივარგა. საფინალო სირენამდე 40 წამით ადრე, ესპანეთი ერთ ქულას იგებდა, როცა გასოლი ტარებისას შეცდა და მას ჰოლდენმა ჩაუჭრა ბურთი. რუსების ამერიკელმა საჩუქარი კარგად გამოიყენა და მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 60:59. ესპანელებს კიდევ რჩებოდათ ათი წამი, მაგრამ იმავე პაუ გასოლმა ნაჩქარევი ტყორცნა ააცილა და სენსაციაც გამოცხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთი თითქმის მთელი მატჩი წინ იყო, ის ნამდვილად არ იმსახურებდა გამარჯვებას. გუნდი, რომელიც ორქულიანების მხოლოდ 20 (!) პროცენტს გამოიყენებს, ჩემპიონობის ღირსი არ არის.

### 1/2 ფინალი

**ესპანეთი-საბერძნეთი 82:77**

24:18, 17:21, 18:21, 23:17

**ესპანეთი:** პ. გასოლი (23 ქ. 6 მ. 3 დ), ნავარო (23 ქ. 4 მ. 2 პ), კალდერონი (18 ქ. 3 პ. 2 მ. 2 ჩ), გარბახოსა (6 ქ. 5 მ. 4 პ. 3 ჩ), ხიმენესი (5 ქ. 3 მ).

**საბერძნეთი:** სპანულისი (24 ქ. 5 პ. 2 მ. 2 ჩ), ვასილოპულოსი (10 ქ), კაიუზისი (8 ქ. 2 მ), დიკუდისი (8 ქ. 2 მ), დიამანტიდისი (6 ქ. 9 მ. 3 პ. 2 ჩ).

**ლიტვა-რუსეთი 74:86**

12:25, 21:15, 25:25, 16:21

**ლიტვა:** შიშკაუსკასი (30 ქ. 5 ჩ. 4 მ. 4 პ. 1 დ), კაუკენასი (12 ქ. 2 მ), იასაიტისი (9 ქ. 5 მ. 2 ჩ), სონგაილა (8 ქ. 6 მ. 2 პ), იასიკიავიჩუსი (5 ქ. 4 მ. 3 პ).

**რუსეთი:** კირილენკო (29 ქ. 8 მ. 3 ჩ. 3 დ), ჰოლდენი (18 ქ. 6 მ), ხრიაპა (15 ქ. 5 მ. 4 პ. 2 ჩ).

### მე-3 ადგილისთვის

**ლიტვა-საბერძნეთი 78:69**

20:19, 21:15, 21:20, 16:15

**ლიტვა:** კ. ლავრინოვიჩი (19 ქ), შიშკაუსკასი (13 ქ. 5 პ), კლეიზა (13 ქ. 8 მ), იასიკიავიჩუსი (11 ქ. 5 პ).

**საბერძნეთი:** ცისისი (23 ქ), დიკუდისი (10 ქ).

### ფინალი

**რუსეთი-ესპანეთი 60:59**

11:22, 20:12, 15:15, 14:10

**რუსეთი:** კირილენკო (17 ქ. 5 მ.), სავრასენკო (10 ქ), პანკრაშოვი (8 ქ), ჰოლდენი (8 ქ), ხრიაპა (7 ქ. 12 მ. 3 ჩ), მორგუნოვი (4 ქ), პაშუტინი (3 ქ), მონია (3 ქ).

**ესპანეთი:** კალდერონი (15 ქ), პ. გასოლი (14 ქ. 14 მ. 3 დ), გარბახოსა (8 ქ. 6 მ), ფერნანდესი (5 ქ), რეიესი (5 ქ; 8 მ), ხიმენესი ( 5ქ), მ. გასოლი (5 ქ), კაბესასი (2 ქ).

**საბოლოო მდგომარეობა:** 1. რუსეთი; 2. ესპანეთი; 3. ლიტვა; 4. საბერძნეთი; 5. გერმანია; 6. ხორვატია; 7. სლოვენია; 8. საფრანგეთი.

### ყველა პრიზიორი

| წელი | მასპინძელი | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო |
|---|---|---|---|---|
| 2005 | სერბეთი | საბერძნეთი | გერმანია | საფრანგეთი |
| 2003 | შვედეთი | ლიტვა | ესპანეთი | იტალია |
| 2001 | თურქეთი | იუგოსლავია | თურქეთი | ესპანეთი |
| 1999 | საფრანგეთი | იტალია | ესპანეთი | იუგოსლავია |
| 1997 | ესპანეთი | იუგოსლავია | იტალია | რუსეთი |
| 1995 | საბერძნეთი | იუგოსლავია | ლიტვა | ხორვატია |
| 1993 | გერმანია | გერმანია | რუსეთი | ხორვატია |
| 1991 | იტალია | იუგოსლავია | იტალია | ესპანეთი |
| 1989 | იუგოსლავია | იუგოსლავია | საბერძნეთი | სსრკ |
| 1987 | საბერძნეთი | საბერძნეთი | სსრკ | იუგოსლავია |
| 1985 | გერმანია | სსრკ | ჩეხოსლოვაკია | იტალია |
| 1983 | საფრანგეთი | იტალია | ესპანეთი | სსრკ |
| 1981 | ჩეხოსლოვაკია | სსრკ | იუგოსლავია | ჩეხოსლოვაკია |
| 1979 | იტალია | სსრკ | ისრაელი | იუგოსლავია |
| 1977 | ბელგია | იუგოსლავია | სსრკ | ჩეხოსლოვაკია |
| 1975 | იუგოსლავია | იუგოსლავია | სსრკ | იტალია |
| 1973 | ესპანეთი | იუგოსლავია | ესპანეთი | სსრკ |
| 1971 | გერმანია | სსრკ | იუგოსლავია | იტალია |
| 1969 | იტალია | სსრკ | იუგოსლავია | ჩეხოსლოვაკია |
| 1967 | ფინეთი | სსრკ | ჩეხოსლოვაკია | პოლონეთი |
| 1965 | სსრკ | სსრკ | იუგოსლავია | პოლონეთი |
| 1963 | პოლონეთი | სსრკ | პოლონეთი | იუგოსლავია |
| 1961 | იუგოსლავია | სსრკ | იუგოსლავია | ბულგარეთი |
| 1959 | თურქეთი | სსრკ | ჩეხოსლოვაკია | საფრანგეთი |
| 1957 | ბულგარეთი | სსრკ | ბულგარეთი | ჩეხოსლოვაკია |
| 1955 | უნგრეთი | უნგრეთი | ჩეხოსლოვაკია | სსრკ |
| 1953 | სსრკ | სსრკ | უნგრეთი | საფრანგეთი |
| 1951 | საფრანგეთი | სსრკ | ჩეხოსლოვაკია | საფრანგეთი |
| 1949 | ეგვიპტე | ეგვიპტე | საფრანგეთი | საბერძნეთი |
| 1947 | ჩეხოსლოვაკია | სსრკ | ჩეხოსლოვაკია | ეგვიპტე |
| 1946 | შვეიცარია | ჩეხოსლოვაკია | იტალია | უნგრეთი |
| 1939 | ლიტვა | ლიტვა | ლატვია | პოლონეთი |
| 1937 | ლატვია | ლიტვა | იტალია | საფრანგეთი |
| 1935 | შვეიცარია | ლატვია | ესპანეთი | ჩეხოსლოვაკია |



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაგედია

# ის რალის შუმახერი იყო

## 1995 წლის მსოფლიო ჩემპიონი ავიაკატასტროფაში დაიღუპა

შოტლანდიის ქალაქ ლანარკის ახლოს კატასტროფა განიცადა ვერტმფრენმა, რომელიც რალიში ყოფილ მსოფლიო ჩემპიონს, ცნობილ შოტლანდიელ ავტომრბოლს **კოლინ მაკრეის** ეკუთვნოდა.

ტრაგედია შაბათს, ადგილობრივი დროით დაახლოებით 16 საათზე მოხდა. პოლიციის ცნობით, ამ ინციდენტისას ვერტმფრენის ეკიპაჟის ყველა წევრი დაიღუპა.

თავიდან უცნობი იყო, იმყოფებოდა თუ არა ვერტმფრენში მაკრეი. კატასტროფის მიზეზების დადგენა საჰაერო შემთხვევათა გამოძიების დეპარტამენტმა ითავა. ადგილობრივი პოლიციის ინფორმაციით, ვერტმფრენში ოთხი ადამიანი იმყოფებოდა და ოთხივე მათგანი დაიღუპა.

მოგვიანებით კი, უფრო დაწვრილებითი ცნობები გაავრცელა გაზეთმა "თაიმსმა". გამოცემის ინფორმაციით, ავიაკატასტროფისას დაიღუპა 39 წლის კოლინ მაკრეი, მისი 5 წლის ვაჟი, კიდევ ერთი ბავშვი და ერთიც მოზრდილი ადამიანი. მაკრეის მეუღლე **ელისონი** და მათი 9 წლის ქალიშვილი, ტრაგედიის დროს შინ იმყოფებოდნენ.

ამ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ცოტა ხნის შემდეგ, ავტომრბოლის ძმამ, **ალისტერმა** დაადასტურა, რომ ვერტმფრენს სწორედ კოლინი მართავდა.

მაკრეის მეგობარმა, სპორტულმა ჟურნალისტმა **ჯერემი ჰარტმა** განაცხადა, რომ რალის ყოფილი ჩემპიონი რეგულარულად დაფრინავდა ბრიტანეთისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნების თავზე. ხოლო იმ ადგილს, სადაც ტრაგედია მოხდა, კოლინი ყველაზე კარგად იცნობდა, რადგან ყველაზე ხშირად სწორედ იქ დაფრინავდა.

კოლინ მაკრეიმ რალიში ჩემპიონობა 1995 წელს მოიპოვა და პირველი ბრიტანელი გახდა, ვინც ამ ტიტულის მოგება შეძლო. შოტლანდიელი იმდენად პოპულარული იყო, რომ მისი სახელი კომპიუტერულ თამაშსაც კი დაარქვეს. მოგვიანებით, ეს თამაში მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო კომპიუტერულ გასართობად იქცა.

*"ის რალის მიხაელ შუმახერი იყო"*, - განაცხადა მაკრეის შესახებ ჯერემი ჰანტმა.



ჭადრაკი

## მსოფლიო ჩემპიონატი

II ტური. **კრამნიკი** (რუსეთი)-**მოროზევიჩი** (რუსეთი) - 1:0; **გელფანდი** (ისრაელი)-**გრიშჩუკი** (რუსეთი) - 0.5:0.5; **სვიდლერი** (რუსეთი)-**ლეკო** (უნგრეთი) - 0.5:0.5; **არონიანი** (სომხეთი)-**ანანდი** (ინდოეთი) - 0:1.

III ტური. **კრამნიკი** (რუსეთი)-**ანანდი** (ინდოეთი) - 0.5:0.5; **გრიშჩუკი** (რუსეთი)-**არონიანი** (სომხეთი) - 0.5:0.5; **გელფანდი** (ისრაელი)-**ლეკო** (უნგრეთი) - 0.5:0.5; **მოროზევიჩი** (რუსეთი)-**სვიდლერი** (რუსეთი)- 1:0.

**სატურნირო მდგომარეობა**: 1-2. კრამნიკი, ანანდი - 2; 3-5. გრიშჩუკი, გელფანდი, ლეკო, მოროზევიჩი - 1.5; 7-8. არონიანი, სვიდლერი - 1.

რალი

## გრონჰოლმი რალის ემშვიდობება

წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ლიდერმა, ფინელმა **მარკუს გრონჰოლმმა** ამ სეზონის შემდეგ კარიერის დასრულება გადაწყვიტა. მიმდინარე პირველობის ბოლო ეტაპი - ბრიტანეთის რალი 2 დეკემბერს დასრულდება და სწორედ ამის შემდეგ დაემშვიდობება დიდ სპორტს გრონჰოლმი. შეგახსენებთ, რომ პირად ჩათვლაში ფინელს 90 ქულა აქვს და 10 ქულით უსწრებს მოქმედ ჩემპიონს, ფრანგ **სებასტიან ლოებს.**

39 წლის გრონჰოლმი რალიში 1989 წლიდან გამოდის. ის ორგზის მსოფლიო ჩემპიონია (2000, 2002). თავის პირველ გამარჯვებას 2000 წელს, შვედეთში მიაღწია (სულ 25 ეტაპი აქვს მოგებული). გასულ სეზონში, მარკუსი 7 ეტაპზე იყო პირველი და საერთო ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავა.

ველოსპორტი

## კლოდენი მსოფლიოზე არ იქნება

გერმანელი **ანდრეას კლოდენი** წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატს გამოტოვებს. როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, "ასტანას" ველომრბოლმა ჯერაც ვერ მოირჩინა ის ტრავმა, რომელიც მან ავტომობილთან შეტაკებისას მიიღო. ეს ინციდენტი ორი კვირის წინ, ერთ-ერთი ვარჯიშის დროს მოხდა. მაშინ კლოდენმა ხელი და ბარძაყი დაიზიანა.

*"დრო აღარ მრჩება იმისთვის, რომ სექტემბრის ბოლოს ფორმაში შევიდე და მსოფლიო ჩემპიონატს სრულ მზადყოფნაში შევხვდე"*, - განაცხადა კლოდენმა.

მსოფლიო ჩემპიონატი 25-30 სექტემბერს შტუტგარტში გაიმართება.

მთის თხილამურები

## ჰერმინატორი სერიოზულად ემზადება

ცნობილმა შვეიცარიელმა მოთხილამურემ, ჰერმანი მაიერმა უარყო ჭორი იმის შესახებ, თითქოს ის მზად არ არის მოახლოებული სეზონის სტარტისთვის.

მაიერის სიტყვებით, ის მომავალი მსოფლიო თასის პირველივე ეტაპზე იასპარეზებს. ახალი სეზონი ავსტრიის კურორტ ცოლდენში ოქტომბრის ბოლოს გაიხსნება.

ამჟამად, 34 წლის მაიერი ჩილეში გადის შეკრებას. ის ახალ ამუნიციას ეჩვევა. საქმე ისაა, რომ სპორტსმენის ტრავმირებული ფეხისთვის სპეციალური ფეხსაცმელები და სამაგრები დაამზადეს.



რაიკონენმა ბელგიაში შამპანური მესამედ დალია

### ფორმულა 1. ბელგიის დიდი პრიზი

# რაიკონენის მესამე ბელგიური ტრიუმფი

სპაიგეიტი დასრულდა, მაგრამ შესაძლოა, სეზონის ბოლომდე კუდი კიდევ მოიქნიოს. ბელგიის დიდ პრიზის წინ კი დამსჯელის - საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტ **მაქს მოსლისა** და დასჯილის - "მაკლარენის" შეფ **რონ დენისის** ოფიციალური შერიგება მოხდა. პადოკში მათ რეპორტიორების წინაშე ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი.

თუმცა, მოგვიანებით, მოსლიმ კიდევ ერთი გაფრთხილება გაუგზავნა დენისს: ასი მილიონი რომ დაგაკისრეთ, ეგ ძალიან მსუბუქი სასჯელია და თუ გავიგეთ, რომ **ფერნანდო ალონსოს** ცუდად ეპყრობით, ძველ ცოდვებს კიდევ გაგიხსენებთო. მაინც, რა დააშავა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ისეთი, რომ დენისმა ასე გაიმეტოს (იგულისხმება არასათანადო ყურადღების მიქცევა და თანაგუნდელ **ლუის ჰემილტონთან** საჩემპიონო პაექრობაში გამიზნულად ხელის შეშლა)? ის, რომ სწორედ მის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა მეშვეობით შეძლო ფედერაციამ შპიონაჟში "მაკლარენის" ბრალის დამტკიცება. მოსლიმ ეს თავად აღიარა, ალონსოს მიერ მოწოდებული მტკიცებულებანი რომ არა, "მაკლარენი" დაუსჯელი დაგვრჩებოდაო.

ესეც რომ არა, დენისმა პარიზში, საქმის განხილვაზე დასასწრებად თავისი გუნდის ორივე პილოტი მიიწვია, მაგრამ ალონსომ მიწვევა არ მიიღო და ბელგიაში გაემგზავრა, ესაოდა, ბელგიური რბოლისთვის ვემზადები და სასამართლოში დროის დაკარგვას არ ვაპირებო. მოკლედ, ალონსომ სპა ფრანკორშანზე შეიტყო (თუ უფრო ადრე არ იცოდა), რომ მას და ჰემილტონს ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ხელი არ შეეშლებოდათ.

ხელი არ შეეშლებოდათ, მაგრამ თავისუფალ პრაქტიკებზეც და კვალიფიკაციაზეც ორივე პილოტს აშკარად ეტყობოდა ნერვიულობა. ალონსომაც და ჰემილტონმაც რამდენიმე შეცდომა დაუშვეს, კვალიფიკაციაზე კი ისინი სასტარტო რიგში მხოლოდ მეორე რიგის ადგილებს დასჯერდნენ.

პოულ პოზიცია კი, მიმდინარე სეზონში მესამე, კარიერაში კი მე-13, "ფერარის" ფინელმა პილოტმა **კიმი რაიკონენმა** მოიგო. კიმისთვის სპას ავტოდრომი ბედნიერია - აქ მას წინა ორი რბოლაც მოგებული ჰქონდა, ოღონდ "მაკლარენის" ბოლიდით. მას შემდეგ ბელგიურ ტრასას, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა მსოფლიო ჩემპიონატის კალენდარში, მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია ჩაუტარდა. თუმცა ყველაზე კოლორიტული მოსახვევი, სახელად "ო რუჟი" (წითელი წყალი) ხელუხლებელი დარჩა. კიმის მხოლოდ 0,11 წამით ჩამორჩა ბრაზილიელი თანაგუნდელი **ფელიპე მასა**, მომდევნო ადგილები კი ალონსომ და ჰემილტონმა გაინაწილეს.

ამ სეზონში ტრადიციად იქცა, რომ რბოლის ყველაზე საინტერესო ნაწილი სტარტი უნდა იყოს. სტარტს მეტწილად მონოტონური რბოლები მოსდევს ხოლმე, რომელთა დროსაც, ლიდერებს შორის გასწრება იშვიათი სანახავია, პელოტონის უკან კი რა ხდება, ეს ნაკლებად საინტერესოცაა და მისი მოყოლაც ძალიან შორს წაგვიყვანს.

მოკლედ, სტარტზე სწრაფი რეაგირება მოახდინეს და ლიდერობა შეინარჩუნეს "ფერარის" პილოტებმა. ცუდი რეაქცია არც "მაკლარენის" ბიჭებმა გამოავლინეს, მაგრამ მწვანე შუქის ანთებისთანავე, მათ შინაომი გააჩაღეს - ალონსომ მკვეთრად მარცხნივ, თანაგუნდელის მხარეს მიმართა თავისი მანქანა.

ჰემილტონმა ძლივს აარიდა თავი შეჯახებას და იმდენი შეძლო, რომ წინაც არავინ გაუშვა და ასე განსაჯეთ, პირველი მოსახვევის (ავტობუსის გაჩერება) წინ, ალონსოს პოზიციასაც შეუტია. ესპანელმა დროულად შენიშნა თანაგუნდელის მანევრი და ისევ მისკენ მიმართა თავისი ბოლიდი. ერთ მომენტში, ორი "მაკლარენი" ერთმანეთს ბორბლებით შეეხო, რის შემდეგაც, ბრიტანელი იძულებული შეიქნა, ტრასის დამცავი ზოლით ესარგებლა, ალონსომ კი პოზიცია შეინარჩუნა.

არავინ იცის, რამდენად კორექტული იყო ალონსოს ქმედება. ფაქტი კი ერთია, სპა ფრანკორშანის ტრასა ახალი გარემონტებული რომ არ იყოს და დამცავ ზოლში ასფალტის ნაცვლად ხრეში რომ ეყაროს, ჰემილტონისთვის რბოლა პირველივე მოსახვევში დასრულდებოდა.

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ალონსოს აგრესიულ ქმედებაზე რბოლის სტიუარდებს მცირე რეაგირებაც კი არ მოუხდენიათ. გასაკვირი ამაში არაფერია - მოსლიმ რომ კვალიფიკაციის შემდეგ დენისთან "სამშვიდობო ზავი" დადო და თან მას გაფრთხილებაც მიაყოლა, ის გაფრთხილება სტიუარდებისთვისაც იყო გამიზნული. ყოველ შემთხვევაში, მათ ის სწორედ გაფრთხილებად აღიქვეს. თუ არა, ინციდენტი აუცილებლად იმსახურებდა განხილვას მაინც.

ეს იყო და ეს. რბოლის დროს ბევრი არაფერი მომხდარა. ერთადერთი, რასაც ლიდერების განლაგებაში ცვლილების შეტანა შეეძლო, პილოტთა სარბოლო სტრატეგია იყო. სხვათა შორის, "მაკლარენის" პილოტებმა თავიანთი რბოლა განსხვავებულად დაგეგმეს - ჰემილტონმა მეორე პიტსტოპი ხუთი წრის დაგვიანებით შეასრულა, მაგრამ ამით ბევრი ვერაფერი მოიგო და ტრასაზე დაბრუნებულმა, აღმოაჩინა რა, რომ კვლავ ალონსოს უკან იყო, მალე შეწყვიტა წინააღმდეგობა და მეოთხე ადგილს დასჯერდა.

რაიკონენმა კი პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი და მიმდინარე სეზონში მეოთხე, სპაზე კი მესამე გამარჯვება იზეიმა. ალონსო მესამეზე გავიდა, რითაც კლასიფიკაციაში ჰემილტონთან ჩამორჩენა ორ ქულამდე შეამცირა. ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ეტაპით ადრე კი ეს მეტისმეტად ცოტაა. ისე, ორივე პილოტმა თითოჯერ მაინც რომ წაიბორძიკოს, ანუ თითო რბოლა უქულოდ დაასრულოს, მაშინ საჩემპიონო ჭიდილში რაიკონენიც ჩაებმება, ვინც ბელგიაში გამარჯვების შემდეგ, ჩემპიონატის ლიდერ ჰემილტონს 13 ქულით ჩამორჩება.

რაც შეეხება კონსტრუქტორთა პირველობას, სპაიგეიტის დასრულების შემდეგ, აქ ყველაფერი გასაგებია - "მაკლარენის" დისკვალიფიკაციის შემდეგ, ჩემპიონი "ფერარი" ხდება, რომელიც მეორეზე გადასულ " BMW ზაუბერს" 71 ქულას უგებს. თუმცა, თუ რონ დენისი ფია-ს გადაწყვეტილების წინააღმდეგ სასამართლოში აპელაციას შეიტანს და საქმესაც მოიგებს, მაშინ ლიდერი კვლავ მისი გუნდი გახდება...

*"შემიძლია გითხრათ, რომ სპა ჩემი ფავორიტი ტრასა მანამ გახდა, სანამ მე ფორმულა ერთში მოვიდოდი. აქ უკვე სამი რბოლა მაქვს მოგებული და ეს შესანიშნავია. რაც შეეხება ჩემპიონატს, ჯერაც რამდენიმე რბოლა წინ გვაქვს და არაა გამორიცხული, რომ ბევრი რამ რადიკალურად შეიცვალოს"*, - ნარბოლევს განაცხადა გამარჯვებულმა.

ალონსომ კი სასტარტო ინციდენტის შესახებ საუბრისას, თავი ასე იმართლა: *"მე და ლუისი გვერდიგვერდ შევედით მოსახვევში და მე გამიმართლა, რომ შიდა რადიუსზე ვიმყოფებოდი. მერე მასამ უცებ დაამუხრუჭა და მე იძულებული გავხდი, რომ არ დავჯახებოდი, მკვეთრად მარცხნივ გადამეხვია, იქ კი ჰემილტონი დამხვდა"*.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

| ბელგიის დიდი პრიზი | |
|---|---|
| სპა ფრანკორშანი (ბელგია). 308.176 კმ (7.004 კმ X 44 წრე) | |
| 1. კიმი რაიკონენი (ფინეთი, ფერარი) | 1:20:39.066 |
| 2. ფელიპე მასა (ბრაზილია, ფერარი) | +00:04.695 |
| 3. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, მაკლარენ-მერსედესი) | 00:14.343 |
| 4. ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, მაკლარენ-მერსედესი) | 00:23.615 |
| 5. ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, ბეემვე-ზაუბერი) | 00:51.800 |
| 6. ნიკო როსბერგი (გერმანია, უილიამს-ტოიოტა) | 01:16.800 |
| 7. მარკ უებერი (ავსტრალია, რედ ბულ-რენო) | 01:20.600 |
| 8. ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, რენო) | 01:25.106 |
| 9. რობერტ კუბიცა (პოლონეთი, ბეემვე ზაუბერი) | 01:25.661 |
| 10. რალფ შუმახერი (გერმანია, ტოიოტა) | 01:28.574 |
| 11. იარნო ტრული (იტალია, ტოიოტა) | 01:43.653 |
| 12. ვიტანტონიო ლიუცი (იტალია, ტორო როსო-ფერარი) | 1 წრე |
| 13. რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, ჰონდა) | 1 წრე |
| 14. ადრიან სუტილი (გერმანია, სპაიკერ-ფერარი) | 1 წრე |
| 15. ტაკუმა სატო (იაპონია, სუპერ აგური-ჰონდა) | 1 წრე |
| 16. ენტონი დევიდსონი (ბრიტანეთი, სუპერ აგური-ჰონდა) | 1 წრე |
| 17. საკონ იამამოტო (იაპონია, სპაიკერ-ფერარი) | 1 წრე |
| გ. ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, ჰონდა) | 8 წრე |
| გ. ალექსანდერ ვურცი (ავსტრია, უილიამს-ტოიოტა) | 10 წრე |
| გ. დევიდ კულტჰარდი (ბრიტანეთი, რედ ბულ-რენო) | 15 წრე |
| გ. სებასტიან ფეტელი (გერმანია, ტორო როსო-ფერარი) | 36 წრე |
| გ. ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, რენო) | 43 წრე |

(შენიშვნა: გ - გამოეთიშა)
უსწრაფესი წრე: ფელიპე მასა 1:48.036, 34-ე წრე

**პირადი კლასიფიკაცია**

1. ლუის ჰემილტონი 97 ქულა; 2. ფერნანდო ალონსო 95; 3. კიმი რაიკონენი 84; 4. ფელიპე მასა 77; 5. ნიკ ჰაიდფელდი 56; 6. რობერტ კუბიცა 33; 7. ჰეიკი კოვალაინენი 22; 8. ჯანკარლო ფიზიკელა 17; 9. ნიკო როსბერგი 15; 10. ალექსანდერ ვურცი 13; 11. მარკ უებერი 10; 12. დევიდ კულტჰარდი 8; 13. იარნო ტრული 7; 14. რალფ შუმახერი 5; 15. ტაკუმა სატო 4; 16. ჯენსონ ბატონი 2; 17. სებასტიან ფეტელი 1

**კონსტრუქტორთა პირველობა**

1. ფერარი 161 ქულა; 2. BMW ზაუბერი 90; 3. რენო 39; 4. უილიამს-ტოიოტა 28; 5. რედ ბულ-რენო 18; 6. ტოიოტა 12; 7. სუპერ აგური-ჰონდა 4; 8. ჰონდა 2

## TV სპორტი

**17 სექტემბერი. ორშაბათი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

**07:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-აინტრახტი.
**08:45** სპორტის სამყარო.
**09:10** კრივი. რინგ-საიდი.
**10:10** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ბაიერნი.
**12:00** ჰოკეი. საერთაშორისო ტურნირი. ლუგანო. შვეიცარია.
**13:35** სპორტდოსიე. ჩოგბურთი.
**14:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-პორტსმუთი.
**15:55** მინი-მოედანი.
**16:20** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**16:50** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. სპორტინგი-ბელენენსეში.
**18:35** მინი-მოედანი.
**19:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:55** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ფიორენტინა (LIVE).
**22:00** სპორტკლუბი.
**22:55** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:55** პროფესიული კრივი. დანიელ პონსე დე ლეონი-ალ სიგერი.
**01:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ბაიერნი.
**03:15** სპორტდოსიე. ჩოგბურთი.
**03:40** ჰოკეი. საერთაშორისო ტურნირი. ლუგანო. შვეიცარია.
**05:10** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**05:40** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-პორტსმუთი.

**EUROSPORT**

**10:30** მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
**11:00** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალიის გრან პრი.
**12:00** ავტოსპორტი. GP2-ის სერია. I რბოლა. ბელგია.
**12:45** ავტოსპორტი. GP2-ის სერია. II რბოლა. ბელგია.
**13:15** ველოსპორტი. ვუელტა. XV ეტაპი.
**14:00** ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 48 კგ. ტაილანდი (LIVE).
**16:00** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. იაპონია-გერმანია. ჩინეთი (LIVE).
**18:00** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. ინგლისი-არგენტინა. ჩინეთი.
**19:30** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
**20:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**20:45** მულტისპორტი.
**21:15** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. იაპონია-გერმანია. ჩინეთი.
**22:15** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. ინგლისი-არგენტინა. ჩინეთი.
**23:15** ბრძოლა წესების გარეშე.
**02:15** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**03:00** მულტისპორტი.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
**13:00** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალიის გრან პრი.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** გოლფი. ევროპის ჩემპიონატი. ამსტერდამი. ჰოლანდია.
**17:00** ბეისბოლი. ევროპის ჩემპიონატი. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
**18:00** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალიის გრან პრი.
**19:00** ავტოსპორტი. GP2-ის სერია. I რბოლა. ბელგია.
**19:30** ავტოსპორტი. GP2-ის სერია. II რბოლა. ბელგია.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
**21:00** ექსტრემალური სპორტი.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** ბეისბოლი. ევროპის ჩემპიონატი. ბარსელონა. ესპანეთი.
**23:00** მულტისპორტი.
**00:00** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალიის გრან პრი.
**02:15** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

| ფრენბურთი | |
|---|---|
| ევროპის ჩემპიონატი | |
| მე-3 ადგილისთვის | |
| სერბეთი-ფინეთი | 3:1 |
| ფინალი | |
| რუსეთი-ესპანეთი | 2:3 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| რუსეთი | |
| ს. იულაევი-აკ ბარსი | 5:4 |
| ლადა-ნეფტეხიმიკი | 3:1 |
| მეტალურგი (მ)-ლოკომოტივი | 4:1 |
| ტრაქტორი-სევერსტალი | 3:3 |
| ვიტიაზი-დინამო | 1:1 |
| მეტალურგი (ნ)-ავანგარდი | 2:1 |
| ცსკა-სკა | 1:4 |
| სიბირი-სპარტაკი | 3:0 |
| ტორპედო-ხიმიკი | 0:2 |
| გერმანია | |
| ჰანოვერი-კიოლნი | 1:1 |
| დიუსელდორფი-დუისბურგი | 3:2 |
| აისბარენი-ჰამბურგი | 3:6 |
| აუგსბურგი-შტრაუბინგი | 5:3 |
| ინგოლშტადტი-ნიურნბერგი | 3:3 |
| მანჰაიმი-ვოლფსბურგი | 2:2 |
| ფრანკფურტი-იზერლონი | 3:3 |
| სლოვაკეთი | |
| სკალიცა-კოშიცე | 4:3 |
| ზვოლენი-ჟილინა | 6:2 |
| კეჟმაროკი-სლოვანი | 1:4 |
| მარტინი-პოპრადი | 1:5 |
| სლოვაკეთი (ახ)-ნიტრა | 1:1 |
| ტრენჩინი-მიკულაში | 2:0 |
| ფინეთი | |
| ილვესი-ესეტი | 6:2 |
| იუვესკიულა-ტაპარა | 5:2 |
| კერპეტი-საიპა | 3:4 |
| ლუკო-იოკერიტი | 3:3 |
| პელიკანსი-კაიპა | 8:3 |
| ტპს-კიეკო | 1:2 |
| ჩეხეთი | |
| ვიტკოვიცე-ლიბერეცი | 1:2 |
| სპარტა-ლიტვინოვი | 4:2 |
| ბუდეიოვიცე-პლზენი | 3:1 |
| ზნოიმო-პარდუბიცე | 4:3 |
| კარლოვი ვარი-ტრშინეცი | 0:0 |
| კლადნო-ზლინი | 1:4 |
| სლოვანი-სლავია | 1:2 |
| შვეიცარია | |
| ლუგანო-ამბრი | 2:1 |
| დავოსი-ბაზელი | 3:2 |
| ფრიბურგი-ცუგი | 4:3 |
| რაპერსვილი-სერვეტი | 5:1 |
| კლოტენი-ციურიხი | 3:2 |
| ბერნი-ლანგნაუ | 4:0 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| ATP. ჩინეთის ღია | |
| გონსალესი-რობრედო | 6:1, 3:6, 6:1 |
| ATP. ბუქარესტი | |
| სიმონი-ჰანესკუ | 4:6, 6:3, 6:2 |
| WTA. ბალი | |
| დავენპორტი-ჰანტუხოვა | 6:4, 3:6, 6:2 |

**ბიატლონი**

### ბიორნდალენი მოგებით დაიწყო

ახალი სეზონისთვის ემზადება ლეგენდარული ნორვეგიელი ბიატლონისტი **ოლე-ეინარ ბიორნდალენი**. ამ დღეებში, ნორვეგიაში ზაფხულის ბიატლონში ქვეყნის ჩემპიონატი ჩატარდა, სადაც ხუთგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მამაკაცებს შორის სპრინტერული რბოლა მოიგო.

ბიორნდალენმა წუთითა და 37 წამით აჯობა მეორე ადგილზე გასულ **ემილ ჰელგე სვენდსენს**, ხოლო მესამეადგილოსანი **სტიან ეკჰოფი**, გამარჯვებულს ორ წუთზე მეტით ჩამორჩა.

**მოტორბოლა**

**მსოფლიო ჩემპიონატი**

**პორტუგალიის გრან-პრი**

XIV ეტაპი

125 კუბ.სმ (23 წრე - 96.186 კმ)

1. ფაუბელი (ესპანეთი, "აპრილია") - 40:46.337; 2. ტალმაში (უნგრეთი, "აპრილია") - +0.132; 3. ესპარაგო (ესპანეთი, "აპრილია") - +0.235; 4. კორსი (იტალია, "აპრილია") - +1.001; 5. ოლივე (ესპანეთი, "აპრილია") - +1.188.

საერთო ჩათვლა: 1. ტალმაში - 209 ქულა; 2. ფაუბელი - 204; 3. კოიამა (იაპონია, KTM) - 154; 4. პეშეკი (ჩეხეთი, "დერბი") - 132; 5. კორსი - 132.

250 კუბ.სმ (26 წრე - 108.732 კმ)

1. ბაუტისტა (ესპანეთი, "აპრილია") - 43:56.458; 2. დოვიციოზო (იტალია, "ჰონდა") - +4.367; 3. ლორენსო (ესპანეთი, "აპრილია") - +6.148; 4. ლიუტი (შვეიცრია, "აპრილია") - +12.685; 5. ბარბერა (ესპანეთი, "აპრილია") - +13.411.

საერთო ჩათვლა: 1. ლორენსო - 257 ქულა; 2. დოვიციოზო - 206; 3. დე ანჯელისი (სან მარინო, "აპრილია") - 197; 4. ბაუტისტა - 160; 5. ბარბერა - 130.

მოტოგრანპრი (28 წრე - 117.040 კმ)

1. როსი (იტალია, "იამაჰა") - 45:49.911; 2. პედროსა (ესპანეთი, "ჰონდა") - +0.175; 3. სტოუნერი (ავსტრალია, "დუკატი") - +1.477; 4. ჰეიდენი (აშშ, "ჰონდა") - +12.951; 5. მელანდრი (იტალია, "ჰონდა") - +17.343.

საერთო ჩათვლა: 1. სტოუნერი - 262 ქულა; 2. როსი - 211; 3. პედროსა - 188; 4. ვერმიულენი (ავსტრალია, "სუძუკი") - 127; 5. მელანდრი - 124.

## სხვადასხვა

### ფორმულა 1

## ალონსო მაკლარენში დარჩება

"მაკლარენის" შემადგენლობაში შექმნილი გარკვეული დისკომფორტის მიუხედავად, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ფერნანდო ალონსო** გაისადაც ბრიტანული საჯინიბოს სახელით იასპარეზებს. ეს ინფორმაცია ესპანელი პილოტის მენეჯერმა **ლუის გარსიამ** გაავრცელა.

*"ჩვენ "მაკლარენთან" მოქმედი კონტრაქტი გვაკავშირებს. არცერთ გუნდთან მოლაპარაკებებს არ ვაწარმოებთ და ჩვენს გეგმებში არ შედის "მაკლარენის" დატოვება"*, - განაცხადა გარსიამ.

### კალათბურთი

## მინი ჯორდანზე პოპულარულია

"ჰიუსტონ როკეტსის" ჩინელმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა **იაო მინმა**, თავის სამშობლოში საქველმოქმედო აუქციონი მოაწყო, სადაც გასაყიდად სხვადასხვა საკალათბურთო ნივთები გამოიტანა,

მინის სპორტული ფეხსაცმელი 480 ათას დოლარად გაიყიდა, იმ დროს, როცა მაიკლ **ჯორდანის** იმ მაისურაში, რომლითაც ამ ლეგენდამ თავისი ბოლო ტიტული მოიგო, მხოლოდ 50.6 ათასი დოლარი გადაიხადეს.

ამ უცნაური ფაქტის ახსნა იმით შეიძლება, რომ აუქციონი ჩინეთში გაიმართა, გარდა ამისა, იაო მინი მოქმედი კალათბურთელია და თანაც, თავის სამშობლოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს.

## ნელსონი გოლდენ სტეიტში დარჩება

უახლოეს დღეებში, "გოლდენ სტეიტ უორიორზის" მთავარი მწვრთნელი **დონ ნელსონი** კლუბთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს.

*"იმედი გვაქვს, რომ დონთან მოლაპარაკებები სულ მალე დასრულდება და ის ჩვენი გუნდის გაწვრთნას გააგრძელებს"*, - განაცხადა "მეომრების" პრეზიდენტმა **რობერტ როუელმა**.

ახალი ხელშეკრულების თანახმად, 67 წლის სპეციალისტის წლიური ხელფასი 3.1-დან 5.1 მილიონ დოლარამდე გაიზრდება.

## მილუოკი პუერტორიკოელით დაინტერესდა

"მილუოკი ბაქსმა" სანვრთნელ ბანაკში მიიწვია პუერტორიკოს ნაკრების ფორვარდი **ანჯელო რეიესი**.

ეს 25 წლის თავდამსხმელი, ლას ვეგასში გამართული ამერიკის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. მანვე ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა მოხსნების საშუალო რაოდენობით.

## პარისი დალასში დარჩა

"დალას მავერიქსმა" 2013 წლამდე გაუგრძელა კონტრაქტი მცველ **დევინ ჰარისს**. ახალი ხელშეკრულების დეტალები პრესისთვის უცნობი დარჩა.

შარშან, 24 წლის კალათბურთელმა რეგულარულ ჩემპიონატში 80 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ შეხვედრაში, თავის გუნდს 10.2 ქულითა (თამაშიდან ტყორცნების რეალიზაციამ 49.2 პროცენტი შეადგინა) და 3.7 შედეგიანი გადაცემით დაეხმარა.

## ინდიანის ფორვარდი დისკვალიფიკაციით დაისაჯა

"ინდიანა პეისერსის" კალათბურთელი **შონ უილიამსი** პოლიციის განყოფილებაში მოხვდა. 21 წლის მოთამაშეს მარიხუანის შენახვა და ავტომობილის მართვის მოწმობის გარეშე ტარება ედება ბრალად.

ჯერჯერობით უცნობია, რა სასჯელს გამოუტანს უილიამსს სასამართლო, სამაგიეროდ, ცნობილი გახდა, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ კალათბურთელს რეგულარული ჩემპიონატის სტარტზე სამ მატჩში მონაწილეობა აუკრძალა.

## ერდოგანი ეფესში გადავიდა

თურქი მცველი **სერქან ერდოგანი** სამშობლოში დაბრუნდა. ის ესპანეთის "ტაუგრესიდან" "ეფეს პილსენში" გადაბარგდა.

გასულ სეზონში, ერდოგანი 22-ე ადგილზე გავიდა ევროლიგის საუკეთესო ბომბარდირებს შორის. ის საშუალოდ მატჩში 12.1 ქულას აგროვებდა.

"ტაუგრესში" გადასვლამდე, თურქი კალათბურთელი "ულქერში" თამაშობდა.

## ბრიტანეთი და ფინეთი A დივიზიონში გადავიდნენ

დიდი ბრიტანეთისა და ფინეთის ნაკრებებმა ევროპის ჩემპიონატის A დივიზიონში თამაშის უფლება მოიპოვეს. ეს გუნდები ევრობასკეტის შესარჩევ ტურნირში შვედეთისა და დანიის ნაკრებებს შეცვლიან.

ბრიტანეთმა ფლეი ოფში ორივე მატჩი მოუგო შვეიცარიის ნაკრებს - 74:41 და 89:78. ამ შეხვედრებში ბრწყინვალედ გამოიყურებოდა "ჩიკაგო ბულზის" ფორვარდი **ლუოლ დენგი**. მან პირველ მატჩში ბრიტანეთს 31 ქულა და 10 მოხსნა შესძინა, მეორე შეხვედრაში კი, 22 ქულა დააგროვა. შვეიცარიელთა შორის მხოლოდ **ტაბო სეფოლოშას** გამოყოფა შეიძლება. ეს კალათბურთელიც "ჩიკაგოში" თამაშობს და ამ მატჩებში მისმა მონაგარმა, ჯამში 38 ქულა შეადგინა.

ფინეთმა რუმინეთთან პირველი მატჩი 76:83 წააგო, სამაგიეროდ შინ, 50 ქულით გაანადგურა მეტოქე - 111:61. პირველ შეხვედრაში ყველაზე შედეგიანი რანიკო იყო - 29 ქულა, მეორეში კი, ვირტანენი გამოირჩა 23 ქულით.

### ჰოკეი

## ნუმინენს გულის ოპერაციას გაუკეთებენ

"ბაფალო სეიბრზის" მცველ **ტეპო ნუმინენს** გულზე მესამე ოპერაცია ელის. ექიმები ვერ ასახელებენ 39 წლის ფინელის ყინულზე დაბრუნების თარიღს, თუმცა თავად ნუმინენი აცხადებს, რომ ის დეკემბერში მწყობრში იქნება.

*"რეგულარულის მატჩებს ზამთარში დავუბრუნდები. ექიმებთან კონსულტაციები გავიარე და მათ დამაიმედეს, რომ თამაშის გაგრძელებას შევძლებ"*, - განაცხადა ვეტერანმა ჰოკეისტმა.

შეგახსენებთ, რომ ამ ზაფხულს, ნუმინენმა ახალი, ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა "ბაფალოსთან". წელს მისი ხელფასი 2.6 მილიონი დოლარი იქნება. გასულ სეზონში, ფინელმა 29 ქულა (2 გოლი+27 პასი) დააგროვა.

## კანადას სიმპსონი გაწვრთნის

დეკემბრის ბოლოს, შვეიცარიის ქალაქ დავოსში შპენგლერის თასის ტრადიციული გათამაშება ჩატარდება, რომელშიც სხვა გუნდებთან ერთად, კანადის ნაკრებიც მიიღებს მონაწილეობას.

გუშინ გაირკვა, რომ ამ ტურნირზე მოქმედი მსოფლიო ჩემპიონების მთავარი მწვრთნელი **შონ სიმპსონი** იქნება, რომელიც ამჟამად შვეიცარიის "ცუგს" ავარჯიშებს.

ბოლო სამი წელია, ეს სპეციალისტი შპენგლერის თასზე კანადის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი იყო, ამჯერად კი, მისი თანაშემწეები იქნებიან **ჯიმ კოლეფი** და **დაგ გილმორი**.

## ჩოგბურთი

ტურნირები

# დავენპორტი ბალის ჩემპიონია



დავენპორტი შვილთან ერთად ზეიმობს

ვინ წარმოიდგენდა, რომ ერთი წლის უთამაშებელი **ლინდსი დავენპორტი** კორტზე დაბრუნებისთანავე, თუნდაც მესამე კატეგორიის ტურნირს მოიგებდა? ალბათ თავადაც გაუჭირდებოდა ამაზე ოცნებაც კი. მაგრამ მან ეს სასწაული მოახდინა - ბალის კლასიკური ტურნირის ფინალში სლოვაკ **დანიელა ჰანტუხოვას** სამ სეტში მოუგო.

*"წარმოუდგენელია! ტურნირის დაწყებამდე წარმოდგენაც არ მქონდა, თუ რამდენად მომზადებული ვიყავი ფიზიკურად. ალბათ მატყობთ, რომ წონაში ჯერაც არაერთი კილოგრამი დასაკლები მაქვს. მოკლედ, თავადაც გაოცებული ვარ და მიხარია, რომ ასეთი ფანტასტიკური დაბრუნება მაქვს"*, - განაცხადა ნამატჩევს დავენპორტმა, ვინც საჩემპიონო თასის მიღების შემდეგ, კორტის ცენტრში თავისი სამი თვის შვილი **ჯაგერი** გამოიყვანა.

ტურნირის დაწყებამდე, ამერიკელი ჩოგბურთელი თურმე ფიქრობდა, რომ პირველივე წრის შეხვედრაში დამარცხდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. უფრო მეტიც, მეოთხედფინალში მან მსოფლიოს მესამე ჩოგანი, სერბი **ელენა იანკოვიჩი** დაამარცხა. ჰანტუხოვას დამარცხებით კი კარიერაში 52-ე ტურნირის ჩემპიონი გახდა.

31 წლის დავენპორტი ტურნირის დაწყებამდე რეიტინგში 234-ე ადგილზე იყო, ახლა კი მნიშვნელოვნად გაიუმჯობესებს მდგომარეობას. სხვათა შორის, ის ყველაზე დაბალი სარეიტინგო პოზიციის მქონე ჩოგბურთელია, ვინც მიმდინარე სეზონში ტურნირის მოგება შეძლო. ჰანტუხოვას ის მეშვიდედ შეხვდა და ამდენჯერვე კორტი მოგებულმა დატოვა.

საწყის სეტში დავენპორტმა მესამე გეიმში მიაღწია ბრეიკს და 2:1 დაწინაურდა. მაგრამ მომდევნო გეიმშივე, მას შემდეგ, რაც ბრეიკ პოინტზე, ბურთი ბადეს მოახვედრა, მეტოქეს საპასუხო ბრეიკის აღების საშუალება მისცა. მერვე გეიმში ჰანტუხოვას კიდევ ერთი ბრეიკის შანსი მიეცა, მაგრამ ბრეიკ პოინტზე წაღმა დარტყმულით ბურთი ბადეს მოარტყა. სამაგიეროდ, მომდევნო გეიმში ამერიკელმა იხეირა და სეტიც თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მხოლოდ ერთი ბრეიკი დაფიქსირდა მეორე სეტში და ის ერთადერთიც ჰანტუხოვამ მოიპოვა. გადამწყვეტი სეტის დასაწყისში, ამერიკელმა პირველი 17 გათამაშებიდან მხოლოდ ორი დათმო და 4:1 დაწინაურდა. სლოვაკმა კორტზე ექიმს უხმო, რომელმაც მარჯვენა კანჭი დაუმუშავა. მართალია, ამის შემდეგ მან მეტოქის სერვისზე ქულის აღება შეძლო, მაგრამ დავენპორტმა უმალ დაიბრუნა უპირატესობა და შეხვედრაც გამარჯვებით დაასრულა. სხვათა შორის, ბოლო ტურნირი მას ზუსტად ორი წლის წინ, ციურიხში მოეგო.

პეკინში კი, ჩინეთის ღია პირველობის ფინალში, ჩილელმა **ფერნადო გონსალესმა** სამ სეტში აჯობა ესპანელ **ტომი რობრედოს** და ბოლო ორ სეზონში ატპ-ს პირველი, კარიერაში კი მერვე ტიტული მოიპოვა.

*"ბედნიერი ვარ, ამ გამარჯვებას დიდხანს ველოდი. სამი თვეა , ასე კარგად არ მეთამაშა"*, - განაცხადა გონსალესმა, ვინც მიმდინარე სეზონის დასაწყისში ავსტრალიის ღიას ფინალს მიაღწია, მაგრამ უიმბლდონის შემდეგ არაფერი გამოსდიოდა. მაგრამ ამჯერად, მან თავისივე აგრესიის გაკონტროლება შეძლო, რასაც უძლიერესი მოწოდება დაურთო და სასურველ შედეგსაც მიაღწია.

მართალია, რობრედომ გაბრძოლება ცადა და მეორე გეიმი მოიგო კიდეც, მაგრამ ჩილელმა გადამწყვეტ სეტში კვლავ მოთოკა ნერვები და მყარსაფარიან კორტზე პირველ ტიტულს დაეუფლა.

გონსალესმა ჩინეთის მიწაზე პირველად ითამაშა, თუმცა შესაძლოა, მალე კვლავ მოუწიოს ცისქვეშეთში გამგზავრება. საქმე ისაა, რომ ამ გამარჯვებით, ჩემპიონთა რბოლის ცხრილში მეშვიდე ადგილზე გადაინაცვლა, რაც მას შანხაიში, მასტერსის თასზე ასპარეზობის უფლებას აძლევს. მერმის კი, პეკინის ოლიმპიადაზე ასპარეზობას აპირებს. შეგახსენებთ, რომ ათენის ოლიმპიადაზე გონსალესს წყვილებში ოქროს, ერთეულებში კი ბრინჯაოს მედალი აქვს მოპოვებული.

დაბოლოს, მოსკოვის "ლუჟნიკის" არენაზე, დასრულდა ფედერაციის თასის გათამაშება, რომელშიც რუსეთის ნაკრებმა იტალიის გუნდს სძლია და მესამედ მოიპოვა ტურნირის მთავარი თასი.

### WTA

#### ბალის კლასიკური

ბალი (ინდონეზია). III კატეგორია. ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 225 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 2)**-სორანა კირსტეა (რუმ) 7:5, 6:1; **ლინდსი დავენპორტი (აშშ)**-სარა ერანი (რუმ) 6:1, 6:3

**ფინალი**

**ლინდსი დავენპორტი (აშშ)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 2) 6:4, 3:6, 6:2

### ATP

#### ჩინეთის ღია

პეკინი (ჩინეთი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 500 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**ფერნადო გონსალესი (ჩილე, 2)**-ივან ლიუბიჩიჩი (ხორვ, 4) 2:6, 6:3, 6:4; **ტომი რობრედო (ესპ, 3)**-ნიკოლას კიფერი (გერ) 7:6(5), 7:5

**ფინალი**

**ფერნადო გონსალესი (ჩილე, 2)**- ტომი რობრედო (ესპ, 3) 6:1, 3:6, 6:1

#### რუმინეთის ღია

ბუქარესტი (რუმინეთი). თიხა

**საპრიზო ფონდი:** 353 450 ევრო

**1/2 ფინალი**

**ჟილ სიმონი (საფ, 6)**-კარლოს ბერლოში (არგენტინა) 6:7(4), 6:2, 6:3; **ვიქტორ ჰანესკუ (რუმ)**-გაელ მონფილსი (საფ) 6:2, 6:3

**ფინალი**

**ჟილ სიმონი (საფ, 6)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ) 4:6, 6:3, 6:2

#### ფედერაციის თასი

**ფინალი**

**რუსეთი-იტალია 3:0**

**სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)**-მარა სანტანჯელო (იტა) 6:1, 6:2; **ანა ჩაკვეტაძე (რუს)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა) 6:4, 4:6, 6:4; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)**- ფრანჩესკა სკიავონე (იტა) 4:6, 7:6(7), 7:5

## ველოსპორტი

### ვუელტა

მე-14 ეტაპი. პუერტო ლუმბრერასიდან ვილაკარილომდე (207 კმ)

1. ჯეისონ მაკკარტნი (აშშ, დისქავერი ჩენელი) 5:21.21 (38.65 კმ/სთ); 2. თომას ლოვკვისტი (შვედეთი, ფრანსის დე ჟუ) 0.28; 3. შტეფან შუმახერი (გერმანია, გეროლშტაინერი) 0.50; 4. ხუან მანუელ გარატე (ესპანეთი, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) 0.50; 5. ალესანდრო ვანოტი (იტალია, ლიკიგაზი) 0.50; 6. დავიდ გარსია (ესპანეთი, კარპინ გალისია) 0.50; 7. ქსაბიერ სანდიო (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.50; 8. კრისტიან ვანდე ველდე (აშშ, CSC) 0.50; 9. აიმარ სუბელდია (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 0.50; 10. ფილიპ დიგნანი (ირლანდია, AG2r პრევოიანსი) 0.50; 11. ხოსე ვისენტე გარსია (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 2.22...

მე-15 ეტაპი. ელინიდან ტორე-პაჩეკომდე (176.4 კმ)

1. სამუელ სანჩესი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 4:45:59; 2. მანუელ ბელტრანი (ესპანეთი, ლიკიგაზი) იგივე დროში; 3. კარლოს ბარედო (ესპანეთი, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) 0.24; 4. იგორ ანტონი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 0.24; 5. დანიელ მორენო (ესპანეთი,რელაქს-GAM) 0.41; 6. დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 0.41; 7. ვლადიმირ ეფიმკინი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.41; 8. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 0.41; 9. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 0.41; 10. ლუის პერეს როდრიგესი (ესპანეთი, ანდალუსია-კაიასური) 0.41...

კლასიფიკაცია 15 ეტაპის შემდეგ

1. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 62:32.27; 2. ვლადიმირ ეფიმკინი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 2.01; 3. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 2.27; 4. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 3.02; 5. სამუელ სანჩესი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 4.01; 6. ეზეკილ მოსკერა (ესპანეთი, კარპინ-გალისია) 4.35; 7. მანუელ ბელტრანი (ესპანეთი, ლიკიგაზი) 5.15; 8. ვლადიმირ კარპეცი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 6.17; 9. კარლოს ბარედო (ესპანეთი, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) 6.22; 10. იგორ ანტონი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 7.41...


ლელო

სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარგმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიდომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა